

ედუარდ ცირამუა

სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის  
ეკონომიური ანალიზი

(თეორია, მეთოდოლოგია, პრაქტიკა)

თბილისი, 1999

საფინანსო საქმიანობის ანალიზის ძირითადი საკითხები, ეკონომიკური ანალიზის კურსის სასწავლო პროგრამის ფარგლებში.

სახელმძღვანელო შედგება ორი განაყოფისაგან. პირველ განაყოფში მოცემულია სამეურნეო საქმიანობის ეკონომიკური ანალიზის თეორია, სადაც გათვალისწინებულია ეკონომიკური ანალიზის ფართო არე. აქვე გაშუქებულია ეკონომიკური ანალიზის მეცნიერული საფუძვლები, მისი შინაარსი, ამოცანები, საგანი და მეთოდი. დახასიათებულია და განმარტება აქვთ მიცემული ეკონომიკური ანალიზის მეთოდურ ხერხებს (სამუშაო ხერხებს), დახასიათებულია კავშირები ეკონომიკურ მეცნიერებათა დისციპლინებთან, მართვასთან, ავტომატიზაციასთან და სხვა.

მეორე განაყოფში სამეურნეო სუბიექტის ძირითადად სამრეწველო საწარმოების ეკონომიკის (სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის) ძირითადი მაჩვენებლების-წარმოების ორგანიზაციულ-ტექნიკური დონის, წარმოებისა და რეალიზაციის მოცულობის, შრომის, შრომის საშუალებებისა და საგნების გამოყენების, შრომითი და მატერიალური დანახარჯების (თვითღირებულების), მოგების, რენტაბელობის, ფინანსების ანალიზის ჩატარების მეთოდოლოგიაა გადმოცემული.

სამეურნეო საქმიანობის ეკონომიკური ანალიზის მეთოდების საილუსტრაციოდ გამოყენებულია პირობითი მაგალითები (ქიმიური საწარმოს მიხედვით) და მონაცემები სტაბილური ფასებისა და ტარიფების დონეზე აღებული შესაბამისობის (შესადარისობის) დაცვის თვალსაზრისით. თუმცა ბალანსის ანალიზის დროს ინფლაციის საკითხები განმარტებული და განხილულია.

ნაშრომი მარტივი და ორიგინალურია იმ გაგებით, რომ მასში ნაკლებად არის მარქსის, კეინსის, სმითისა და სხვა კლასიკოსების დებულებებისა და მოსაზრებების პერეფრაზირებები. საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნათა შესაბამისად წინა პლანზე წამოწეული ფინანსური საკითხები და წინამორბედ სახელმძღვანელოსთან შედარებით სამეურნეო გაგებას, შინაარსთან ერთად, დაემატა სიტყვა საფინანსო და სახელი გახდა სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის ეკონომიკური ანალიზი.

ნაშრომი არ იქნება აბსოლუტურად თავისუფალი ცალკეული შესაძლო ხარვეზებისაგან.

ავტორი სიამოვნებით მიიღებს ყველა საქმიან შენიშვნას.

## 1 ბანაჟოვი

### სამეურნეო საქმიანობის ეკონომიკური ანალიზის თეორია

#### 1 თავი

#### ეკონომიკური ანალიზის მენიშნობილი საფუძვლები

##### §1. რეალური სინამდვილის შემეცნება და ეკონომიკური ანალიზი

მეცნიერების ქვეშ იგულისხმება ბუნების, საზოგადოებისა და აზროვნების შესახებ ცოდნათა ერთიანობა, რომელიც ასახავს საზოგადოების განვითარების ყოველ ისტორიულ ეტაპზე მიღწეულს.

მეცნიერება, უპირველეს ყოვლისა, მოწოდებულია შეასრულოს შემეცნებითი ფუნქციები. იგი შეისწავლის და ახსნის მოვლენათა პროცესის არსს.

საზოგადოების განვითარების შესწავლის სფეროში ერთ-ერთი განმსაზღვრელი ადგილი უჭირავს მატერიალური წარმოების პროცესების შესწავლას, სადაც მთელი თავისი არსით გამოიყენება ეკონომიკური ანალიზი და შესაბამისი სინთეზი.

ეკონომიკური ანალიზი ეკონომიკური მოვლენების შემეცნების უმნიშვნელოვანესი მომენტია, რომელიც დიალექტიკურად ურთიერთდაკავშირებულ სამ საფეხურს შეიცავს: ცოცხალ განჭვრეტას, აბსრაქტულ აზროვნებას და პრაქტიკისადმი გამდიდრებულ დაბრუნებას.

ცოცხალი განჭვრეტა არის სამეურნეო საქმიანობისადმი (მოვლენებისადმი) უშუალო დაკვირება და აღქმა, რომელიც დიალექტიკურად გადადის აბსტრაქტულ შემეცნების სტადიაზე.

აბსტრაქტული აზროვნება დაფუძნებულია ინფორმაციიმ ობიექტურ მონაცემებზე, ღრმად წვდება შესასწავლ მოვლენას, გამოავლენს მისი განვითარების კანონზომიერებას, რაც იძლევა განზოგადებული დასკვნების მიღებისა და პრაქტიკული წინადადებების შემუშავების შესაძლებლობებს საკვლევი მოვლენის შემდგომი განვითარებისათვის, ე.ი. აზროვნებიდან პრაქტიკისადმი გამდიდრებული დაბრუნების შესაძლებლობას.

ბუნებასა და საზოგადოებაში წარმოშობილი მოვლენები და პროცესები ურთიერთკავშირშია, ერთმანეთზე ზემოქმედებენ და ამის გამო იცვლებიან და ვითარდებიან.

ადამიანთა საზოგადოების პრაქტიკული მოღვაწეობა მრავალმხრივია. ის მოიცავს ეკონომიკას, მეცნიერებას, ხელოვნებას და სხვა, მაგრამ მათ შორის ეკონომიკა, კერძოდ სამეურნეო საქმიანობა, უფრო კონკრეტულად, მატერიალური დოვლათის წარმოება, გაცვლა, განაწილება, მოხმარება, ადამიანთა საქმიანობის ძირითადი სფეროა. ამდენად ეკონომიკის ანალიზის შესწავლა იმსახურებს ღიდ თეორიულ და პრაქტიკულ ინტერესს.

ეკონომიკური ანალიზი, როგორც მას ამჟამად უწოდებენ. ექვემდებარება იმავე თეორიულ და პრაქტიკულ შემეცნების კანონებს, რომლებიც საფუძვლად უდევს მეცნიერებათა ყველა დარგს.

მეცნიერების ყველა სფეროში არის და წარმოიშობა ისეთი პრობლემები, რომელნიც განუწყვეტლივ დავას იწვევენ. ეს გასაგებიც არის, ვინაიდან მეცნიერებები განვითარების პროცესში განუწყვეტლივ ეძებენ და ანახლებენ კვლევის ობიექტს.

განვითარების ყოველ ეტაპზე ისინი მიახლოებით საზღვრავენ თავიანთი შემეცნების წრეს. გამოყოფენ იმ კანონზომიერებებს, რომლებიც შეადგენენ საკვლევი მეცნიერების შინაარსს და მეთოდს. ყოველივე ეს მითუმეტეს ეხება ეკონომიკური ანალიზის თეორიას, რომლის განვითარებაში მკაფიოდ იკვეთება მისი საგანი, და თუ მის გარშემო მიმდინარეობს დისკუსია, ეს არ ნიშნავს, რომ ოდესმე იგი დამთავრდება და სადავო საკითხების საბოლოო გადაწყვეტით მივიღებთ მკაცრად განსაზღვრულ ყველა დროისათვის გამოსადეგ ეკონომიკური ანალიზის კვლევის ობიექტს.

შემეცნების პროცესი მოითხოვს კვლევის მეთოდოლოგიურად სწორი მიდგომისა და ხერხების შერჩევას. მეთოდოლოგიური პრობლემები თითქმის პირველ ფილოსოფიურ სისტემებშივე დაისვა. ადრეული ფილოსოფიური ტრაქტატები ეხება არა მარტო სამყაროს რაობას, არამედ შემეცნების ვზებსა და მეთოდებსაც. ანტიკური მოაზროვნეები ფიქრობდნენ, როგორც სინამდვილის საიდუმლოებაზე, ასევე იმაზე, თუ როგორ გაეგოთ. რა საშუალებებით ჩაწვდომდნენ მის რაობას. ერთნი გადაშწავტ როლს შემეცნებაში გრძნობის ორგანოებს ანიჭებდნენ, სხვები - გონებას. ამისდამიხედვით საფუძველი ეყრება სენსუალისტური და რაციონალისტური შემეცნების თეორიასა და მეთოდოლოგიას. სენსუალიზმისა და რაციონალიზმის ბრძოლა თან გასდევს შემეცნების ისტორიას დასაბამიდან დღემდე.

მეთოდოლოგიური იდეების განვითარების შედეგად საზოგადოება შეცნობილ იქნა, როგორც ორგანიზებული მთლიანობა, რომელიც შედგება სხვადასხვა დონისა და ხასიათის ქვესისტემებისაგან. საზოგადოების მთლიანობის გამოსახატავად შემოტანილი იქნა საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის ცნება, რომელიც ასახავს განვითარების გარკვეულ საფეხურზე მყოფ საზოგადოებას თავისი ბაზისით და მასზე დაფუძნებული ზედნაშენური მოვლენების ერთობლიობით.

შემეცნების პროცესი სინამდვილის ასახვაა. შემეცნების საზომი (კრიტერიუმი) კი - პრაქტიკა.

აღმნიანთა პრაქტიკული საქმიანობა მრავალმხრივია, მათ შორის სამეურნეო საქმიანობა - ეკონომიკა, მოღვაწეობის ძირითადი სფეროა.

მეცნიერული შემეცნება არ უნდა შემოიფარგლოს მიზეზშედეგობრივი კავშირების დადგენით.

საგნებსა და მოვლენებს აქვს განსაზღვრებები რომელთა კვლევისათვის სახვადასხვა მეთოდების გამოყენებაა საჭირო.

მეთოდი ბუნებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენათა კვლევის, შეცნობის ხერხია. წარმოებითი ურთიერთობის შესწავლისას გამოიყენება აბსტრაქცია და ანალიზი.

ანალიზი არის მოვლენის დანაწილება, დაყოფა ცალკეულ ელემენტებად და თითოეული ამ ელემენტის, როგორც მთელის აუცილებელი ნაწილის შესწავლა, ეკონომიკური მოვლენის შესწავლაში ანალიზი მთელის შესწავლის აუცილებელი ეტაპია. მოვლენის შეცნობა როდი ნიშნავს მისი ელემენტების ჯამს. სწორედ ამიტომ აუცილებელია სინთეზი (შეერთება)-დანაწილებული და გაანალიზებული ელემენტებთან ერთიან, შინაგანად დაკავშირებულ მთელად შეერთება. ანალიზისა და სინთეზის გამოყენება არ წარმოადგენს ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ და მოწვევტილ ეტაპებს. ანალიზი და სინთეზი წარმოებით ურთიერთობათა შესწავლისას ხორციელდება ადამიანის თავში, ე.ი. ეკონომიკური პროცესებისა და მოვლენების დანაწილება მიმდინარეობს აზრობრივი დანაწილების მეშვეობით.

ანალიზი გულისხმობს მოძრაობას გრძობადი კონკრეტულიდან აბსტრაქტულისაკენ. სინთეზი - აბსტრაქტულიდან კონკრეტულისაკენ, რითაც მთავრდება არსის გახსნა, ხოლო ინდუქციისა და დიდუქციის მეშვეობით კეთდება დასკვნები, ყალიბდება ცნებები მოვლენების მიმართ.

მარქსისტებმა საზოგადოების შედგენილობის გამოსახატავად შემოიტანეს კლასობრივი დაპირისპირების თეორია. მათ კონცეფციაში განსაკუთრებული და სადაო თავისებურებაა ის, რომ საზოგადოების პარმონიული განვითარება შესაძლებელია მხოლოდ პროლეტარიატის დიქტატურის მეშვეობით. როგორც ჩანს ეკონომიკისადმი ამ დიქტატორულმა თეორიამ და შესაბამისად საბჭოთა სოციალისტური (კომუნისტური) სისტემის პრაქტიკამ, მიუხედავად მიღწეული ღიდი წარმატებებისა, ეკონომიკა საბოლოო ჯამში კრახამდე მიიყვანა.

ადამიანთა საზოგადოების კლასობრივი დაპირისპირება თიშავს ადამიანთა ურთიერთ დამოკიდებულებას და ერთმანეთისადმი ანტაგონისტურად განაწყოებს. თუმცა განვითარების მამოძრავებელი ძალაა. - „რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებია“.

## ✓ §2. ეკონომიკური ანალიზის თეორიული საფუძვლები

მატერიალური დოვლათის წარმოება არის არსებობისა და განვითარების აუცილებელი პირობა.

ადამიანები მატერიალურ დოვლათს აწარმოებენ არა ცალ-ცალკე, არამედ ერთად, ჯგუფურად, საზოგადოებრივად. აქედან გამომდინარე, წარმოება ყოველთვის საზოგადოებრივი წარმოებაა და მოიცავს ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულებებსაც.

წარმოებას მეცნიერების სხვადასხვა დარგი სწავლობს. თითოეულ მათგანს თავისი შესწავლის განსაზღვრული ობიექტი აქვს.

საზოგადოებრივი წარმოება შეისწავლება ნივთობრივი და საზოგადოებრივი ასპექტით.

საზოგადოებრივ წარმოებაში მრავალი სახის ურთიერთობა მყარდება ადამიანთა შორის. საზოგადოებრივ ურთიერთობებს სწავლობს საზოგადოებრივი მეცნიერებანი, ხოლო წარმოებით ურთიერთობას - ეკონომიკური მეცნიერებები.

წარმოებითი ურთიერთობები მოიცავს იმ ურთიერთობებს, რომლებიც მყარდება ადამიანებს შორის წარმოების, განაწილების, გაცვლისა და მოხმარების პროცესში.

ყოველგვარი მეცნიერება, ზოგადთეორიული და გამოყენებითი ერთობლიობის ორი მხარეა, ეკონომიკურ მეცნიერებათა სისტემაში ზოგადთეორიული (ფუნდამენტური) ნაწილია პოლიტიკური ეკონომია. იგი როგორც ფუნდამენტური, გადამწყვეტ როლს ასრულებს საერთოდ ყველა ეკონომიკური მეცნიერების განვითარების საქმეში.

დემოკრატიზაციის მიმდინარე მოვლენებმა ერთბაშად მოითხოვა არსებითი ცვლილებები საზოგადოების ყოფაცხოვრებასა და საქმიანობის ყველა სფეროში, მათ შორის საზოგადოებრივ მეცნიერებაშიც და კერძოდ თვით პოლიტიკურ ეკონომიაშიც. დემოკრატიზაცია გახდა პოლიტიკური ეკონომიის ახლებურად ჩამოყალიბების მთავარი მიმართულება. ეკონომიკურ მეცნიერებებში მოღვაწე სწავლულები, სტუდენტობა თუ პრაქტიკოსები ერთად იღვწიან იმისათვის, რომ იგი დაუქვემდებარონ რეალობას - თანამედროვე მსოფლიო გარდაქმნებს.

პოლიტიკური ეკონომია საზოგადოებრივი მეცნიერებაა. იგი შეისწავლის მატერიალური დოვლათის საზოგადოებრივი წარმოებისა და განაწილების კანონებს ადამიანთა საზოგადოების განვითარების სხვადასხვა საფეხურზე.

ეკონომიკური მეცნიერების ზოგადთეორიული და გამოყენებითი ასპექტების შესაბამისად ამჟამად გავრცობილია ეკონომიკური ცოდნის მრავალრიცხოვანი დარგის დაყოფა სამ ძირითად ჯგუფად: 1. ზოგადი ეკონომიკური დისციპლინები, 2. სპეციალური ეკონომიკები და 3. დარგობრივი ეკონომიკები. არის ასევე მოსაზრებებიც, რომლის თანახმად არსებობს მხოლოდ ერთი ეკონომიკური მეცნიერება - პოლიტიკური ეკონომია, ხოლო დანარჩენი მისი შემადგენელი ნაწილებია.

ეკონომიკური მეცნიერების დიფერენციაცია გამოწვეულია წარმოებისა და მეცნიერების განვითარებით. ამდენად, მიუხედავად იმისა, თუ რა ნიშნის მიხედვით იქნება მათი დაჯგუფება, გადამწყვეტ როლს პოლიტიკური ეკონომია ასრულებს. იგი სხვა ეკონომიკურ მეცნიერებათა თეორიულ-მეთოდოლოგიური ბაზაა, ეკონომიკურ მეცნიერებათა სისტემაში შემავალ ყველა მეცნიერების, მათ შორის ეკონომიკური ანალიზის, თეორიული საფუძველია.

დარგობრივი ეკონომიკების შესწავლის საგანია წარმოებითი ურთიერთობის სპეციფიკა საწარმოო ძალებთან, კერძოდ ტექნიკასთან, ურთიერთმოქმედებაში.

სპეციალური ეკონომიკური მეცნიერებანი, რომელთა რიცხვს ეკონომიკური ანალიზი მიეკუთვნება, სწავლობენ არა ეკონომიკურ წყობას მთლიანად, არამედ მის ცალკეულ მხარეს ან ცალკეულ არსებით ნიშანს.

ეკონომიკური ანალიზის არსებითი ნიშანი და განსაკუთრებული მხარეა ის გარემოება, რომ თუკი პოლიტიკური ეკონომიის კანონები, კანონზომიერებანი და სხვა კატეგორიები, დარგობრივ ეკონომიკებში კონკრეტულად და ცალკეულად შეისწავლება, ეკონომიკური ანალიზის მეშვეობით მათ ეძლევათ რაოდენობრივი დახასიათება. ე.ი. ეკონომიკური ანალიზი ზედააქსის მაქსიმალურ პოზიციასა და საფუძვლურ ფაქტორების მაქსიმალურ პოზიციას და რაოდენობრივი ცვლილებების შეფასების შედეგად თვისებრივად ახლის გამოვლენას.

ეკონომიკური მოვლენის რაოდენობრივი გაზომვის საფუძველზე მისი შესწავლის თანამედროვე მეთოდები იძლევიან ისეთ მეცნიერულად ღრმა და სრული ანალიზის საშუალებას, როგორც ადრე არ ყოფილა ცნობილი ეკონომიკურ თეორიაში. მაშასადამე, თუ პოლიტიკური ეკონომია დიალექტიკური მეთოდით შეისწავლის სახალხო მეურნეობრივ მოვლენებს, ფაქტებს მოძრაობასა და განვითარებაში, მათ ურთიერთკავშირსა და განპირობებულობაში, ეკონომიკური ანალიზი უზრუნველყოფს მოვლენებისა და პროცესების ფაქტორების შესწავლას საწარმო-სამეურნეო-საფინანსო საქმიანობაში, რაოდენობრივი ცვლილებების თვისებრივში გადასვლით ახალის, პროგრესულის აღმოცენებას.

ეკონომიკური ანალიზი ხელშეწყობს პოლიტიკური ეკონომიის დებულებებითა და დასაყვებით, რომლებიც ეკონომიკური ანალიზის თეორიული საფუძვლებია. დამოუკიდებელ მეცნიერებად ჩამოყალიბებით ანალიზი კომპლექსურად, გარკვეული სისტემით იყენებს სტატისტიკის, დაგეგმვის, ბუღალტრული აღრიცხვის, მათემატიკის და მათთან დაკავშირებული სხვა მეცნიერებების მონაცემებს და ზოგიერთ შემთხვევაში მათთვის დამახასიათებელ კვლევის საშუალებებს და ხერხებს. ამასთან, ეკონომიკური ანალიზის საკუთარი საშუალებებისა და ხერხების გამოყენება ხდება სხვა მეცნიერებაშიც, აღნიშნული, - უშუალოდ მჭიდრო კავშირი ეკონომიკურ ანალიზსა და სხვა ფუნქციონალურ დისციპლინებს შორის - დღემდე იწვევს კამათს მათი გამოიყენების თაობაზე.

რაოდენობრივი მაჩვენებლების ანალიზი მით უფრო მნიშვნელოვანია, რამდენადაც ეკონომიკური კატეგორიების, მოვლენებისა და პროცესების ბუნება და შინაარსი გახსნილია, რადგანაც თვით რაოდენობრივი დახასიათება ეკონომიკური მოვლენის ბუნებიდან (არსიდან) გამომდინარეობს.

ეკონომიკურ მოვლენათა შესწავლის დროს ეკონომიკური ანალიზი თავის დასკვნებს ვერ ააგებს ფაქტების უმნიშვნელო რაოდენობასა და გამოკვლევაზე, ვინაიდან ამ შემთხვევაში შეუძლებელია მოვლენათა კანონზომიერებისა და მათი ურთიერთკავშირის დადგენა.

ამასთან დაკავშირებით, ეკონომიკური ანალიზი იკვლევს და იძლევა დახასიათებას საკვლევი მოვლენების ტენდენციების შესახებ, ეს თვით დიალექტიკის კანონიდან გამომდინარეობს, ვინაიდან რაოდენობრივი დახასიათება შეუძლებელია მოვლენის არსის გარეშე.

მოვლენის რაოდენობრივი შეფასება და თვისებრივი დახასიათება ეკონომიკურ ანალიზს აძლევს ტენდენციების შესწავლა-განსაზღვრისა და ამ ნიადაგზე მოვლენის განვითარების პროგნოზირების საშუალებას.

**ეკონომიკური ანალიზი (სხვა საეციალური მეცნიერების კარალელურად) ეკონომიკური განვითარების პროცესში იკვლევს ეკონომიკური კანონების მოქმედებას სახალხო მშენებლობის ცალკე აღებულ საფარში, მათი საფარში გაერთიანებაში, ქვედარბებსა და დარბებში.**

## II ტაპი

### ეკონომიკური ანალიზის შინაარსი და საბანი

#### §1. ეკონომიკური ანალიზის შინაარსი და ამოცანები

სამეურნეო საქმიანობა დაკავშირებულია ბუნებრივი პირობების (გარემომცველი პირობების) გამოყენებასთან. მას აქვს ტექნიკური, ეკონომიკური, ეკოლოგიური და სოციალური მხარეები. ამასთან ფულად ერთეულში მათთან დაკავშირებული ბრუნვა ამ შემთხვევაში იქნება საფინანსო საქმიანობა. ამის შესაბამისად განასხვავებენ ეკოლოგიურ, საინჟინრო-ტექნიკურ და სოციალურ ანალიზს. უშუალოდ ეკონომიკური ანალიზის საბანი საბურთაო საბინაო-საშენობის ეკონომიკური მხარე ანუ დროს, იგი მჭიდრო კავშირშია საინჟინრო-ტექნიკურ, ეკოლოგიურ და სოციალურ ანალიზთან, ამიტომ უნდა იქნას ერთობლივად აღიარებული.

მოვლენის შეფასების აუცილებელი პირობაა მათი ანალიზი. მეურნეობრივი საქმიანობის ანალიზის გარეშე ეკონომიკა ქაოსურ ვითარებად მოგვევლინებოდა. ამდენად, ადამიანები ყოველთვის, მიუხედავად მათი განვითარებისა (დონისა), ზუსტ ანალიზს უკეთებენ საკუთარ საქმიანობას და შეფასებას აძლევენ შედეგს. დოვლათის შესაქმნელად მიზანშეწონილი საქმიანობა ადამიანებს ანალიზის ცალკეული ზერხების, წესისა და მეთოდის შესწავლისა და დაგროვების შესაძლებლობას აძლევდა, როდესაც რთული და მრავალმხრივი ეკონომიკური პროცესების მასშტაბები იმდენად გაიზარდნენ, რომ ანალიზის ზერხების წესების და მეთოდების სისტემატიზაციის აუცილებლობა შეიქმნა. ამ დროიდან იწყო ეკონომიკური ანალიზის საგნის გამოყოფა და დამოუკიდებელ მეცნიერებად ჩამოყალიბება. პირობითად კი თვლიან მე-20 საუკუნის დასაწყისს.

მეცნიერება გულისხმობს ბუნების, საზოგადოებისა და აზროვნების ერთიან ცოდნას, რომელიც გროვდება და ვითარდება საზოგადოების განვითარებასთან ერთად. განვითარების თანამედროვე ეტაპზე ეკონომიკურ ანალიზს აქვს დამუშავებული და პრაქტიკასთან განზოგადებული შესწავლის საგანი, მეთოდი, ორგანიზაცია და მეთოდური (სამუშაო) ზერხები.

ეკონომიკური ანალიზის პროცესში საჭიროა შესწავლილ იქნეს წარმოების დანიშნულება, მისი მოცულობა, გეგმის შესრულება, ამ მიზნის განხორციელება, შედეგების სარგებლიანობა და შეფასება, ამასთან უნდა განისაზღვროს საერთო სახალხო და რეგიონალური სარგებლიანობა, მესაკუთრული და კერძო ინტერესები.

ეკონომიკური ანალიზის პროცესში ვლინდება მიღწეულ შედეგებზე მოქმედი ფაქტორები და შიდასაწარმოო რეზერვები, მუშავდება მათი გამოყენების ღონისძიებები.

სპეციალურ ლიტერატურაში ჯერ კიდევ გვხვდება ეკონომიკური ანალიზის შინაარსის განსაზღვრების განსხვავებული ფორმულირება, რაც მეტყველებს იმაზე, რომ ეკონომიკური ანალიზი როგორც მეცნიერება ჯერ კიდევ ახალგაზრდაა და მისი შინაარსის განსაზღვრა თანდათან უფრო სრულყოფილი ხდება.

ჩვენი აზრით ეკონომიკური ანალიზის საგნის მნიშვნელობა და ამოცანები შემდეგში მდგომარეობს:

შეისწავლოს და მისცეს შეფასება: რა სახის წარმოებაა, რა ტექნოლოგიით მიმდინარეობს პროცესები, რა გავლენა აქვს ეკოლოგიაზე, რა სარგებლობას აძლევს სახალხო მეურნეობას, საზოგადოებას, რეგიონს, მესაკუთრეს, აქციონერს, მუშას, მოსამსახურეს და თვით სახელმწიფოს.

როგორ ხორციელდება: სახსრების რაციონალური ხარჯვა, მომჭირნეობა, ანგარიშიანობა, ყაირათი, უყაირათობის ლიკვიდაცია, არამწარმოებლური ხარჯებისა და დანაკარგების აღმოფხვრა, შემოსავლების განაწილება, მავნე მოვლენებისაგან ბუნების დაცვა და ა.შ.

ყოველივე ხსენებულის გატარება მენეჯერის, აღმინისტრაციის, კოლექტივისა და საზოგადოების უცილობელი მოვალეობაა. საბოლოო ჯამში კი ცალკეულ პიროვნებასა და ეროვნულ საქმეს უნდა ემსახურებოდეს, ამასთან მართვის (მენეჯერული) მთელი სისტემა მიზნად უნდა ისახავდეს იმას, რომ გაზარდოს სახალხო მეურნეობის ყოველი რგოლის წვლილი, რათა მივაღწიოთ უმაღლეს მიზანს - საზოგადოებრივ და კერძო აუცილებელ მოთხოვნილებათა სრულ დაკმაყოფილებას. ეს კი ნიშნავს ყველაზე დიდი შედეგების მიღწევას ყველაზე ნაკლები დანახარჯებით. ეს არის საზოგადოებრივი შრომის დანახარჯებში ეკონომიის განხორციელების მაღალ დონეზე აყვანის პრინციპი, რომელიც საფუძვლად უნდა დაედოს მეურნეობრივი ხელმძღვანელობის, დაგეგმვის, აღრიცხვის, სტატისტიკის და ეკონომიკური ანალიზის ყველა რგოლის საკუთრების ყველა ფორმასა და სექტორში.

ყველა სახის ეკონომია საბოლოო ჯამში ვლინდება სამუშაო დროის დანახოვებით, ე.ი. ცოცხალი და განიეთებული შრომის ეკონომიაა. სამუშაო დროის ეკონომია არის საზოგადოებრივი წყობის საყოველთაო კანონი აქედან გამომდინარე, სამუშაო დროის ეკონომია არის კანონი.

სამეურნეო საქმიანობა ვითარდება ძირითადი ეკონომიკური კანონის მოთხოვნის შესაბამისად, საზოგადოების მზარდი მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. ეროვნული, პიროვნული და სახელმწიფოებრივი ინტერესების დასაკმაყოფილებლად.

მინიმალური დანახარჯებით მაღალხარისხოვანი მაქსიმალური შედეგების მისაღებად დიდი მნიშვნელობა აქვს შიდა საწარმოო გეგმების სწორად დამუშავებასა და მათ სახალხო მეურნეობის მასშტაბით გაერთიანება-განზოგადებას. ადამიანთა მოთხოვნილებების შესაბამი-

სად, საბაზრო ეკონომიკისა და სამეურნეო კავშირების გათვალისწინებით შედგენილმა სახალხო მეურნეობის გეგმებმა უნდა განსაზღვრონ მთლიანად სახალხო მეურნეობის, მისი დარგების, ცალკეული საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების (კერძო მეწარმეთა ჩათვლით) განვითარების მიმართულებები, მასშტაბები, ტემპები და პროპორციები, ამისათვის გეგმები განყენებული ბიუროკრატიული აპარატის კაბინეტებში კი არ უნდა იქმნებოდენ, არამედ საზოგადოების, მეწარმისა და ბიზნესის მოთხოვნათა შესაბამისად ადგილზე, პირველადი რგოლებიდან უნდა მუშავდებოდეს.

ეკონომიკური ანალიზის მნიშვნელობა, შინაარსი და საგანი განისაზღვრება მათ წინაშე მდგარი ამოცანებითაც. მათ შორის უმთავრესია:

1. გეგმების (საწარმოო, ბიზნეს, ინდიკატორი, პერსპექტიული და სხვა) და ნორმატივების მეცნიერულ-ტექნიკური დასაბუთების ამაღლება;

2. ბიზნეს გეგმების (პროგრამების) შესრულების ობიექტური გამოკვლევა და ნორმატივების დაცვა;

3. შრომითი, მატერიალური და ფინანსური რესურსების გამოყენების ეკონომიკური ეფექტიანობის განსაზღვრა;

4. კომერციული ანგარიშსწორების მოთხოვნების განხორციელებაზე კონტროლი (აუდიტი);

5. შიდა რეზერვების გამოვლენა და გაზომვა;

6. მმართველობითი გადაწყვეტილებების ოპტიმალურობის განსაზღვრა-გამოცდა.

**ეკონომიკურ ანალიზს დიდი მნიშვნელობა აქვს სახალხო მეურნეობის განვითარების სწორი გზების შედგენის საქმეში.** ანალიზი გამოავლენს საწარმოს (ასევე დარგების, გაერთიანებებისა და ქვეყნის მასშტაბით) გეგმის შესრულების მიმდინარეობას, ხელისშემშლელ მიზეზებს, წარმოებისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის, პროდუქციის გაუმჯობესების, თვითღირებულების შემცირების და რეზერვების გამოვლენის შესაძლებლობებს, რაც წარმოების განვითარებისა და მომავალი გეგმების შედგენის საშუალებას იძლევა. ანალიზის დახმარებით ხორციელდება გეგმის შესრულების შეფასება და თვით გაუმჯობესებული მონაცემების დაზუსტება შეფასებები.

გეგმის შესრულებასთან ერთად უმნიშვნელოვანესი საკითხია, თუ რა საშუალებებით სრულდება გეგმა და როგორია წარმოების ეფექტურობა, მიმდინარეობს ეკონომიკისა და ყაირათიანობის განხორციელება, როგორია შრომითი რესურსების გამოყენების დონე და სხვა.

ამასთან დაკავშირებით საწარმოს კოლექტივის (მეწარმეთა) უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ედიოს და გამოავლინოს წარმოების წიაღში არსებული ფარული რეზერვები. ეს კი მეცნიერულ საფუძველზე აგებულ ღრმა ანალიზის ჩატარების გარეშე შეუძლებელია. აქედან გამომდინარეობს ეკონომიკური ანალიზის ჩატარების მეთოდების შემუშავების ობიექტური აუცილებლობა.

დღევანდელ პირობებში, როდესაც წარმოების მასშტაბები გაიზარდა გიგანტური მასშტაბებით (მსოფლიოში), შრომის დანაწილების შედეგად სამეურნეო პროცესები ზორციელდება ურთულესი ტექნიკისა და ტექნოლოგიის გამოყენებით, მეურნეობის გაძლიერება, ცალკეული სამეურნეო სუბიექტებისა და ორგანიზაციების მართვა წარმოუდგენელი გახდა ანალიზის გარეშე.

**ეკონომიკური ანალიზი წარმოადგენს მეურნეობრივი ხელშეწყობის მართვას და ორგანიზაციის გაძლიერების მიზნებს.**

მაშასადამე, სამეურნეო საქმიანობის ეკონომიკური ანალიზი დაფუძნებულია ეკონომიკური პროცესების კანონებისა და კატეგორიების ღრმა ცოდნაზე და ეკონომიკური პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი ნაწილია.

საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობათა დანერგვის შესაბამისად წინა პლანზე გამოდის მარკეტინგის პრინციპების განხორციელების ამოცანები, რომელიც წარმოებისა და გასაღების მართვის სისტემასა და მოგების მაქსიმიზაციას ითვალისწინებს.

წარმოების განვითარებისათვის, სამეურნეო კავშირების განხორციელება-გაფართოებისათვის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა და წარმოებით ურთიერთობათა შემდგომი განვითარება. ეკონომიკური ანალიზი მნიშვნელოვანი იარაღია რეზერვების მობილიზაციის საქმეში მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაქმნელად.

ეკონომიკური ანალიზი გამოავლენს მატერიალური, შრომითი და ფულადი რესურსების სწორად და ყაირათიანად გამოყენების გზებს. წარმოებაში მომჭირნეობის რეჟიმის განხორციელების საშუალებებს და სამეურნეო ანგარიშობის განმტკიცების პირობებს, და ბოლოს, ეკონომიკური ანალიზი იძლევა მუშაობის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების ცვლილებების შეფასებას, ამ ცვლილებებში პროგრესული ან არასასურველი ტენდენციების ობიექტური მიზეზების გამოვლენის შესაძლებლობას.

ზემოთქმულიდან გამომდინარე ეკონომიკური ანალიზის ძირითადი ამოცანაა - გამოავლინოს და შეისწავლოს ეკონომიკური კანონების ზემოქმედება საწარმოს მუშაობის ტექნიკურ ეკონომიკურ მაჩვენებლებზე, ხელი შეუწყოს საზოგადოებრივი წარმოების ეფექტურობის გვეგზაზომიერ ამაღლებას, მობილიზაცია გაუკეთოს წარმოების რეზერვებს და დასახოს შემდგომი სრულყოფის გზები. კონკრეტულად:

სამეურნეო საწარმოო გეგმების სწორი შედგენა და მათი შესრულების მსვლელობის სისტემატური კონტროლი. გეგმების შესრულების შედეგების შეფასება და განზოგადება, მატერიალური, შრომითი და ფულადი რესურსების სწორი და ყაირათიანი გამოყენება, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება, საწარმოო რეზერვების გამოვლენა და მათი გამოყენება, შრომის ნაყოფიერების ამაღლება, ხელფასისა და პრემი-

ების სწორი გამოყენება სტიმულირების თვალსაზრისით, რენტაბელობის აძლევს, მოწინავე გამოცდილებისა და მეთოდების გავრცელება, მარკეტინგის ღონე და სხვა.

ამასთან აუცილებელია საკუთრების შესაბამისი კერძო და საზოგადო ინტერესების გათვალისწინება, მარკეტინგისა და მენეჯმენტის მეთოდების გამოყენება, და ხელშეკრულებათა შესრულება.

ეკონომიკური ანალიზის მნიშვნელობა და ამოცანები, რასაკვირველია, არ ამოიწურება ზემოაღნიშნული განმარტებებით-სამეურნეო სიტუაციების მრავალმხრივობა და ვარიანტების სიმრავლე ეკონომიკური ანალიზის წინაშე აყენებს უამრავ ავტონომიური ხასიათის ამოცანებს. მათი გადაწყვეტა შესაძლებელია საერთო და კერძო ანალიზის მეთოდების გამოყენებით.

## ✓ §2. ეკონომიკური ანალიზის საგანი

აღამიანთა საზოგადოების განვითარებასთან ერთად გროვდება და სრულყოფილი ხდება აღამიანთა მეცნიერული ცოდნა ბუნებასა და საზოგადოებაში მოვლენათა კანონების შესახებ.

მოვლენათა კანონების შესწავლის შესაბამისად ცალკეული მოვლენები ან მოვლენის კონკრეტული მხარეები შესწავლის დამოუკიდებელი ობიექტები ხდებიან. დაგროვილი ცოდნის დიალექტიკური დიფერენციაციისა და ინტეგრაციის ხიდადგზე პოლიტიკურ ეკონომიას გამოეყო ისეთი სპეციალური მეცნიერებები, როგორც არის: ორგანიზაცია და მართვა, სახალხო მეურნეობრივი და დარგობრივი დაგეგმვა, ბუღალტრული აღრიცხვა, ეკონომიკური სტატისტიკა, ფინანსები და კრედიტი, ეკონომიკური კიბერნეტიკა და მათ რიცხვს კანონიერად მიეკუთვნება მათთან მჭიდრო კავშირში მყოფი ეკონომიკური ანალიზი.

ყველა ცალკეულ მეცნიერებას აქვს თავისი შესწავლის საგანი. პოლიტიკური ეკონომია იხილავს წარმოების, განაწილების, გაცვლისა და მოხმარების ეკონომიკურ კანონებს.

ეკონომიკის დარგობრივი მეცნიერებები სწავლობენ საერთო კანონების მოქმედებას დარგის სპეციფიკურ პირობებში. კერძოდ, სახალხო მეურნეობის ცალკეულ დარგებში საწარმოო ურთიერთობის განვითარების თავისებურებებს, მათ ურთიერთკავშირს საწარმოო ძალებთან, ტექნიკასთან და ტექნოლოგიასთან. სპეციალური ეკონომიკური მეცნიერებები კი იხილავენ ეკონომიკის ცალკეულ არსებით ნიშნებს ან მხარეებს უფრო დაწვრილებით თეორიულ და ისტორიულ ასპექტში.

**ამონომიკური ანალიზის, რომლის სამთავრო მდინდრებას ასავე აქვს თავისი შესწავლის საგანი, რომელი სახელწოდებითაა გამოიწინარებს ეს არის სამეურნეო სამშინრობა და მასთან დაკავშირებული უზალდი ურთიერთობა. უზრო უზუსტად, ამონომიკური ანალიზის ძალევის საგანია ამონომიკა (მეურნეობა), აღამიანთა წარმომბრძვი ურთიერთობა.**

ეკონომიკური ანალიზი ფართო გაგებით მოიცავს მატერიალური წარმოების ყველა რგოლს, ვიწრო გაგებით მატერიალური წარმოების ცალკეული რგოლის ეკონომიკას. ე.ი. კონკრეტულად რომ ვთქვათ, ეკონომიკური ანალიზის შესწავლის საგანია ყველა სახის ეკონომიკური ინფორმაციის მონაცემების საფუძველზე ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების ზემოქმედებით შედეგინილი სამეურნეო პროცესები. მეურნეობრივი საქმიანობის პროცესში წარმოების, განაწილების, გაცვლისა და მოხმარების უშუალო განხორციელება.

მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი მ.ი.პაკანოვი ეკონომიკური ანალიზის საგანს განმარტავს შემდეგი ფორმულირებით: ეკონომიკური ანალიზის საგანში იგულისხმება საწარმოების, გაერთიანებებისა და სახალხო მეურნეობის სხვა ქვედანაყოფების სამეურნეო პროცესები, რომლებიც იქმნებიან ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების ზემოქმედებით და აისახებიან ეკონომიკური ინფორმაციის სისტემაში.

საწარმო, მიუხედავად მისი საკუთრების ფორმისა, ახორციელებს გეგმის შესაბამისად საწარმო-სამეურნეო-საფინანსო საქმიანობას, სამეურნეო ანგარიშის საფუძველზე უზრუნველყოფს უდიდესი შედეგების მიღწევას, მატერიალური და ფინანსური რესურსების მინიმალური დანახარჯებით, მაქსიმალურად გამოიყენებს საწარმოო სიმძლავრეებს, მკაცრად იცავს მომჭირნეობის რეჟიმს, ნერგავს მეცნიერებისა და ტექნიკის უახლოეს მიღწევებს, იყენებს მოწინავე გამოცდილებას, ნედლეულის, მასალების, სათბობის, ენერჯის ხარჯვის პროგრესულ ნორმებს, ამცირებს თვითღირებულებას და ა.შ ყოველივე ეს კი ანალიზის ობიექტს წარმოადგენს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ეკონომიკურ ანალიზს საქმე აქვს მატერიალური წარმოების სისტემასთან არა მარტო დინამიკაში, არამედ - სტატიკაშიც.

მატერიალური წარმოების სისტემაში მეურნეობრივი საქმიანობის ძირითადი რგოლია საწარმო, გაერთიანება, ფირმა და ა.შ. სახალხო მეურნეობის სხვა ქვედანაყოფები.

სამეურნეო ობიექტი არა მარტო საწარმოო ტექნიკური კომპლექსია, არამედ, ამავე დროს, არის წარმოებით ურთიერთობათა პირველადი სტრუქტურული რგოლი. საზოგადოებაში წარმოებითი ურთიერთობა ვლინდება საწარმოს სამეურნეო ანგარიშში, რომელიც ამავე დროს ფინანსური მდგომარეობის განზოგადებას გულისხმობს. სამეურნეო ანგარიში გამოავლენს ეკონომიკური კანონებისა და კატეგორიების მოქმედებას. სამეურნეო ანგარიში (ანგარიშიანობა) წარმოებითი ურთიერთობის ის მხარეა, რომელსაც შეისწავლის საწარმოთა სამეურნეო საქმიანობის ეკონომიკური ანალიზი.

**ეკონომიკური ანალიზი საწარმოო სამეურნეო შედეგების შეფასების საშუალებაა.** ამ დროს სამეურნეო საქმიანობის ერთიან გან-

მაზოგადებელ მაჩვენებლებზე მრავალი რთული ეკონომიკური კატეგორია მოქმედებს.

საწარმოს საქმიანობის შედეგების სწორი შეფასება კი შეიძლება მხოლოდ მუშაობის შედეგებისა ერთიან განმაზოგადებულ მაჩვენებლებზე მოქმედი ცალკეული ეკონომიკური კატეგორიების უმარტივეს შემადგენელ ნაწილებად დაყოფით და მათში რაოდენობრივი და ხარისხობრივი ცვლილებების ღრმა შესწავლით. ეკონომიკური მაჩვენებლების დაყოფა მის შემადგენელ ნაწილებად, მათი ცალკეულად შესწავლა და კომპლქსური და ზოგადი დასაჯინების გამოტანა არის ეკონომიკური ანალიზის ძირითადი ნაწილი.

ყოველ სამეურნეო საწარმოს აქვს თავისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რომელშიც იგულისხმება ძირითადი და საბრუნავი ფონდები ანუ წარმოების საშუალებები. ეკონომიკური ანალიზი შეისწავლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შედგენილობას, მის გამოყენებას და ეძებს გზებს ამ ბაზის სრულყოფისა და უკეთ გამოყენებისათვის.

ეკონომიკური ანალიზი სწავლობს კონკრეტული სამეურნეო სუბიექტის პროდუქციისა და ბაზრის მოთხოვნა-მიწოდებას, შესაბამისად საზღვრავს პროდუქციის გამოშვების მოცულობას, მომხმარებლებთან კავშირებს და პირობებს. საწარმოთა საქმიანობა ხორციელდება სახალხო მეურნეობრივი გეგმური, ბაზრის მოთხოვნებით განპირობებული პროპორციული განვითარების ეკონომიკური კანონის მოქმედების შესაბამისად და, აქედან გამომდინარე, საწარმოები უხამებენ საკუთარ გეგმებს საერთო მოთხოვნა-განვითარებას, აკეთებენ საწარმოო, სამეურნეო-საფინანსო, ტექნიკურ-ეკონომიკურ, ბიზნეს და სხვა გეგმებს. ეკონომიკური ანალიზი შეისწავლის გეგმების სისწორეს, გეგმებისა და ვალდებულებების შესრულებაზე მოქმედ ფაქტორებს და შესაბამისად იძლევა სამეურნეო საქმიანობის შედეგების შეფასებას (დახასიათებას).

ეკონომიკური ანალიზის შესწავლის საგანია სამეურნეო საწარმოს ფინანსური ურთიერთობები და მათი განხორციელებათა შედეგები. ე.ი. შეისწავლის ყველა სახის რესურსების ეფექტური გამოყენების შესაძლებლობასა და ფულად ურთიერთობათა საგვემო დავალებების შესრულებას.

ასევე ეკონომიკური ანალიზი საზღვრავს თუ რა სარგებლობა მოაქვს ადგილობრივი მოსახლეობისათვის, მესაკუთრისათვის, სახელმწიფოსათვის და რა ზიანს აყენებს ეკოლოგიას, ამასთან რამდენად აღიდეგნება წარმოებით მიყენებული ზიანი.

**შემოთქმულიდან გამოქვინარა, ეკონომიკური ანალიზის შესწავლის საგანს წარმოადგენს საწარმოს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ეკონომიკური ბარაკების (როგორც არის ფული, კრედიტი, მოგება, იჯარა და ა.შ.) მილიანი და სწორი გამოყენება, ხელშეკრულებათა (ვალდებულებათა) შესრულება და საწარმოს მოვარების შედეგები.**


საგნის განმარტებაში ჩართულია აგრეთვე სუბიექტური ფაქტორების შესწავლა, რომელიც გულისხმობს სამეურნეო საქმიანობაში ადამიანთა კონკრეტულ მოღვაწეობას, კერძოდ სამეურნეო პრაქტიკაში ობიექტური ეკონომიკური კანონების საზრიან გამოყენებას, ამასთან დაკავშირებით ეკონომიკური ანალიზის კვლევის საგანია მეურნეობრივი ორგანიზაციის, შრომის და მართვის შედეგები.

და ბოლოს, ეკონომიკური ანალიზი სამეურნეო პროცესების ანალიზის ჩასატარებლად იყენებს სხვადასხვა დონეზე მეურნეობრივი საქმიანობის ყოველმხრივ მახასიათებელ მარკენებელთა სისტემას - მრავალმხრივ ეკონომიკურ ინფორმაციას. რადიონალურად ორგანიზებული და მოწესრიგებული ინფორმაციის ნაკადი წარმოადგენს ეკონომიკური ანალიზის ჩატარების და შესაბამისად ოპტიმალური მართვის გადაწყვეტილებათა მიღების საფას.

განვითარებული საბაზრო ეკონომიკა წარმოშობს ანალიზის დიფერენცირების საჭიროებას, შიდა-მმართველობითი და გარე-ფინანსური ანალიზის სახით. შიდა მმართველობითი ანალიზი - მმართველობითი აღრიცხვის, უფრო სწორედ, ეკონომიკური ანალიზის შემადგენელი ნაწილია, ე.ი. ადმინისტრაციის საინფორმაციო-ანალიტიკური უზრუნველყოფაა საწარმოს ხელმძღვანელობისათვის.

გარე-ფინანსური ანალიზი - ფინანსური აღრიცხვის შემადგენელი ნაწილია საჯარო გამოსაქვეყნებელი ინფორმაციისათვის.

საწარმოს საქმიანობის ეკონომიკური ანალიზის საგნის კლასიფიკაციის სქემას ა. შერეშეტი შემდეგი სახით გვთავაზობს:



### №3. ეკონომიკური ანალიზი, მართვა და დაგეგმვა

დიფერენციაციისა და ინტეგრაციის დიალექტიკურმა პროცესმა განაპირობა ისეთი სპეციალური მეცნიერებების გამოყოფა, როგორიცაა მართვა (მარკეტინგი, მენეჯმენტი) და დაგეგმვა, ბუღალტრული აღრიცხვა-აუდიტი, სტატისტიკა, ეკონომიკური კიბერნეტიკა და სხვა. მათ რიცხვს განეკუთვნება, ასევე მთელი პასუხისმგებლობით, თვით ეკონომიკური ანალიზიც.

იმასთან დაკავშირებით, რომ ცალკეული საგნის, მოვლენის თუ მისი პროცესების ცოდნა ერთიანი მთლიანობაა და შედგება გარკვეული ცალკეული კონკრეტული მხარეებისაგან (ცოდნისაგან), მათი შემსწავლელი მეცნიერებები უშუალო კავშირში არიან ერთმანეთთან და ერთიან ცოდნას ავსებენ. აქედან გამომდინარე, ეკონომიკური ანალიზი ხელმძღვანელობს პოლიტიკური ეკონომიის ძირითადი დებულებებით და უშუალო კავშირშია მეურნეობრივი საქმიანობის მართვასთან, საინაზრო ეკონომიკასთან, დაგეგმვასთან, აღრიცხვასთან და სხვა ეკონომიკურ მეცნიერებებთან.

განვითარების თანამედროვე ეტაპზე მთლიანად სახალხო მეურნეობის, მისი ყველა დარგის, საკუთრებისა თუ კუთვნილების შესაბამისად სამეურნეო ქვედანაყოფისა და რგოლის მართვა ერთ-ერთ ძირითად ამოცანად გვევლინება.

სახალხო მეურნეობის მართვის რთული ფუნქციისაგან შეიძლება გამოვყოთ შემდეგი დაჯგუფება: პროგნოზირება, დაგეგმვა, ორგანიზაცია, კოორდინაცია (რეგულირება), ეკონომიკური კავშირები, სტიმულირება და კონტროლი. მეურნეობრივი (წარმოების) მართვის პრინციპები უნდა შეესაბამებოდეს საკუთრების ფორმას, ითვალისწინებდეს სახელმწიფოებრივ და დარგობრივ ინტერესებს, ეკოლოგიას და ადგილობრივი მოსახლეობის პირობებს (მოთხოვნილებებს). ამასთან მართვაში აუცილებელია ისეთი საკითხების გათვალისწინება, როგორც არის: ერთპიროვნულობა და კოლექტივობა, ინდივიდუალური პასუხისმგებლობა, კოლექტივის მონაწილეობა, აქციონერთა ინტერესები, ეკონომიის რეჟიმის დაცვა, ხელმძღვანელობის კონკრეტულობა და ოპერატიულობა, ობიექტურობა და გადაწყვეტილებათა მეცნიერული დასაბუთება, ბიზნესისა და მარკეტინგის გათვალისწინება.

მართვის დასახელებული ფუნქციების შესრულებისათვის ეკონომიკური ანალიზი იძლევა კონკრეტულ მეცნიერულად დასაბუთებულ რასკენებს, რომლებსაც უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვთ სწორი მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებისათვის, ოპტიმალური ვარიანტების შერჩევისათვის და პროგნოზირებისათვის.

წარმოების განვითარების წინასწარი განჭვრეტისა და სწორი მიმართულებათა განსაზღვრისათვის ეკონომიკური ანალიზის ერთ-ერთი მთავარი საკითხია მეურნეობრივი საქმიანობის განხორციელებისა და მისი შედეგების წინასწარი პროგნოზირება პერსპექტივაში.

**პროზნოზირება ნიშნავს შესაძლო შედეგების წინასწარ წარმოგებას (განმარტებას).**

ეკონომიკური ანალიზი მჭიდრო კავშირშია მმართველობის ისეთ უმნიშვნელოვანეს ფუნქციასთან, როგორც არის დაგეგმვა.

**სამეურნეო სამართავის დაგეგმვა** ითვალისწინებს ეკონომიკური და სოციალური განვითარების მიმდინარე და პერსპექტიული გეგმების დამუშავებას, როგორც ცალკეულ საწარმოში, ასევე რეგიონისა და ქვეყნის მასშტაბით. გეგმების მეცნიერული დასაბუთება კი მოითხოვს მიღწეული დონის მაჩვენებლების მეცნიერული პროგრესის შესაბამისად ანალიზურ-ეკონომიკურ გაანგარიშებიდან გამომდინარე ღრმა საფუძვლიან ანალიზს. ამ ამხრივ ეკონომიკური ანალიზი პირდაპირ კავშირშია დაგეგმვასთან და ეკონომიკური ანალიზით მიღებული შედეგები წარმოადგენენ გეგმების შედგენის აუცილებელ მასალას და პერსპექტიული პროგნოზირების წყაროს.

გეგმის მოსალოდნელი შესრულების ანალიზი ასევე მჭიდროდ უახლოებს ერთმანეთს დაგეგმვასა და ეკონომიკურ ანალიზს.

მეცნიერულად დასაბუთებული მიმდინარე და პერსპექტიული გეგმების შედგენის მოთხოვნილება უსაზღვროდ იზრდება. დაგეგმვის პროცესების შესაბამისად ასევე ერთდროულად იზრდება ეკონომიკური ანალიზის როლიც, ის ეხმარება გამოყენებული შიდა რეზერვებისა და განვითარების ობიექტური პროპორციების გამოვლენაში, გეგმაზომიერი პროპორციული განვითარების კანონის დარღვევის დადგენაში და ა. შ.

დაგეგმვასა და ეკონომიკურ ანალიზს შორის საერთოა ის გარემოება, რომ ორივე ეხმარება სახალხო მეურნეობის განვითარებას და ამ საქმის განსახორციელებლად დაგეგმვა თვითონაც დამოუკიდებლად ატარებს გარკვეული სახის ანალიზს, მაგრამ ანალიზის ჩატარების მეთოდოლოგია და მეთოდური ხერხები მისი შესწავლის საგანი არ არის, რაც ძირითადად განასხვავებს მათი შესწავლის საგნის შინარსსა და ამოცანებს.

საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნათა შესაბამისად სწორი მეურნეობრივი გეგმების შედგენა ხელს უწყობს საწარმოების ეფექტურობის ამაღლებასა და კონკურენტუნარიანობის დაცვას.

**ორგანიზაცია** როგორც მართვის ერთ-ერთი ფუნქცია ითვალისწინებს საწარმოებისა და დარგის, საკმაოდ ფართოდ, ეკონომიკური ანალიზის შედეგების გამოყენებას. ასევე ეკონომიკური ანალიზი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ნაკლოვანებათა და დაშვებულ შეცდომათა გამოვლენისა და აღმოფხვრის საქმეში.

ანალიზის მეოხებით შესაძლებელია გამოვლინდეს და შეფასდეს ადგილობრივი თავისებურებანი, ადგილებიდან თაოსნობა და ინიციატივა, მათი თანმიმდევრული შესწავლა და შედარება იძლევა გამოცდილებათა გაზიარებისა და გავრცელების შესაძლებლობებს, კონკუ-

რენტუნარიანობის გამოვლენას, რაც გარკვეულ როლს ასრულებს სახალხო მეურნეობის განვითარების საქმეში.

მეურნეობრივი საქმიანობა მოიცავს მომარაგებასთან, წარმოებასთან და რეალიზაციასთან დაკავშირებულ ყველა ეკონომიკურ ურთიერთობას. აქედან გამომდინარე, წარმოების ეკონომიკური ანალიზი იძლევა ნედლეულისა და მასალების მიწოდებათა ურთიერთობის დამყარების შერჩევის განსაზღვრის საშუალებას, მათთან ურთიერთობის პროგრესიულ ვარიანტებს, წარმოების ეფექტურობის გამოვლინების საშუალებას, შრომის ანაზღაურების ფორმებს და აქედან გამომდინარე ფართის განხორციელების შესაძლებლობას. შემდგომ კი პროდუქციის მომხმარებელზე მიწოდების შედეგად საბოლოო შედეგების გამოვლენა-შეფასებას.

ამ გაგებით ეკონომიკური ანალიზი იძლევა სწორი კავშირების საუკეთესო ვარიანტების დადგენის შესაძლებლობას.

**სტიმულირება** გარდა შრომის ანაზღაურებისა მოიცავს პრემიებს, საზეგანაკვეთო დანამატებს, ჯილდოებს, მოგებაში წილის დადებას, აქციების გავრცელებას, დივიდენდების მოცულობას და სხვა. ეკონომიკური ანალიზის შედეგად სტიმულირების მეთოდების რეკომენდაციები ერთ-ერთი მიზანშეწონილი საშუალებაა წახალისებისა და მატერიალური უზრუნველყოფისათვის.

სამეურნეო პროცესების მიმდინარეობის ოპერატიული ანალიზი, ამავე დროს, წარმოადგენს აგრეთვე გეგმებისა და პროგრამების შესრულების მდგომარეობისა და მიმდინარეობის კონტროლს. საწარმო-სამეურნეო საქმიანობის მართვის საქმეში პრაქტიკულად იყენებენ ეკონომიკურ ანალიზს. ამდენად, ეკონომიკური ანალიზი წარმოების სამეურნეო პროცესებზე კონტროლის საშუალებაა.

მმართველობაზე საუბრის დროს ეკონომიკური ანალიზისათვის საგულშიმსხმო საკითხია წარმოების მმართველობითი შრომის შეფასება. სწავლულთა უმრავლესობა, ასევე პრაქტიკოსებიც მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ადამიანის ფაქტორს უდიდესი მნიშვნელობა აქვს. „ტექნიკა ადამიანების გარეშე მკვდარია“.

მმართველობითი შრომა გულისხმობს არა მარტო პირად შრომას, არამედ მასზე დამოკიდებულ (დაქვემდებარებულ) მუშაკების შრომის დაგეგმვას, წარმართვას და შესაბამის შედეგებზე პასუხისმგებლობას. დიდი კორპორაციები სოლიდურ თანხებს ხარჯავენ ხელმძღვანელობის უნარის მქონე პირების გამოვლენა-მომზადებისათვის. შემოღებული აქვთ მენეჯერის სპეციალობა.

განსაკუთრებით მეთვალყურეობას მოითხოვს თვითღირებულების შემადგენელი დანახარჯები.

ამ მხრივ მხოლოდ ეკონომიკურ ანალიზს შეუძლია გაუწიოს კონტროლი ცოცხალი და განივთებული შრომის სწორად და რაციონალურად გამოყენებას, ფართის განხორციელებას და შემოსავლების გადიდებას.

ეკონომიკური ანალიზი იყენებს ყველა სახის აღრიცხვა-ანგარიშგების მონაცემებს. ეს გარემოება კი უშუალოდ აკავშირებს მას ბუღალტერიასა და სტატისტიკასთან, რომლებიც გარკვეული მოცულობით და სახით თვით ატარებენ ანალიზს და იყენებენ ანალიზისათვის უკვე დამუშავებულ ხერხებსა და მეთოდებს.

ბუღალტრული აღრიცხვა წარმოადგენდა და წარმოადგენს საწარმოს (სამეურნეო სუბიექტის) საქმიანობის შესახებ ეკონომიკური ინფორმაციის ძირითად „მიმწოდებელს“ და სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის ანალიზის ჩატარების ბაზას, ხოლო ეკონომიკური ანალიზისა და სტატისტიკის კავშირის სიმჭიდროვე გამოიხატება იმაში, რომ მეურნეობრივი საქმიანობის ჭრილში იყენებს სტატისტიკური აღრიცხვის მონაცემებს და აგრეთვე სტატისტიკური მეცნიერების მიერ დამუშავებული მეთოდებით აესებს ანალიზის ხერხებისა და მეთოდების არსენალს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ეკონომიკური მეცნიერებები ობიექტური ეკონომიკური კანონების მოქმედების შესასწავლად იყენებენ ეკონომიკური ანალიზის მეთოდებს და ხერხებს, მაგრამ თვით ეკონომიკური ანალიზის მეთოდოლოგიასა და მეთოდებს არ იკვლევენ და არც ამუშავებენ. **სამეურნეო-საფინანსო საქმიანობაზე ანალიზის ერთიან მეთოდოლოგიასა და მეთოდებს შესწავლის მათემატიკური ანალიზი.**

ეკონომიკურ მეცნიერებათა ურთიერთკავშირი და დამოკიდებულება შეიძლება შემდეგი სქემით გამოისახოს

	კონკრეტული ეკონომიკური მეცნიერებები	
	დაგვეყვას ეკონომიკა საწარმოს ეკონომიკა ქვეყნის ეკონომიკა და ა.შ.	
ვანსაკუთრებული ეკონომიკური ფორმებისა და ორგანიზაციების ეკონომიკა	ზოგადი ეკონომიკური თეორია (პოლიტიკური ეკონომია)	ინფორმაციულ-ანალიტიკური მეცნიერებები
ფინანსები, კრედიტი, მარკეტინგი, ბუნებათმცოდნეობის ეკონომიკა და სხვა.		ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდები, სტატისტიკა, სამეურნეო საქმიანობის ანალიზი
	ისტორიულ-ეკონომიკური მეცნიერებები	
	ეკონომიკური აზრის ისტორია, სახალხო მეურნეობის ისტორია	

### III თავი

## ეკონომიკური ანალიზის მეთოდი და ხერხები

### §1. ეკონომიკური ანალიზის მეთოდი

კვლევის მეთოდი გულისხმობს რეალური სინამდვილის შეცნობის წესებსა და ხერხებს. კვლევის ყველაზე სრულყოფილი მეთოდია ობიექტური ლოგიკიდან გამომდინარე დიალექტიკური მეთოდი.

ყველაზე სრულყოფილი კვლევის მეთოდად, მკვლევართა უმრავლესობა დიალექტიკურ მეთოდს მიიჩნევს. მარქსისტების თვალსაზრისით ჰეგელის იდეალისტური მეთოდის შებრუნებული სახე მატერიალისტური მეთოდი, არის ყველაზე ჭეშმარიტი. ჩვენ კი დავძენთ, რომ მოვლენის შესაბამისი შეფასება არის ჭეშმარიტება და მასში სუბიექტური თვალსაზრისების შეტანა სინამდვილის დამახინჯებას ნიშნავს.

კვლევის დიალექტიკური მეთოდი როგორც ბუნების, საზოგადოებისა და აზროვნების განვითარების კანონების შეცნობის მეთოდი, გამოიყენება ყველა მეცნიერებაში.

ჩვენს მიერ შემოთავაზებული და დამუშავებული ეკონომიკური ანალიზი, თავის კვლევას აგებს დიალექტიკური მეთოდის - ბუნებისა და საზოგადოების განვითარების შესახებ მეცნიერული მეთოდის - დებულებებზე.

**ეკონომიკური ანალიზის კვლევის მეთოდი გულისხმობს სამეცნიერო პროცესების, მათი წარმოქმნისა და განვითარების შესწავლისას დიალექტიკურ მიდგომას.**

კვლევის დიალექტიკური მეთოდიდან გამომდინარე, ეკონომიკური ანალიზი ყველა ეკონომიკურ მოვლენას განიხილავს განვითარების პროცესში ურთიერთკავშირსა და ურთიერთგანპირობებულობაში. იგი მოვლენის შინაგან წინააღმდეგობათა პროცესში ავლენს იმ ახალს, განვითარებადს, რაც კი პროგრესულია. როგორც ყველა სამეცნიერო დისციპლინას, ასევე სამეურნეო საქმიანობის ეკონომიკური ანალიზის საგანს, კვლევის დიალექტიკური მეთოდიდან გამომდინარე, აქვს ეკონომიკური მოვლენების შესწავლის მისთვის დამახასიათებელი თავისებურებანი.

ეკონომიკური ანალიზის კვლევის მეთოდის პირველი დამახასიათებელი თავისებური ნიშანია ის, რომ იგი გამოიყენებს ეკონომიკური მოვლენის მახასიათებელ მაჩვენებელთა სისტემას და მის ცალკეულ მხარეს. მაჩვენებელთა სისტემაში იგულისხმება ეკონომიკური მოვლენების პროცესების ამსახველი ურთიერთდაკავშირებული რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები, რომლებიც აისახებიან საგემო, სააღრიცხვო და საანგარიშგებო მონაცემებში.

საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრების შესაბამისად ბაზრის მოთხოვნილება წინა პლანზე გამოდის (აქ ეკონომიკურმა ანალიზმა უნდა გაითვალისწინოს როგორც ეროვნული, ასევე საერთაშორისო

**წინასწარი** ანალიზი კეთდება ძირითადი მაჩვენებლების მიხედვით მომავალი პერიოდის გეგმებისა და პროგრამების დასამუშავებლად, ამასთან გამოვლენილი რეზერვების გასათვალისწინებლად, გამოცდილებათა გასავრცელებლად და ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

**ოპერატიული** ანალიზის სახე ითვალისწინებს მეურნეობრივი მმართველობითი საკითხების გადაწყვეტას.

**შედეგობრივი** ანალიზი - გეგმის შესრულების შედეგების შეჯამებას, ფაქტიური ეფექტურობის გაანგარიშებასა და საქმიანობის შედეგების განზოგადება-შეფასებას.

**შინაარსის** მიხედვით ანალიზი ითვალისწინებს სრულ, (კომპლექსურ) და თემატურ (ლოკალურ) შემოწმებას. სრული გულისხმობს საწარმოსა და მისი ქვეგანყოფილების ყველა სამეურნეო საკითხის ანალიზს მათ ურთიერთკავშირში.

თემატური გულისხმობს რომელიმე ცალკეული საკითხის შესწავლას.

**პროცესების** მიხედვით ანალიზი შეიძლება იყოს გამჭოლი და შერჩევითი. გამჭოლი მეთოდი გულისხმობს მოვლენის შედეგის თავიდან ბოლომდე განზოგადება-დახასიათებას, ხოლო შერჩევითი ძირითადად ეყრდნობა საქმიანობის დანიშნულებისამებრ ცალკეული მხარის დაკვირვებას, როგორც არის დროის გამოყენება, დანადგარების მუშაობა, დანახარჯების დახასიათება და სხვა.

**მეცნიერებისა და ავტომატიზაციის** დონის შესაბამისად ანალიზი კეთდება როგორც წინასწარი პროგრამების მიხედვით, ასევე მექანიზებული დამუშავების მაჩვენებლების მიხედვით. გამოთვლითი ტექნიკის დანერგვის შესაბამისად ეკონომიკური ანალიზის მასალების დამუშავება-გაანგარიშებაში ფართოდ მოიკიდა ფეხი ავტომატიზაციაკომპიუტერიზაციამ.

ეკონომიკური ანალიზი სამეურნეო საქმიანობის შესაბამისად შეიძლება დავეყოთ აგრეთვე: კომპლექსურ, თემატურ (ცალკეულ), შიდა და საწარმოთაშორისო (კონსოლიდურ) ანალიზებად.

კომპლექსური გულისხმობს (როგორც უკვე იყო აღნიშნული) სამეურნეო საქმიანობის ყველა მხარეს ურთიერთ კავშირსა და ურთიერთ განპირობებულებაში. თემატურ - ცალკეული მაჩვენებლის ან მხარის შესწავლას. შიდა - საწარმოს რგოლს სამეურნეო სუბიექტს გულისხმობს, ხოლო საწარმოთაშორისო - სტრუქტურული რგოლის გაერთიანებები, როგორც არის საწარმოო გაერთიანებები, კომბინატები, კორპორაციები და ა.შ.

## IV ტაპი

### ეკონომიკური ანალიზის სისტემა და ანალიზის ორგანიზაცია

#### §1. ეკონომიკური ანალიზის წყაროები და ჩატარების ორგანიზაცია

სამეურნეო საქმიანობის ეკონომიკური ანალიზი წარმოიქმნა და განვითარდა ბულალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების მონაცემთა ანალიზის საფუძველზე. ამჟამად ეკონომიკური ანალიზი იყენებს და ანალიზურ მუშაობას ახორციელებს ყველა სახის ეკონომიკური ინფორმაციების მონაცემების გამოყენებით. ეკონომიკური ინფორმაცია არის წარმოების ეკონომიკური მხარის მახასიათებელი ცნობების ერთობლიობა.

ეკონომიკური ინფორმაცია, რომელიც სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის ეკონომიკური ანალიზის წყაროა, შეიძლება დავანაწილოთ შემდეგ ძირითად სახეებად: სამეურნეო აღრიცხვის მონაცემები და ანგარიშგებები, საგემო მონაცემები და პროექტები, სხვადასხვა ნორმატივები და აღრიცხვის გარეშე მასალები.

სამეურნეო აღრიცხვა შეიცავს ოპერატიული, ბულალტრული და სტატისტიკური აღრიცხვის სახეებს. ოპერატიული აღრიცხვა უშუალოდ წარმოების მიმდინარეობისა და დამთავრების დაკვირვების საშუალებაა საწარმოს მეურნეობრივი საქმიანობის ცალკეულ უბანზე. ოპერატიული აღრიცხვის მონაცემები ემსახურება საწარმოო პროცესების მიმდინარეობის ხელმძღვანელობას.

ბულალტრული აღრიცხვა მოიცავს **სამეურნეო ოპერაციების ყველა მხარეს და იძლევა სამეურნეო საშუალებების შეღებვის, მართვით, მართვით, მართვით და გამოყენების შესახებ ინფორმაციას.**

ამჟამად ბულალტრული აღრიცხვის სრულყოფა ხორციელდება მენეჯერული და საფინანსო აღრიცხვის მიმართულებით საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე (გათვალისწინებით).

ბულალტრული აღრიცხვის ერთ-ერთი თავისებურებაა ის გარემოება, რომ იგი სამეურნეო ოპერაციებს აღრიცხავს ფულად საზომ ერთეულებში ნატურალურ ერთეულებთან ერთად, რაც იძლევა საშუალებას, ყველა სახის სამეურნეო ოპერაციები განზოგადდეს ერთიან ფულად მაჩვენებლებში. ყველა სამეურნეო ოპერაციების ბულალტრულ აღრიცხვას საფუძვლად უდევს გამამართლებელი საბუთების არსებობა და ამავე დროს, ის უწყვეტია და მთლიანად დროში, რაც სამეურნეო პროცესებზე მუდმივი დაკვირვების საშუალებას იძლევა. საბაზრო ეკონომიკის პირობიდან მოკვლად: ბულალტრული აღრიცხვა წარმოადგენს სამეურნეო საქმიანობის შესახებ ინფორმაციას შეგროვებისა და მისი ფულად ერთეულში განზოგადების საშუალებას.

**სტატისტიკური აღრიცხვა** ასახავს ერთგვაროვანი მასიური (მასობრივი) მოვლენების რაოდენობრივ მხარეს მათ ხარისხობრივ მხარესთან უწყვეტ კავშირში.

სტატისტიკური აღრიცხვის მონაცემები იძლევა ცნობებს (ინფორმაციას) წარმოების მოცულობის, სამუშაო დროის გამოყენების, გამომუშავების ნორმების შესრულების, შრომის ნაყოფიერებისა და ა.შ. როგორც ცალკეული საწარმოების, ასევე გაერთიანებების, დარგების და მთლიანად სახალხო მეურნეობის მიხედვით. ასევე ტერიტორიის ადმინისტრაციული დპანაყოფების მიხედვით.

სტატისტიკური აღრიცხვა იყენებს მისთვის დამახასიათებელ დაკვირვების სპეციფიკურ მეთოდებს: პირად დაკვირვებას, ფოტოგრაფიას, თვითფოტოგრაფიასა და სამუშაო დროის ქრონომეტრაჟს და სხვა. სტატისტიკა ეყრდნობა ბუღალტრულ და ოპერატიულ მონაცემებს. სტატისტიკური მონაცემები ანალიზური მუშაობის მნიშვნელოვანი წყაროა.

სამეურნეო აღრიცხვა უნდა იყოს მაქსიმალურად ეკონომიური, იძლეოდეს საქმიანობის წარმართვისათვის საჭირო აუცილებელ ცნობებს. ამ მხრივ მექანიზაცია და ავტომატიზაცია ამაღლებს მუშაკების შრომის ნაყოფიერებას, აღრიცხვა-ანალიზის ოპერატიულობას, ცენტრალიზაციის შესაძლებლობებს. აღრიცხვა ისე უნდა იყოს ორგანიზებული, რომ მისი მონაცემების დაჯგუფება, შეჯამება და ანგარიშგების შედგენა იყოს მოხერხებული. ანგარიშგება დგებოდეს ერთიანი სამივე სახის აღრიცხვის მონაცემებიდან. სახელმწიფოებრივი ანგარიშგება უნდა დგებოდეს ყველას ინტერესების გათვალისწინებით ერთიანი დამტკიცებული მოცულობისა და ფორმების მიხედვით, რომელიც უნდა იყოს სამეურნეო საქმიანობის ეკონომიკური ანალიზის ძირითადი წყარო. სამეურნეო საქმიანობის განზოგადებისათვის ანგარიშგებას ყოფენ: შიდათვიურ, თვიურ, კვარტალურ და წლიურ ანგარიშგებად.

საბაზრო ეკონომიკამ მოახდინა აღრიცხვა-ანგარიშგების ლიბერალიზაცია და იგი დაიყო გამოსაქვეყნებელ, ფინანსურ და მმართველობითი აღრიცხვა-ანგარიშგებად. პირველს არეგულირებს სახელმწიფო, ხოლო მეორეს მეწარმე, მენეჯერი.

ანგარიშგებათა დამუშავების მოცულობა, წარდგენის წესები და ვა-ები წესდება შესაბამის ინსტრუქციაზე დაყრდნობით საკუთრებისა და დაქვემდებარების გათვალისწინებით. დებულების თანახმად საწარმოები, გაერთიანებები, სამეურნეო ორგანიზაციები თვიურ, კვარტალურ და წლიურ ანგარიშგებებსა და ბალანსებს უდგენენ: თავის ზემდგომ ორგანიზაციებს, ბანკის დაწესებულებებს, საფინანსო და სტატისტიკურ ორგანოებს (საგადასახადო ინსპექციას). თანდათანობით ანგარიშგებათა წარდგენა ალბათ შეიცვლება სავალდებულო გამოქვეყნებით.

ეკონომიკური ინფორმაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წყაროა ბუღალტრული ანგარიშგება, რომელსაც დიდი ანალიტიკური პოტენციალი აქვს და გამოიყენება როგორც პერსპექტიული, ასევე მიმ-

ინარე ხასიათის მმართველობითი გადაწყვეტილებათა მიღებისათვის. მისი ცენტრალური ფორმაა ბალანსი, რომელიც გამოცდილ ანალიტიკოსს აძლევს წარმოების ფინანსური მდგომარეობის, მისი მდგრადობისა და შესაძლებელი პერსპექტივების საკმაოდ სრულ (აუცილებელ) ხერათს.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში საბუღალტრო ბალანსი გამოცდის სამეურნეო სუბიექტის გამოქვეყნებული ფინანსური ანგარიშგების როგორც ერთ-ერთი ცენტრალური ფორმა. ამიტომ არსებითად იზრდება მისი მომხმარებელი, ხოლო ბალანსის წაკითხვის ცოდნა აუცილებელი ხდება როგორც პროფესიონალი ბუღალტრებისათვის, ასევე წარმოებთან ხელმძღვანელების, აქციონერების, საგადასახადო ინსპექტორებისათვის, ფინანსებისა და ბანკის მუშაკების და ანგარიშგების სხვა მომხმარებლისათვის.

ანალოგიური ინფორმაციის აღქმისას, რომელიც შედის ბალანსი და საბუღალტრო ანგარიშგების სხვა ფორმებში, ადგილი აქვს მკვლევარს სახის სიძნელეებს. ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ დროობრივი კუთვნილებისა და საკუთრების ფორმებისაგან დამოუკიდებლად საწარმოთა და ორგანიზაციათა მოგებებზე გადასახადების დაქვსებასა და საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლასთან დაკავშირებით, სწავლებულია საბუღალტრო ანგარიშგების ახალი ფორმები და იცვლება მათი წარდგენის წესი. ანგარიშგებაში განხორციელებული ცვლილებები სულ უფრო მეტად ასახავს საბუღალტრო აღრიცხვის აერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებს ფინანსური ანგარიშგების იმართ. საბუღალტრო ანგარიშგების შედგენილობისა და შინაარსის იახლე პრაქტიკულად არ იძლევა ფინანსურ ურთიერთობათა ანალიზს ადრე არსებული მეთოდის გამოყენების შესაძლებლობას.

საბუღალტრო ანგარიშგება განიხილავს საწარმოს (მეწაარმეო-აა) როგორც დამოუკიდებელ ეკონომიკურ ობიექტს. ამიტომ საბუღალტრო ანგარიშგება პირველ რიგში ახასიათებს საწარმოს (მეწარმის) საკუთრების შემადგენლობას, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებს. მასში ასევე აისახება ყველა საანგარიშსწორებო ურთიერთობანი სხვა საწარმოებთან და ორგანიზაციებთან, საფინანსო და ახსნო დაწესებულებებთან. საბუღალტრო ანგარიშგებაში ძირითადად მის მოცულობითი მაჩვენებლები (აბსოლუტური სიდიდეები), იგი ყოველთვის წარმოდგენილია ფულადი ფორმით და დაფუძნებულია ერთიან აღრიცხვაზე. საბუღალტრო ანგარიშგების სრულყოფა და ახლერი ინტერპრეტაცია ხრციელდება საფინანსო და მენეჯერიული აღრიცხვის სრულყოფის მიმართულებით. სტატისტიკა კი თავის ძირითად ნაწილს თვლის წარმოების საერთო პროცესებზე დაკვირვებას (ადრექციის შესრულებაზე), ამასთან არა ცალკეული საწარმოს პოზიციონან, არამედ მაკროდონიდან (ტერიტორიის, დარგის). ამის შესაბამიად იქმნება სტატისტიკური საანგარიშგებო ინფორმაცია. გარდა ამი-ა. სტატისტიკური ანგარიშგება მოცულობით მაჩვენებლებთან ერთად

შეიცავს შეფარდებით და საშუალო სიდიდეებს; ფულადი შეფასების გარდა ხდება სხვა საზომების გამოყენებაც; ინფორმაციის ფორმირება ხდება როგორც საბუღალტრო აღრიცხვის, ასევე სხვადასხვაგვარი ამორჩევის გზით (აღწერებით).

ისე, რომ არ შევამციროთ სტატისტიკური ანგარიშგების როლი, კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, მეწარმეობის განვითარება იწვევს პირველ რიგში საბუღალტრო ანგარიშგების სრულყოფის აუცილებლობას, რომელიც ასახავს ფინანსურ ურთიერთობებს და რომელიც თავისი შინაარსით უნივერსალურია. ასევე შეიცავს გარკვეულ სტატისტიკურ მაჩვენებლებსაც. სწორედ ამიტომ განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებში ფუნქციონირებენ მრავალგვარი სპეციალიზებული სახელმწიფო და საზოგადო ორგანიზაციები (ასოციაციები, ცენტრები, კომიტეტები, ბუღალტერთა კავშირები, აუდიტები), რომლებიც სისტემატურად ატარებენ გამოკვლევებს საბუღალტრო ანგარიშგების მომხმარებელთა შორის, რათა შეისწავლონ მოთხოვნები საანგარიშო მაჩვენებელთა სისტემის მიმართ, რომლებიც საშუალებას იძლევიან მმართველობითი გადაწყვეტილებების დეცენტრალიზებულად მიღებაზე. ანგარიშგების შემადგენლობაზე ჩატარებულ გამოკვლევათა შედეგები კანონმდებლობით მტკიცდება ნორმატიულ დოკუმენტებში.

ახალი საბუღალტრო ანგარიშგებისათვის დამახასიათებელი განმასხვავებელი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ არ არსებობს არავითარი გეგმური მაჩვენებლები და ნორმატივები. ამოღებულია მყარი პასივები. ამიტომ ფინანსური მდგომარეობის შესაფასებლად შეუძლებელია ძველი მეთოდების გამოყენება, რომლითაც კლინდებოდა საკუთარი საბრუნავი საშუალებების მეტობა ან ნაკლებობა. ანგარიშგებაში გეგმური მაჩვენებლების არარსებობა არ იძლევა ამ მაჩვენებლებთან სარგებელის ანალიტიკური შედარების მოხდენის საშუალებას, როგორც ეს ადრე კეთდებოდა. შეცვლილია ბალანსის სტრუქტურა. მისი მუხლების ცალკეულ შინაარსსა და შემადგენლობაში შეტანილ დაზუსტებები, რომლებიც გამომდინარებს ანგარიშგების ახალი გეგმიდან.

ამგვარად, წლიური ანგარიშგების ახალი შემადგენლობა ფაქტობრივად შემოიფარგლება სამი ფორმით. ე.ი. ფორმის რაოდენობის მიხედვით ჩვენ უკვე მივუახლოვდით საერთაშორისო პრაქტიკას, რაც შეეხება ანგარიშგების ფორმის შინაარსს, როგორც ჩანს, საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებისადმი მათი სრული ადაპტაციისათვის კიდევ იქნება საჭირო დრო.

საჯარისობა საჭიროებს საკითხის გადაწყვეტას ფინანსური ანგარიშგების გარეგნული ფორმის შესახებაც. განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნების პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ამ საკითხში არ არის მკაცრი რეგლამენტაცია. საანგარიშო დოკუმენტის უმნიშვნელო რაოდენობის შემთხვევაში საბუღალტრო ბალანსის შედგენა ხდება ნების

მიერი ფორმით, ყოველგვარი სტანდარტული ბლანკების გარეშე, შედგება ათეული სტრიქონისაგან და საჭიროებს ორ ხელმოწერას: საწარმოს ხელმძღვანელის და რევიზორის.

ეკონომიკის გარდაქმნისა და საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის პირობებში და ცვლილებების ამ პროცესებთან დაკავშირებული ანგარიშგების მომხმარებელთა წრე აუცილებელს ხდის მოქმედი ანგარიშგების სტრუქტურისა და შემადგენლობის გადასინჯვას. ეს ცვლილებები უნდა განხორციელდეს საბუღალტრო და სტატისტიკურ ანგარიშგებას შორის პრინციპული სხვაობის გათვალისწინებით, რასაკვირველია, მათ წინაშე მდგარი მიზნების პოზიციიდან.

ახალ საბუღალტრო ანგარიშგებაში ერთიანობის პრინციპის განმტკიცება თავის გამოხატულებას იმაში პოულობს, რომ სახალხო მეურნეობის ყველა დარგის ორგანიზაციებისა და საწარმოებისათვის ის ერთიადიგივე გახდა ფინანსურ ურთიერთობათა უნივერსალობის გამო (დარგობრივ თავისებურებათა მოყვანა სტატისტიკურ ანგარიშგებაში ხდება). ახალ საბუღალტრო ანგარიშგებას ადგენენ სამეურნეო ანგარიშზე მყოფი ყველა საწარმოები და ორგანიზაციები, რომლებიც არიან იურიდიული პირები, ერთობლივი საწარმოების ჩათვლით. ამავე ერთიანი ფორმებით ადგენენ საბუღალტრო ანგარიშგებას მცირე საწარმოებიც. კოოპერატივები და კოლექტიურ საკუთრებაზე დაფუძნებული სხვა საწარმოები, სახელმწიფო საწარმოები და ორგანიზაციები, საზოგადო ორგანიზაციების სამეურნეო ერთეულები, ახალ საბუღალტრო ანგარიშგებაში, კერძოდ ბალანსის მაჩვენებელთა ფორმირებისას გათვალისწინებულია გარეშე მომხმარებელთა (ინვესტორთა, კრედიტორთა და აქციონერთა) მოთხოვნები. აგრეთვე საკადასტრო ინსპექციის, საბანკო დაწესებულებების, ამ საკითხთან დაკავშირებული საერთაშორისო სტანდარტების, კერძოდ ევროპული გაერთიანების დირექტივების მოთხოვნები.

საგეგმო მონაცემების შესწავლა და ფაქტიურ მდგომარეობასთან დაპირისპირება ანალიზის ჩატარების აუცილებელი პირობაა. საგეგმო მონაცემებში იგულისხმება ზემდგომი ორგანოების მიერ დამტკიცებული გეგმები, ადგილზე შემუშავებული საწარმოო პროგრამები და კოლექტივების მიერ აღებული ვალდებულებები, ანგარიშგებაში მოცემული საგეგმო მონაცემები არ არის საკმარისი სრულყოფილი ანალიზის ჩატარებისათვის, ამიტომ გამოიყენება სხვადასხვა ეკონომიკური ცნობების მქონე პროექტები, როგორც არის

საწარმოს მშენებლობა და რეკონსტრუქცია, მშენებლობის ხანგრძლივობა, საწარმოს სიმძლავრეების ათვისება, მოწყობილობის მწარმოებლობა, მოწყობილობის, დანადგარებისა და ინსტრუმენტების მუშაობის დროის ნორმები და სხვა.

**ნორმატიული ეკონომიკური ინფორმაცია** გულისხმობს საწარმოო შრომითი და მატერიალური რესურსების გამოყენების ნორმების შესახებ ცნობებს. ნორმა არის წარმოების მოცულობაზე ან პროდუქცი-

ის ერთეულზე, მატერიალურ ფასეულობათა (ნედლეულის, მასლების, ენერჯისა და ა.შ.) და შრომითი რესურსების გამოყენების დანახარჯების დადგენილი მაქსიმალური ზღვარი.

ნორმატიულ ინფორმაციას განეკუთვნება აგრეთვე ცნობები, რომლებიც მოცემულია სხვადასხვა საუწყებო ინსტრუქციებში, საფასურებში, პრეისკურანტებში და სხვა.

ყაირათის გასაწევად, ხარჯების გაწვევისა და კონტროლისათვის მიზანშეწონილია (აუცილებელიცაა) ნორმატივების დაწესება წამრმოების საშუალებზე და მათ შორის საბრუნავ საშუალებებზე.

ეკონომიკური ანალიზი იყენებს აღრიცხვის გარეშე მონაცემებს, როგორც არის: გამოკვლევების, შემოწმებების და რევიზიის აქტები, ცნობები, საწარმოო თათბირებისა და კრებების ოქმები; მოწინავე (გამოცდილი) და ცალკეული მუშაკების წინადადებები, წარმოებასთან დაკავშირებული სხვადასხვა გამოკითხვები და სხვა. ამასთან იზრდება ბაზრის კონიუნქტურის მანკვენებელთა მნიშვნელობა. მომავალში აუდიტის დასკვნებს ექნება დიდი მნიშვნელობა.

ამასთან ერთად საჭიროა აღინიშნოს, რომ მანკვენებელთა დინამიკის ანალიზისათვის აიღება წინა წლების ანალოგიური და შესაბამისი მანკვენებლები, ხოლო საწარმოებს შორის მოწინავე გამოცდილებათა და პროგრესიული მეთოდების გავრცელებისათვის აიღება სხვა ერთგვაროვანი საწარმოების მანკვენებლები (კომერციული საიდუმლოების ფარგლებში).

გამოთვლითი ტექნიკის განვითარებამ, სამეურნეო ოპერაციების (პირველადი ოპერაციების) მანქანებით შესრულებამ და დისტანციური გადაცემების დანერგვამ ხელი შეუწყო შეზღუდულობიდან თავისუფალი და აღრიცხვის სამივე სახიდან განზოგადებული ერთიანი ეკონომიკური ინფორმაციის სისტემის შექმნას.

ინფორმაციის დამუშავების მექანიზაცია-ავტომატიზაციის შეიძღვომი სრულყოფა და კომპიუტერიზაცია მოითხოვს ანალიზის სახეების შემდგომ შესაბამის კლასიფიკაციას.

ზემოთ მოტანილი ეკონომიკური ანალიზის სახეების კლასიფიკაცია არ არის ამომწურავი, მაგრამ საკმაოდ დონით ასახავს ეკონომიკური ანალიზის განვითარების თანამედროვე პერიოდს. ამასთან ეკონომიკური ანალიზის თემა და შინაარსი შეუზღუდავია, იგი შემოქმედებითა და ექვემდებარება პირად ინიციატივას.

სამეურნეო საქმიანობის ეკონომიკურ ანალიზს ატარებენ საწარმოები, ორგანიზაციები, ფირმები (ყველა სამეურნეო სუბიექტი), ტრესტები, კორპორაციები, ფარგობრივი სამმართველოები, უწყებები და სამინისტროები, საფინანსო-საკრედიტო და სტატისტიკური ორგანოები. ანალიზი ჩატარებელთა მიხედვით შეიძლება იყოს შიდა საწარმოო, შიდასაუწყებო და ფუნქციონალური ანუ გარეშე ორგანიზაციების მიერ ჩატარებული. ამჟამად აუდიტორული ფირმების მიერ ეკონომიკური ანალიზის ჩატარების პრაქტიკა მნიშვნელოვნად იკიდებს ფეხს.

სტატისტიკური ორგანოები საწარმოების, სამეურნეო სუბიექტების, დარგებისა და ადმინისტრაციული დანაყოფების მიხედვით განაზოგადებენ საქმიანობის მაჩვენებლებს და იძლევიან ეკონომიკური მოვლენის დახასიათებას.

საფინანსო ორგანოები (მათთან ერთად საგადასახადო ინსპექციები), აკეთებენ სამეურნეო სუბიექტების მიერ ბიუჯეტისაღმი ვალდებულებათა შესრულების და სპეციალურ ფონდებში ანარიცხების სისწორის ანალიზს. იძლევიან საწარმოების ფინანსური მდგომარეობის დახასიათებას.

საკრედიტო-საბანკო ორგანოების მიერ ჩატარებული ეკონომიკური ანალიზი მიიმატება საკრედიტო და საანგარიშსწორებო ფუნქციების განხორციელება-მოწესრიგებისათვის.

ზემდგომი ორგანოების მიერ ჩატარებული ანალიზი ითვალისწინებს საწარმოო-საფინანსო საქმიანობის შედეგების შეფასებას, შემოსავლების განაწილების დადგენას და წარმოების შემდგომ განვითარებას, არგეთვე გაერთიანებათა შიგნით ანგარიშსწორებასა და კავშირურ-თიერთობას.

შიდასაწარმოო ეკონომიკური ანალიზი მოიცავს დამოუკიდებელი (იურიდიული) მეურნეობრივი სუბიექტის მთლიანად და მისი შემადგენელი რგოლების ერთიან და ცალკეულ შემადგენელ ნაწილების მიხედვით ანალიზის ჩატარებას.

შიდასაწარმოო ანალიზი ხორციელდება წინასწარ შედგენილი გეგმის მიხედვით. ანალიზის ორგანიზაცია დამოუკიდებელია საწარმოს მოცულობაზე, მართვის სტრუქტურაზე, აღრიცხვის ორგანიზაციაზე და დარგის თავისებურებაზე, ასევე საკუთრების ფორმაზე.

საწარმოს ეკონომიკური ანალიზის ჩატარების ძირითადი ელემენტებია: ანალიზის გეგმის შედგენა, ანალიზური სამუშაოების საწარმოს შიგნით განაწილება, ანალიზური სამუშაოებისათვის მასალების შერჩევა და თავმოყრა, მათი ხარისხიანობის შემოწმება, შერჩეული მასალების დამუშავება, ანალიზის შედეგების განზოგადება-გაფორმება.

ეკონომიკური ანალიზის ჩატარებაში საჭიროა მიიღოს მონაწილეობა მმართველობითი სამსახურების ყველა ქვედანაყოფებმა.

საწარმოებში ეკონომიკური ანალიზის სამუშაოებს ახორციელებენ ეკონომიკური ბიუროები ან ლაბორატორიები, ჯგუფები, სხვა ფუნქციონალურ განყოფილებებთან ერთად მთავარი ეკონომისტის ხელმძღვანელობით. საწარმოებში, სადაც მთავარი ეკონომისტი არ არის და არც სპეციალური ანალიზის სამსახური, ანალიზს ატარებენ ეკონომიკური სამსახურის მუშაკები (მთავარი ბუღალტერი, მენეჯერი). შესაძლებელია ასევე სპეციალური კომისიის შექმნა ან აუდიტის მოწვევა ანალიზის ჩასატარებლად (საბაზრო ეკონომიკის პირობებში ანალიზი მტყუჯერული სამსახურის უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა).

## §2. ეკონომიკური ანალიზის შედეგების დამუშავებისა და გაფორმების ტექნიკა

ეკონომიკური ანალიზის შედეგების დამუშავებისა და გაფორმების ტექნიკა ემყარება ეკონომიკური ანალიზის თეორიის მეთოდოლოგიურ საფუძვლებს. ერთმანეთისაგან განასხვავებენ დღე-ღამის, ხუთდღიურის (კვირის), დეკადის შედეგებისა და თვის, კვარტლის, წლის შედეგების გარლორმეების ტექნიკას. პირველ შემთხვევაში ანალიზი ემყარება პირველადი დოკუმენტებისა და ოპერატიული აღრიცხვის მონაცემებს. მეორე შემთხვევაში ანგარიშების მონაცემებს, ხოლო აღრიცხვის დოკუმენტები და მონაცემები გამოიყენებიან მოთხოვნილების შესაბამისად, განმარტებების და ზუსტებისათვის.

დღე-ღამის, ხუთდღიურისა და დეკადის მაჩვენებლები, წარმოადგენენ ანალიზის წყაროს და ფორმდება აბსოლუტური და შეფარდებითი ციფრობრივი მონაცემების უტექსტო ჩაწერებით სპეციალურად გაანკუთვნილ დავთრებში (წიგნებში), უწყისებში, ცხრილებში, გრაფიკებსა და ამ დანიშნულების სხვადასხვა რეგისტრებში. ოპერატიული ანალიზის შედეგები ძირითადად ემსახურება მეურნეობრივი საქმიანობის ოპერატიულ მართვას.

მიმდინარე და პერსპექტიული ანალიზი (ე.ი. თვის, კვარტლის, წლის მუშაობის შედეგები) ფორმდება წერილობით, სადაც საჭიროა არგუმენტებული იქნას ცალკეული მოვლენების და მოვლენათა პროცესების ფაქტები ტექსტობრივად, განზოგადდეს ამ ფაქტების ურთიერთკავშირი და განპირობებულობა. აქედან გამომდინარე, საჭიროა შედეგებს გაუკეთდეს დასკვნები და შემუშავდეს გასატარებელ ღონისძიებათა წინადადებები. ყოველივე ეს ფორმდება ანალიზური ბარათების, დასკვნების, მოხსენებებისა და ახსნა-განმარტებების სახით. ასევე ანალიზი (ხშირ შემთხვევაში) ფორმდება ბრძანების სახით.

ეკონომიკური ანალიზის სამუშაოების ტექნიკა და შედეგების გაფორმება მიზანშეწონილია დანაწილდეს შემდეგ ეტაპებად.

1. ეკონომიკური ანალიზის ჩატარების პროგრამის შედგენა;
2. ინფორმაციის შერჩევა და შემოწმება;
3. მაჩვენებელთა გაანგარიშება;
4. მაჩვენებელთა ანალიზური დამუშავება და შედარება;
5. შედეგების განზოგადება და წინადადებების შემუშავება.

ეკონომიკური ანალიზის ჩატარების პროგორამა უნდა ითვალისწინებდეს ანალიზის ჩატარების მიზანს და შედეგების პრაქტიკულ გამოყენებას. წინასწარ შედგეს ანალიზის ჩატარების კალენდარული გრაფიკი, განისაზღვროს ჩამტარებელთა შემადგენლობა და მათი მოვალეობა.

ინფორმაციის მასალების შერჩევა და შემოწმება გულისხმობს ანალიზის მიზნის და პროგრამის შესაბამისად მრავალი სახის ინფორმაციის მასალიდან საჭირო მაჩვენებლებს შერჩევა-გამოყოფის მათ მა-

თემატიკურ და ლოგიკურ შემოწმებას. ასევე მოწმდება რეკვიზიტების სისრულე, სისწორე და მანვენებელთა ურთიერთკავშირი.

მანვენებელთა გაანგარიშება გულისხმობს ეკონომიკური მოვლენების, მათი ცალკეული პროცესების აბსოლუტურ და შეფარდებით მანვენებლებში გაანგარიშებას. ერთი და იმავე სამეურნეო მოვლენის პროცესის მანვენებელი შეიძლება გამოითვალოს სხვადასხვა ერთეულში, მაგ., ეფექტურობის მანვენებელი შეიძლება დაანგარიშდეს შრომის ნაყოფიერებით, რენტაბელობით და სხვა. ნაწარმის დამზადება ცალობით, თანხაში და შრომით საზომებში. შედარებისათვის მანვენებლები იანგარიშება როგორც აბსოლუტურ, ასევე შეფარდებით სიდიდეებში და სხვა.

მანვენებელთა ანალიზური დამუშავება და შედარება ზორციელდება იმ თვალსაზრისით, რომ სრულად გამოვლინდეს სამეურნეო მოვლენებისა და პროცესების კანონზომიერება. ანალიზური დამუშავების მთავარი მიზანია გამოავლინოს მიზეზობრივი კავშირი და განზომილ ცალკეულ ფაქტორთა გავლენა ამა თუ იმ საშედევო მანვენებელზე. ფაქტორთა გავლენა და შესწავლა, განზოგადებულ საშედევო მანვენებელზე მათი გავლენის განსაზღვრა ეკონომიკური ანალიზის ცენტრალური ამოცანაა.

ყველა ფაქტორის გამოვლენა და მათი გავლენის განსაზღვრა პრაქტიკულად მოუხერხებელია, ვინაიდან ყოველთვის და ყველა შემთხვევაში მათი გამოგვნა შეუძლებელია, მაგრამ არსებითი და განმსაზღვრელი ფაქტორის გამოყოფა აუცილებელია.

ეკონომიკური მოვლენისა და პროცესების მანვენებელთა შედარება, ასევე დაპირისპირება, იძლევა მათი განვითარების ტენდენციების დადგენის შესაძლებლობებს.

შედევების განზოგადება და წინადადებების შემუშავება, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს ერთიან სამეურნეო შედეგზე მოქმედი ცალკეული მიზეზების გამოვლენასა და განსაზღვრას, ამ მიზეზებიდან გამომდინარე შესაბამისი დასკვნების გაკეთებას და ღონისძიებათა გატარებისათვის წინადადებების შემუშავებას.

### §3. კომპლექსური ეკონომიკური ანალიზის თავისებურებანი

საწარმოები (სამეურნეო სუბიექტები) მიუხედავად მათი დაქვემდებარებისა და საკუთრების ფორმისა არიან ადმინისტრაციული დასაყოფისა თუ ქვეყნის სახალხო მეურნეობის შემადგენელი ნაწილი, მათი ეკონომიკური კავშირები (გაერპოთანებული მიზნები), ქმნიან სახალხო მეურნეობრივ კომპლექსს, რომელიც განაპირობებს შესაბამის კომპლექსური ეკონომიკური ანალიზის ჩატარების აუცილებლობას. იგი ასევე უნდა მოიცავდეს ეკონომიკის ძირითად რგოლებს, ცალკეული რეგიონების ეკონომიკას, სახალხო მეურნეობის მწარმოებლურ და

არამწარმოებლურ დარგებს და, ბოლოს, მთლიანად მთელი სახალხო მეურნეობის განვითარებას.

მიუხედავად საწარმოთა სხვადასხვა დაქვემდებარებისა და კუთვნილებისა, სამეურნეო ანგარიშის განმტკიცებისადმი მისწრაფება წარმოქმნის სხვადასხვა საწარმოებში მოწინავე მეთოდის შესწავლისა და დანერგვის ინტერესებს. გარდა ამისა, როგორც ერთ უწყებას, ასევე სხვადასხვა უწყებას დაქვემდებარებულ საწარმოთა შორის ეკონომიკური თუ საწარმოო ურთიერთობანი ცალკე რეგიონებში, დარგებში თუ მთლიანად სახალხო მეურნეობაში მოითხოვს კომპლექსური ანალიზის ჩატარებას. აქედან გამომდინარე, საწარმოთაშორისო (მეურნეობათშორისო) კოოპერაციული პროგრამები ანალიზის მიზანია სხვადასხვა საწარმოთა სამეურნეო საქმიანობაში მიღწეული მაკონკრეტული ურთიერთ შედეგების და ღირებულების განსაზღვრის უზრუნველყოფის სხვადასხვა სახის მიზანშეწონილ და რეზერვების გააუმჯობესება.

საწარმოთაშორისო ანალიზი შესაძლებლობას იძლევა შედარდეს, განზოგადდეს და გავრცელდეს მოწინავე გამოცდილებები და მეთოდები. ამ სახის ანალიზში იგულისხმება, რომ არის ქარხანათშორისო, შიდაგაერთიანებთაშორისო შესადარი, რომელიც ასევე არ გამოირიცხავს გარე საწარმოებთან შედარებას, აქვე გასათვალისწინებელია საკუთრებასთან დაკავშირებული ტექნოლოგიური თუ კომერციული საიდუმლოება, მესაკუთრეთა ინტერესები და საკონკურენციო წინააღმდეგობები.

საწარმოთა მუშაობის შესადარ ანალიზს აქვს თავისი ობიექტი. შესადარისი ანალიზის ობიექტი არის გაერთიანებების, საწარმოების, საამქროების, უბნების, სამუშაო ადგილების ერთგვაროვანი შინაარსის (შრომის, ტექნიკური აღჭურვილობის, ტექნოლოგიის, ორგანიზაციის), ერთიანი ზომის (მსხვილი, საშუალო, მცირე საწარმოები) და ასევე ერთი და იმავე პარამეტრების (შრომის ნაყოფიერების, საწარმოო სიმძლავრეების, თვითღირებულების, რენტაბელობის და ა.შ.) მაჩვენებლები.

საწარმოთაშორისო შედარება შემიძლება იყოს სრული და ნაწილობრივი. სრული გულისხმობს შესადარ საწარმოთა, მათ ქვეანაყოფთა მაჩვენებლების კომპლექსურად შესწავლა-ანალიზს. სრული, კომპლექსური ანალიზი ტარდება ძირითადად ერთგვაროვანი დანიშნულების სამეურნეო ობიექტებსა და ერთი დარგის საწარმოების მუშაობის შედეგებზე, ასევე შესაძლებელია ასეთი ანალიზი ჩატარდეს ერთ საუწყებო საწარმოთა მიხედვით.

ნაწილობრივი საწარმოთაშორისო შესადარ ანალიზი კეთდება ცალკეული კერძო საკითხების შესასწავლად, მაგალითად, სიმძლავრეთა ან სამუშაო დროის ათვისება და სხვა.

საწარმოთაშორის შესადარ ანალიზს ძირითადად ატარებენ დარგობრივი ეკონომიკური ლაბორატორიები და გამოთვლითი ცენტრები.

ასევე საწარმოთაშორისი ანალიზის ჩატარებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ უწყებრივი სამმართველო ინსტიტუტები.

ადმინისტრაციულ ტერიტორიული დაყოფა მოითხოვს რეგიონის შესაბამისი ანალიზის ჩატარებას. ამ შემთხვევაში ანალიზის ობიექტი იქნება ცალკეულ რეგიონში ეკონომიკური განვითარების განზოგადებული პროცესები, შიდარეგიონული რეზერვები და ადგილობრივი სოციალ-ეკონომიკური პირობები.

მატერიალური წარმოების განვითარების ეკონომიკური ანალიზის მეთოდიკა რეგიონალურ ასპექტში ძირითადად ეფუძნება ზემოაღნიშნულ საერთო პირნციპებსა და შეეთოდებს. მიუხედავად ამისა, შეიძლება ზოგიერთი თავისებურებანი აღინიშნოს:

1. რეგიონის დარგების ეკონომიკის კომპლექსური განვითარების სახალხომეურნეობრივი სპეციალიზაცია;

2. ბუნებრივი რესურსების მოცულობა და მათი გამოყენება;

3. წარმოებული პროდუქციის საჭიროება ადგილზე და მათი რეგიონიდან ქვეყნის შიგნით გადანაწილება;

4. მოხმარების პროდუქციაზე ადგილობრივი მოთხოვნილებები და შესაძლებლობები;

5. რეგიონში წარმოებული პროდუქციის წილი ქვეყნის მასშტაბით;

6. წარმოება საკუთარი ქვეყნის მოსახლეობის მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად და უცხოეთში გასატანად;

7. მოსახლეობისა და მეწარმეთა მოთხოვნილებათა შესაბამისად ადგილობრივი მომსახურების დარგების განვითარება.

მეცნიერულ-ტექნიკურმა პროგრესმა მკვეთრად დააჩქარა საზოგადოებრივი წარმოების ორგანიზაციის ფორმის განვითარების აუცილებლობა, შესაბამისად წარმოიშვა ეკონომიკური ანალიზის მეთოდების დამუშავების მოთხოვნილებები წარმოების ორგანიზაციისა და მართვის თაობაზე რეგიონის ჭრილში. აქედან გამომდინარე, ცალკეული რეგიონების კომპლექსური ანალიზის ჩატარების ორგანიზაცია იღებს დამოუკიდებელ მიმართულებას.

რეგიონის რეზერვების გამოვლენა და წარმოების ეფექტურობის ამაღლება ტერიტორიული ანალიზისა და მართვის ერთ-ერთი ცენტრალური ამოცანაა.

ცენტრალიზებული მართვის უწყებები საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე მთლიანად ვერ გაითვალისწინებენ რეგიონის ადგილობრივ მოთხოვნებსა და შესაძლებლობებს. აქედან გამომდინარე, ტერიტორიული ეკონომიკური ანალიზის ჩატარებამ საჭიროა ხელი შეუწყოს რეზერვების კომპლექსურ და მიზანშეწონილ გამოყენებას, რეგიონის ყოველმხრივ პროპორციულ განვითარებას, ადგილობრივი მოთხოვნილებების, გამოვნიების, ჩვევების, ეროვნული ტრადიციების და ბაზრის კონიუნქტურის გათვალისწინებით.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მეურნეობრივ-ადმინისტრაციული სტრუქტურების შესაბამისად ერთიანი მეურნეობრივი კომპლექსის ეკონომიკურმა ანალიზმა უნდა მოიცავს:

1. სახალხო მეურნეობის განვითარება; 2. სახალხო მეურნეობის დარგების მწარმოებლური და არამწარმოებლური სფერო; 3. ცალკეული ეკონომიკური და ადმინისტრაციული რაიონების ეკონომიკა და 4. ეკონომიკის ძირითადი რგოლები: გაერთიანებები (კორპორაციები), საწარმოები (ფირმები), ორგანიზაციები (სამეურნეო სუბიექტები), ინდივიდუალური მეურნეობები და შესაბამისად საკუთარი თუ საერთაშორისო ბაზრის კონიუნქტურა.

კომპლექსური ეკონომიკური ანალიზი ასევე უნდა ითვალისწინებდეს ცენტრალიზაციას, დეცენტრალიზაციას, პრივატიზაციას, კუთვნილებას, ზღვარს უნდა აღგენდეს მათ შორის, ასკენიდეს მათ სარგებლიანობას, საზოგადოებრივ, რეგიონალურ, პიროვნულ ასპექტ-ში გამოჰყავდეს დასკვნები მისი სტრუქტურული გაერთიანებებისა და დაქვემდებარების შესახებ. გაითვალისწინოს მოწინავე ქვეყნებისა და წარსულის მართვის შედეგები.

საბჭოთა სოციალისტური ეკონომიკის პირობებში წარმოება მიუხედავად მისი სტრუქტურული დაქვემდებარებისა, მთლიანად ემსახურებოდა ერთიან ინტერესებს, მსოფლიოში კომუნიზმის დამყარების იდეას, რაც იმპერიალისტური დაპყრობის შელამაზებულ თეორიას წარმოადგენდა. ამდენად წარმოება გამოეთიშა ხალხის ინტერესებს და დაექვემდებარა მილიტარისტულ მისწრაფებებს. შედეგიც ის მივიღეთ, რომ სსრკ-ში დაგროვდა უამრავი სამხედრო ტექნიკა, ატომის ბომბები, სამხედრო დანიშნულების (ჯაშუში) თანამგზავრები, მილიონობით არმია და შესაბამისად დეფორმირებული მეურნეობა.

#### §4. ეკონომიკური ანალიზი მართვის ავტომატიზირებულ სისტემაში

აღამიანებმა თავიანთ საქმიანობაში დამხმარედ გამოიგონეს მრავალი სახის სხვადასხვა მანქანები. ეს მანქანები ააღვილებენ შრომას. ამასთან თვით მოითხოვენ მოვლას და გამოყენების ცოდნას, მითუმეტეს ისინი სულ უფრო მეტად ზღვებიან რთულნი და მომთხოვნი.

თანამედროვე ტექნიკის მიმართ აღამიანებმა მეტი უნდა იცოდნენ ვიდრე მისმა წინა თაობამ. მათ უხდებათ ცხოვრება და მოღვაწეობა სწრაფი ცვალებადობის ატმოსფეროში. განსაკუთრებით გართულდა მართვის პროცესები, როგორც საწარმოო, ასევე სოციალურ სფეროში, რაც განსაკუთრებულ როლსა და მნიშვნელობას ანიჭებს ტექნიკას, რომელიც იღებს ინფორმაციას, ამუშავებს მას და იძლევა სათანადო დასკვნებს.

ინფორმაციის მოზღვავებამ სტიმული მისცა ელექტრო გამომოთვლელი მანქანების შექმნას. თანამედროვე, მცირე ზომის ელექტრულ გამომოთვლელ მანქანებს კომპიუტერს უწოდებენ და ეკონომიკური ანალიზის სრულყოფის საქმეში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მათ გამოყენებას.

გამოთვლითი მანქანები, თანამედროვე კავშირურთიერთობის საშუალებებთან კომპლექსში, ქმნიან ანალიზური გამოთვლითი სამუშაოების მექანიზაციის და ავტომატიზაციის შესაძლებლობებს. გამოთვლითი ტექნიკის გამოყენების ეფექტს წარმოადგენს ის გარემოება, რომ ტარდება სამეურნეო საქმიანობის მიმდინარეობისა და მისი შედეგების რთული კომპლექსური გაანგარიშებები (გამოთვლები) სასწრაფო მმართველობითი გადაწყვეტილებათა მისაღებად და გასატარებლად.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და ეფექტურია გამოთვლითი ტექნიკის გამოყენება ურთიერთდაკავშირებული ამოცანების კომპლექსური გადაწყვეტის შემთხვევაში.

გამოთვლითი ტექნიკის გამოყენებით კომპლექსური ეკონომიკური ანალიზის ჩატარება მოითხოვს შემდეგი ძირითადი სამუშაოების შესრულებას:

1. საწყისი ინფორმაციის მოპოვებას და აღწერას;
2. საანგარიშგებო და საგეგმო დოკუმენტაციის გამოკვლევის შემდგომ მაკეტების შედგენას;
3. ანალიზის დანიშნულებიდან გამომდინარე ამოცანების გამოყოფას, მის დანაწილებას ძირითად განაყოფებად დამახასიათებელი მინარსის მიხედვით;
4. მანქანური ალგორითმების დამუშავებას, მათგან გამოსასვლელი (საბოლოო პროდუქტის) დოკუმენტაციის, პროგრამების და ინსტრუქციების შემუშავებას;
5. პროგრამის მანქანაზე გაწეობას.

კომპიუტერების დანერგვამ შესაძლებლობა შექმნა აღნიშნული სამუშაოების მთლიან, ერთიან პროგრამაში ჩართვა. თვით პროგრამების მანქანური დამუშავება და დავალების შესაბამისად უშუალო სასურველი პასუხებისა და სხვადასხვა შესაძლებლობათა ვარიანტების მიღება.

კომპიუტერი ავტომატურად მოქმედი მანქანაა, რომელიც ჩადებული პროგრამების შესაბამისად, ამუშავებს ამოსავალ ინფორმაციას და იძლევა საბოლოო შედეგს. ყველაზე სრულყოფილი მოწყობილობაა დისპლეი, რომელსაც შეუძლია ტელევიზორით გამოსახოს ინფორმაციის მანვენებლები და გამართოს ადამიანთან გათვალდისწინებული დიალოგი.

გამოთვლითი ტექნიკის გამოყენების შესაბამისად შეიქმნა მართვის ავტომატიზირებული სისტემების შექმნის შესაძლებლობები. მართვის ავტომატიზირებული სისტემები იქმნება სახალხო მეურნეობის მართვის უწყებრივი იერარქიისა და ტერიტორიული განლაგების შესაბამისად. ამჟამად უკვე მოქმედებენ ცალკეული საწარმოებისა და გაერთიანებების მართვის ავტომატიზირებული სისტემები - დარგობრივი, უწყებრივი, საერთოსახელმწიფოებრივი, აგრეთვე სახელმწიფო სტატისტიკის, საგემო განგარიშების ავტომატიზირებული სისტემები და სხვა.

ავტომატიზირებული მართვის სისტემა შედგება ფუნქციური ქვესისტემებისაგან. დარგობრივი ხელმძღვანელობისათვის მეთოდოლოგიურ მასალებში რეკომენდირებულია საწარმოების ავტომატიზირებული მართვის სისტემისათვის შემდეგ ფუნქციურ ქვესისტემებად დაყოფა:

ტექნოლოგიური მომზადება (წარმოების ტექნიკური მომზადება);

ტექნიკურ-ეკონომიკური დაგეგმვა;

ბუღალტრული აღრიცხვა;

მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მართვა;

ძირითადი წარმოების ოპერატიული მართვა;

დამხმარე წარმოების მართვა;

გასაღების (რეალიზაციის) მართვა;

ხარისხის მართვა;


ფინანსების მართვა;

(კომპიუტერისათვის შეუზღუდავია სისტემისა და ქვესისტემების ერთად და ერთიანად დამუშავება).

ავტომატიზირებული მართვის სისტემაში, როგორც ცალკე დამოუკიდებელი ქვესისტემა - ანალიზი, გამოყოფილი არ არის. არის მოსაზრებები და დავაც მისი ცალკე გამოყოფის შესახებ.

ავტომატიზირებული მართვის სისტემა აღნიშნული კლასიფიკაციის შესაბამისად საწარმოებისათვის მიიღებს შემდეგ სტრუქტურულ სახეს:

ავტომატიზირებული მართვის სტრუქტურული სქემა



აღნიშნული ავტომატიზირებული მართვის სტრუქტურული კლასიფიკაციის დადებითი მხარე და მნიშვნელობა ისაა, რო იგი ითვალისწინებს ფუნქციურ მიდგომას, ამასთან, მკაცრი გამიჯვნა არ არის მართვის აპარატისა და მართვის ფუნქციას შორის.

კომპიუტერის გამოყენების შემთხვევაში ეს ყოველივე დაპროგრამირებულია და არ საჭიროებს ცალკე სქემების შედგენას.

გამოთვლითი ტექნიკის საფუძველზე მართვის სისტემის ორგანიზაციის საშუალებაა (ინსტრუმენტი) მოდელირების მეთოდი.

მოდელირებაში იგულისხმება რეალური პროცესების შეცვლა იმ ინფორმაციური დახასიათებებით, რომელთა მიხედვითაც ხდება ცალკეული შედეგების გამოთვლა.

მოდელი შეიძლება დაეყოს აბსტრაქტულ და მატერიალურ სახეებად. აბსტრაქტული მოდელი თავის მხრივ იყოფა დინამიკურ და სტა-

ტიკურად. დინამიკურ მოდელში განიხილება დროში ცვალებადი დამოკიდებულება (შეფარდება), სტატიკურში - ურთიერთკავშირი.

მოდელში ასახული სისტემა შეიძლება იყოს წრფივი და არა-წრფივი. ხაზობრივ მოდელში ნებისმიერი ცვალებადობის გამომწვევი მოქმედება მიმდინარეობს წინამორბედ და შემდგომ მოქმედებაზე დამოკიდებულად. მოდელი აგრეთვე შეიძლება დახასიათდეს როგორც მყარი და არამყარი; მყარი გულისხმობს სისტემას, რომელიც შემდგომში, გამოყვანილი თავის მდგომარეობიდან, ცდილობს დაუბრუნდეს მას; არამყარ სისტემაში კი წარმოშობადი ძლერდება მანამ, სანამ არ შეხვდება მის შემზღუდავ ფაქტორს.

ანალიზის ამოცანის გაანგარიშების ალგორითმი დგება აღნიშვნების ერთობლივი სიმბოლიკით. ანგარიშების ყოველი ფორმა პირობითად მიიღება როგორც მატრიცა, სადაც ყოველი მაჩვენებელი პოულობს თავის გამოსახულებას. ასე მაგალითად: ამოცანა პროდუქციის მოცულობაზე აიგება ანგარიშების გარკვეული ფ. №1-პ-ს მიხედვით და

პირობითი კოდი მიეკუთვნება  $a_{1j}$ , სადაც  $a$  არის გარკვეული ფორმის მაჩვენებლების აღმნიშვნელი ფ. №1-პ-ს;  $i$  მწკრივის ნომერია.  $j$  სვეტის ნომერი. აბსოლუტური გადახრა აღინიშნება  $\Delta$ -ით, ხოლო შეფარდებითი  $R$ -ით. ამ შემთხვევაში, პროფესორ ა. შერეპეტის მაგალითიდან გამომდინარე, პროდუქციის რეალიზაციის გვემის შესრულებისა და დინამიკის მაჩვენებლების წლის დასაწყისიდან ( $\Delta_1; R_1$ ), წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ( $\Delta_2; R_2$ ), საანგარიშო კვარტლის ( $\Delta_3; R_3$ ), საანგარიშებო თვის ( $\Delta_4; R_4$ ) გამოანგარიშება ხდება შემდეგი სახით:

$$\Delta_1 = a_{17} - a_{12}; \quad \Delta_2 = a_{18} - a_{17}; \quad \Delta_3 = a_{16} - a_{13}; \quad \Delta_4 = a_{15} - a_{14};$$

$$R_1 = \frac{a_{17}}{a_{12}}; \quad R_2 = \frac{a_{18}}{a_{17}}; \quad R_2 = \frac{a_{16}}{a_{13}}; \quad R_2 = \frac{a_{16}}{a_{13}}$$

ანალიზის სხვა ამოცანებისათვისაც ალგორითმები აიგება ანალიოგიური წესით.

დღევანდელი კომპიუტერის მოწყობილობა და ტექნოლოგია სრულებით არ საჭიროებს მისი სტრუქტურის დაწვრილებით განმარტებასა და შესწავლას, ასევე მოდელირების სახეების ცოდნას. იგი იმდენად სრულყოფილია, რომ კარგად დამუშავებული პროგრამისა და მრავალმხრივი მახსოვრობის უნარის საშუალებით შეუძლია არა მარტო წიგნებში, კითხვარებში, ენციკლოპედიებში, პერიოდულ გამოცემებში, სტატისტიკურ ორგანოებში (ანგარიშებში) მიღებული მასალების მიხედვით გასცეს პასუხი დავალებებს, არამედ შეავსოს კიდევ გა-

მოჩენილ მეცნიერთა მიღწევებით (მიღებული სიახლით), თუ გაეითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ კომპიუტერის მასშვრობაში ჩაიღება ათასობით შესაძლო სხვადასხვა სიტუაციები, რაც ანალიტიკოსისათვის (ასევე სხვა სპეციალისტებისათვის) ნამდვილი ექსპერტ-მრჩეველია.

## §5. ფაქტორები და მათი კლასიფიკაცია

სამეურნეო საქმიანობის შედეგების დონე განისაზღვრება ფაქტორთა გავლენის გამოვლენით. ფაქტორი არის შედეგის ფორმირების მიზეზი.

საშედეგო მანვენებელზე მოქმედებს სოციალური, ორგანიზაციული, ტექნოლოგიური, ტექნიკური და სხვა ხასიათის მრავალი ფაქტორი. მათი გამოვლენა და ცალკეულ საერთო შედეგზე მათი გავლენის განსაზღვრა-გაზომვა ეკონომიკური ანალიზის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. ამ ამოცანის გადაწყვეტა იძლევა მუშაობის სწორი შეფასების საშუალებასა და გამოუყენებელი რეზერვების გამოვლენის შესაძლებლობებს.

ფაქტორების კლასიფიკაცია სხვადასხვა ნიშნის მიხედვით შეიძლება მოხდეს. 1. საწარმოო და წარმოების გარეშე; 2. ძირითადი და არაძირითადი; 3. ინტენსიური და ექსტენსიური; 4. შინაგანი და გარეგანი.


საწარმოო ფაქტორები უშუალოდ წარმოების პროცესთან არიან დაკავშირებული და პირდაპირ მოქმედებენ წარმოების მოცულობაზე. წარმოების პროცესის სამი მომენტის შესაბამისად საწარმოო ფაქტორების წყება შეიძლება სამ ჯგუფად გაერთიანდნენ. ესენია შრომის, შრომის საგნების და შრომის საშუალებების ფაქტორთა ჯგუფები. დასახელებული სამი სახის ფაქტორთა ჯგუფები ცალ-ცალკე შედგება მრავალი რაოდენობრივი და თვისებრივი ფაქტორებისაგან. შრომის მიხედვით რაოდენობრივი შეიძლება იყოს მუშათა რაოდენობა.

თვისებრივი - მათ მიერ პროდუქციის გამოშვება. შრომის საგნების მიხედვით რაოდენობრივი იქნება შრომის საგნების რაოდენობა. თვისებრივი - პროდუქციის გამოსავლიანობა. შრომის საშუალებების მიხედვით რაოდენობრივი იქნება ძირითადი ფონდების ღირებულება, თვისებრივი - ფონდუკუება და ა.შ.

წარმოების გარეშე ფაქტორები ძირითადად ფასებისა და ტარიფების ცვლილებაა.

სქემატურად საწარმოო და წარმოებისგარეშე ფაქტორები შეიძლება შემდეგი სახით აიგოს:

## საწარმოო და წარმოების გარეშე ფაქტორების სქემა



ეკონომიკური ანალიზი, უპირველეს ყოვლისა, ფაქტორების ანალიზია. ფაქტორი, რომელიც ანალიზის პროცესში ფიგურირებს როგორც საკვლევი ობიექტი, სარეზულტატო მაჩვენებელია, ხოლო რომელიც სარეზულტატო მაჩვენებლის დახასიათებას იძლევა, ანუ მის მოქმედებას განსაზღვრავს, მახასიათებელი მაჩვენებელია.

ფაქტორი შეიძლება იყოს ცვლილების მნიშვნელოვნად განმსაზღვრელი და უმნიშვნელოდ მოქმედი. ანალიტიკოსზე დამოკიდებული ფაქტორთა შერჩევა და მათ შორის ზღვარის დადებაც, შრომის ნაყოფიერებაზე მოქმედებს შრომის სიდიდე და მუშაკის სტაჟიც. შრომის სიდიდე იზრდება სამუშაო დროით, მაგრამ ერთიდაიგივე დროში სხვადასხვა მუშა სხვადასხვა შედეგს იძლევა, ასევე ერთნაირი სტაჟის მქონე მუშები ერთნაირ შედეგს არ იძლევიან.

**ძირითადი და არაძირითადი ფაქტორებიდან** ძირითადია, რომლებიც უშუალოდ განმსაზღვრელ გავლენას ახდენენ მოვლენის განვითარებაზე, ხოლო არაძირითადი ფაქტორები უმნიშვნელო გავლენას ახდენენ შედეგებზე და მათი გავლენა ვერ განსაზღვრავს მოვლენის შედეგებს, მაგრამ გარკვეული სიდიდით უწყობენ ან უშლიან ხელს მოვლენის განვითარებას. ამ ორი სახის ფაქტორთა შორის ზღვარის დადება ძნელია, მაგრამ შეიძლება, მაგალითად, დავასახელოთ ძირითად ფაქტორებად მუშათა რაოდენობა. მათი შრომის ნაყოფიერება, ხოლო არაძირითადად - ცალკეული მუშების მუშაობის სტაჟი, მათი ასაკი და ა.შ.

**ინტენსიური და ექსტენსიური** - თვისებრივი და რაოდენობრივი ფაქტორების ანალოგიურია. ინტენსიური ფაქტორები სამეურნეო შედეგებზე თვისებრივი ცვლილებების შედეგად მოქმედებენ. მაგალითად, ერთი და იმავე დანახარჯებით შრომის ნაყოფიერების ამაღლებით პრო-

დუქციის გამოშვების გადიდება იქნება ინტენსიური ფაქტორის გავლენა. ხოლო ექსტენსიური ფაქტორები მოქმედებენ რაოდენობრივი ცვლილებების გავლენით, ასე მაგალითად, მუშათა რაოდენობის გაზრდით პროდუქციის გამოშვების გადიდება და ა.შ.

**შიდა ფაქტორები** იგულისხმება საწარმოს კოლექტივის საქმიანობიდან ამომდინარე, ხოლო გარე, სხვა საწარმოების საქმიანობიდან გამომდინარე ფაქტორები. მაგალითად, ნედლეულის, მასალების და სხვა საშუალებათა მოწოდება, თანხების დროული ჩარიცხვა და სხვა.

ფაქტორთა აღნაგობა განსაზღვრავს თვით ანალიზსა და მსვლელობას, რამდენადაც თვით აღებული მაჩვენებელი კომბინირებულია. იმდენად მისი შემადგენელი კომპონენტები (შემადგენელი ფაქტორები) წარმოადგენენ ცალკეულ მაჩვენებელს - ცალკეულ ფაქტორებს სამკალითოდ შეიძლება ავიღოთ რენტაბლობის მაჩვენებელი, რომლის აღნაგობის (შემადგენლობის) შესაბამისად მისი სიდიდე (დონე) ერთი მხრივ პირდაპირპროპორციულ დამოკიდებულებაშია მოგების სიდიდესთან და მეორე მხრივ უკუპროპორციულ დამოკიდებულებაშია ამ მოგების მისაღებად გაწეული დანახარჯების სიდიდესთან, ე.ი. პირველის ზრდა იწვევს რენტაბელობის ამაღლებას, ხოლო მეორისა - შემცირებას (დაცემას). ასეთივე ხასიათი აქვს I ლარ სასაქონლო პროდუქციაზე დანახარჯების მაჩვენებელს, რომლის სიდიდე ასევე პირდაპირპროპორციულია მისი ღირებულებისა. ასევე არის ფაქტორთა წყება, რომლებსაც არა აქვთ კომბინირებული ხასიათი, ისინი წარმოადგენენ საერთო (ცალკეულ) შედეგს, შეფარდებით ან საშუალო სიდიდეს.

თუ მაჩვენებელი წარმოდგენილია საერთო შედეგის სახით, მაშინ ფაქტორული ანალიზი შეიძლება ჩატარდეს ორგვარად: 1. საერთო სიდიდის შესაკრებლად და 2. მისი მამრავლებად დაშლით. მაგალითად, სამუშაო ხელფასი შეიძლება დაიშალოს მის შემადგენელ ელემენტებად (რომელიც ამავე დროს, ანალიზისათვის ფაქტორებად გვევლინება): სანარდო შესრულებული სამუშაოები, დროით სამუშაოები, პრემიები, არამწარმოებლური გაცემები და ა.შ. ეს შესაკრებადი ფაქტორები გვაძლევს ხელფასის ფონდის ცვლილების შესწავლის შესაძლებლობებს მისი შემადგენელი ელემენტების (ფაქტორების) ცვლილებასთან დაკავშირებით.

თუ მაჩვენებლები წარმოდგენილია საშუალო ან შეფარდებითი სიდიდის სახით, მაშინ ზოგჯერ ისიც შეიძლება დაიშალოს ფაქტორებად. მაგალითად, ერთი მუშის საშუალო წლიური გამოიმუშავება შეიძლება დაიშალოს ისეთ ფაქტორთა მამრავლებად, როგორც არის 'საშუალო საათობრივი გამოიმუშავება, სამუშაო დღის ხანგრძლივობა და სამუშაო დღეთა საშუალო რიცხვი ერთ მუშაზე.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ფაქტორთა კლასიფიკაცია ანალიზის დანიშნულებიდან გამომდინარეობს.

გარდა ზემოაღნიშნული ფაქტორთა კლასიფიკაციისა უშუალოდ პრაქტიკული მუშაობის დროს მიზანშეწონილია შემდეგი სახით დავყოთ

ფაქტორები:

იწყება რა კონკრეტული ანალიზი, ყურადღება უნდა გამახვილდეს და ცალკე ანალიზის მიმართულებად გამოიყოს საწყისი მაჩვენებლის მიხედვით გამოძლინარე შედეგები, რადგან ამაზე ხშირად არის დამოკიდებული ფაქტორული ანალიზის სიღრმე და ჩატარების ხერხების შერჩევაც.

ფაქტორული ანალიზი გულისხმობს შესასწავლი მოვლენის ან პროცესის ფაქტორთა გამოვლენისა და გავლენის განსაზღვრას.

თვით ცალკეული მაჩვენებელი თავისი აღნაგობით განსაზღვრავს ანალიზის მიმართულებასა და მსვლელობას, რადგანაც თვით ცალკეული მაჩვენებელი კომბინირებულია და მისი კომპონენტები უკვე წარმოადგენენ ცალკეულ მაჩვენებლებს - ფაქტორებს. ასეთია მაგალითად, რენტაბელობის მაჩვენებელი, რომლის სიდიდე ერთის მხრივ დამოკიდებულია მოგების სიდიდეზე, პირდაპირპროპორციული დამოკიდებულებით რენტაბელობის დონესთან, და მეორეს მხრივ დანახარჯების სიდიდეზე, რომელიც უკუპროპორციულ დამოკიდებულებაშია რენტაბელობის დონესთან - ე.ი. რაც მეტია მისი ჯამი. მით ნაკლებია რენტაბელობის დონე. ასეთივე ხასიათი აქვს ერთ ლარ პროდუქციაზე დანახარჯების მაჩვენებელს. ხშირად ვხვდებით ასევე მაჩვენებლებს, რომელთაც არა აქვთ კომბინირებული ხასიათი, არამედ უბრალოდ წარმოადგენენ საერთო შედეგს, შეფარდებით ან საშუალო სიდიდეს.

თუ მაჩვენებელი წარმოდგენილია საერთო შედეგის სახით, მაშინ ფაქტორული (ფაქტორთა) ანალიზი შეიძლება ჩატარდეს ორგვარად: საერთო სიდიდის დაშლით შესაკრებად და მამრავლებად: მაგალითად, მუშათა ხელფასის ფონდი შეიძლება დაიშალოს მის შემადგენელ ელემენტებად, როგორც არის: ძირითადი ანაზღაურება ნარდათ შესრულებულ სამუშაოზე, პრემიები, არამწარმოებლური გაცემები და ა.შ რომელიც იძლევა შესაძლებლობას შესწავლილ იქნას ფონდის შემადგენლობა და ხელფასის დანახარჯების ელემენტების ცვლილება, ხოლო მეორე მხრივ ხელფასის ფონდი შეიძლება განხილულ იქნას, როგორც ერთი მუშის საშუალო ხელფასისა და მუშათა რაოდენობის ნამრავლი.

თუ მაჩვენებელი წარმოდგენილია საშუალო ან შეფარდებითი სიდიდის სახით, მაშინ ზოგჯერ ისიც შეიძლება დაიშალოს ცალკეულ ფაქტორებად - მამრავლებად. მაგალითად, ერთი მუშის საშუალო წლიური გამოიმუშავება შეიძლება დაიშალოს ისეთ ფაქტორ-მამრავლებად, როგორიცაა საშუალო საათობრივი გამოიმუშავება, სამუშაო დროის ხანგრძლივობა და სამუშაო დღეთა რაოდენობა ერთ მუშაზე.


ეკონომიკური ანალიზი ეს არის უწინარეს ყოვლისა ფაქტორული ანალიზი (სიტყვის ფართო მნიშვნელობით, არა მხოლოდ სტოხასტური ფაქტორული ანალიზის სახით).

ეკონომიკური ფაქტორული ანალიზის ქვეშ გულისხმობენ თანდათანობით გადასვლას საწყისი ფაქტორული სისტემიდან (შედეგობრივი მაჩვენებელი) საბოლოო ფაქტორულ სისტემამდე (ან პირიქით),

პირდაპირი, რაოდენობრივი და საზოგადოებრივი ფაქტორების მთლიანი ნაკრების გაშლა, რომლებიც გავლენას ახდენენ შედეგობრივი მაჩვენებლების ცვლილებებზე.

პირდაპირი ფაქტორული ანალიზისას გამოვლინდება ცალკეული ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ შედეგობრივი მაჩვენებლის ან პროცესის ცვლილებაზე, დგინდება დეტერმინებული (ფუნქციონალური) ან სტოხასტიური დამოკიდებულების ფორმები შედეგობრივ მაჩვენებელსა და ფაქტორების განსაზღვრულ ნაკრებს შორის და ბოლოს გამოვლინდება ცალკეული ფაქტორების როლი შედეგობრივი ეკონომიკური მაჩვენებლების ცვლილებაში.

ეკონომიკური ფაქტორული ანალიზის ამოცანათა კლასიფიკაციის სქემას ა. შერემეტი შემდეგი სახით გვთავაზობს:



## საწარმოო-საფინანსო ძირითადი საქმიანობის ანალიზის მეთოდика

### §1. მმართველობითი და ფინანსური ანალიზის შინაარსი


ეკონომიკური ფორმაციის საბაზრო ურთიერთობის მიმართულებით გარდაქმნის პრობლემებმა წარმოშვა აღრიცხვის (კერძოდ ბუღალტრული აღრიცხვის) სრულყოფის აუცილებლობა და მისი პრობლემური ინტერპრეტაცია, რაც პარალელურად განაპირობებს ეკონომიკური ანალიზის და აუდიტის მისაღმი შესაბამის მისავალდაებას.

უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია, რომ საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნები და წარმოებასთან არსებული ურთიერთობები დღევანდელ ვითარებაში განაპირობებს აღრიცხვის წარმოებისა და შემდგომი განვითარების „შიდა“ და „გარე“ ინტერესების (მიმართულებების) გათვალისწინებას. შიდა გულისხმობს საწარმოს ყველა საქმიანობის დეტალურ და ვრცელ (ანალიზურ) აღრიცხვას, ხოლო გარე - გამოსაქვეყნებელ (საჯარო), ფინანსურ ურთიერთობებთან დაკავშირებულ მანქვებელთა გამოყოფას (განზოგადებას) სავალდებულო აღრიცხვის სახით. ე.ი. აღრიცხვის არე და დონე იყოფა მაკროეკონომიკური და ფინანსური აღრიცხვის სახეებად, ანუ სამმართველო (მმართველობით) და ფინანსურ, ალბათ უფრო ზუსტი სახელწოდება იქნება ხმარებაში უკვე დამკვიდრებული - მენჯეერული და ფინანსური აღრიცხვა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ბუღალტრული აღრიცხვა პირობითად ალბათ უნდა დაიყოს ორ სახედ: ფინანსური აღრიცხვა და მმართველობითი აღრიცხვა. ფინანსური აღრიცხვა სახელმწიფოსთან საწარმოს დამოკიდებულების და საწარმოს საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მომხმარებლებთან არსებულ პრობლემებს წვეეტს. ფინანსური აღრიცხვა და განსაკუთრებით ფინანსური ანგარიშება რეგულირდება საერთაშორისო და ეროვნული სტანდარტებით. მმართველობითი აღრიცხვა შედგება ტრადიციული აღრიცხვისაგან და პრობლემური აღრიცხვისაგან. მმართველობითი აღრიცხვა არ რეგულირდება სახელმწიფოს მიერ, მისი ორგანიზაცია და მეთოდები განისაზღვრება საწარმოს ხელმძღვანელის მიერ. ამ დროს პირველ პლანზე ბუღალტროის საქმიანობაში წამოწეულია მმართველობითი ამოცანები, რომელთა გადაწყვეტა მოითხოვს არა მხოლოდ ტრადიციული ბუღალტერიის ცოდნას, არამედ ტექნიკურ-ეკონომიკური დაგეგმვის, სტატისტიკის, სამეურნეო საქმიანობის ანალიზის, თანამედროვე გამოთვლითი ტექნიკის ცოდნას. მმართველობითი ბუღალტრული აღრიცხვის ასეთი გაგებისას საკუთრივ ბუღალტრული აღრიცხვა, დაგეგმვა, სტატისტიკა და სამეურნეო საქმიანობის ანალიზი განიხილება როგორც ერთიანი სისტემა.

როგორც გარე საფინანსო, ასევე შიდა მმართველობითი აღრიცხვა.

შინაარსობრივად მოიცავს სამეურნეო საქმიანობის ანალიზს, მაგრამ მათი ორგანიზაცია, ობიექტი და ამოცანის გადაწყვეტის მეთოდი ფინანსური და მმართველობითი აღრიცხვის შემთხვევაში ხასიათდება თავიანთი სპეციფიკით, რომელთა გათვალისწინება და შესაბამისად ანალიზის ბუღალტრული აღრიცხვის ახლებური წარმოებისადმი მისადაგება წარმოადგენს თანამედროვე ეკონომიკური ანალიზის სრულყოფის პირობას, შესაბამისად სამეურნეო-საფინანსო საქმიანობას ეკონომიკური ანალიზის სქემას ა. შერეული შემდეგი სახით გვთავაზობს:



შიდა მმართველობითი ანალიზის სუბიექტები არიან მხოლოდ ხელმძღვანელობა და მათ მიერ მოწვეული აუდიტორები და კონსულტანტები. მმართველობითი ანალიზის ინფორმაციულ ბაზას წარმოადგენს საწარმოს საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მთელი სისტემა - წარმოების ტექნიკური მზადყოფნის, ნორმატიული და გეგმიური ინფორმაციები, სამეურნეო აღრიცხვა, მათ შორის ოპერატიული, ბუღალ-

ტრული და სტატისტიკური აღრიცხვის მონაცემები, საჯარო ფინანსური და შიდასამეურნეო ანგარიშგების მთელი სისტემა.

მმართველობითი ანალიზი მოიცავს არა მხოლოდ საწარმოო, არამედ ფინანსურ ანალიზს, რომლის გარეშეც საწარმოთა ხელმძღვანელობა ვერ განახორციელებს თავის ფინანსურ სტრატეგიას. ნებისმიერი კომერციული საქმიანობის (ბიზნეს გეგმა) ტექნიკურ-ეკონომიკურ დასაბუთებაში გამოიყენება როგორც საწარმოო, ისე ფინანსური ანალიზის მეთოდები. ე.წ. მარკეტინგული ანალიზი ასევე ითვალისწინებს მარკეტინგის სისტემაში როგორც საწარმოო, ასევე ფინანსური ანალიზის მეთოდების გამოყენებას.

## §2. ძირითადი სამეურნეო-საფინანსო მაჩვენებელთა ანალიზის მეთოდოლოგია

საწარმო-სამეურნეო საქმიანობის შეფასებისა და წარმოების ორგანიზაციულ-ტექნიკური დონის ანალიზის განმსაზღვრელი მაჩვენებელია წარმოების მოცულობა და მასთან დაკავშირებული მუშაობის შედეგები.

**წარმოება** საქმიანობის, ხასიათის ტექნოლოგიის, დანიშნულების, პერიოდულობისა და სხვა შინაარსის შესაბამისად სხვადასხვა სახის და მოცულობისაა. სრულყოფილი ანალიზის ჩატარებისათვის საჭიროა ჯერ განსაზღვროთ და შევაფასოთ ორგანიზაციულ-ტექნიკური დონე, წარმოების საშუალებებით უზრუნველყოფა და ეს დაკუთვნილი საფუძვლად შედეგების შეფასებას.

ორგანიზაციულ-ტექნიკური დონის სრულყოფა ნიშნავს სამეურნეო საქმიანობის პროცესების უწყვეტ კომპლექსურ რაციონალიზაციას და გულისხმობს სიმძლავრეების, ტექნიკისა და წარმოების ტექნოლოგიის, მექანიზაციის და ავტომატიზაციის, მართვის პროგრესული მეთოდებისა ფორმების გამოყენების გაუმჯობესებასა და სრულყოფას, ხოლო მათგან უშუალოდ გამომდინარეობს პროდუქციის წარმოებარეალიზაციის მოცულობის შედეგები. ამ საკითხებთან დაკავშირებული ანალიზის ჩატარების მეთოდური მაგალითები შესაბამისი ფორმულებით და განმარტებებით მოტანილია ამ შრომის (წიგნის) II განყოფილებაში.

**პროდუქციის წარმოებისა და რაალიზაციის ანალიზი** ერთერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია სამეურნეო სუბიექტის დასახასიათებლად. ვინაიდან წარმოების ძირითადი დანიშნულებაა პროდუქციით მოსახლეობისა და სახალხო მეურნეობის ყველა მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება მეწარმის მარკეტინგული ინტერესების გათვალისწინებით.

პროდუქცია, ეკონომიკური ანალიზის პოზიციით, უპირველეს ყოვლისა არის საკუთარი ქვეყნის სამომხმარებლო დოვლათის ერთობლიობა, გამოშვებული პროდუქციის დონისა და დინამიკის მაჩვენებელი განსაზღვრავს საზოგადოების ქონებრივი უზრუნველყოფის დონეს, თუ

კი იგი ადგილობრივ მოთხოვნებსა და შესაბამისად გაცვლას ემსახურება.

მთლიან სასაქონლო პროდუქციაში განვითარებულ შრომას დიდი ადგილი უჭირავს. წარსული შრომის ელიმინირების თვალსაზრისით და ცოცხალი შრომის გამოყენების შეფასებისათვის, მიზანშეწონილია ანალიზი ჩატარდეს წმინდა პროდუქციის მიხედვით, ვინაიდან მთლიანი პროდუქციიდან მატერიალური დანახარჯების გამოყოფა იძლევა უშუალოდ შექმნილი პროდუქციის მოცულობას. წმინდა პროდუქციის მაჩვენებელი (Nz) გამოიყვანება მთლიან პროდუქციაზე (ap) ღირებულებითი მაჩვენებლების (ამავე პროდუქციაზე) ნატურალური დანახარჯების (Mz) გამოკლებით:  $Nz=ap-Mz$ . თუ მთლიანი პროდუქცია სასაქონლო პროდუქციის მოცულობას ემთხვევა, მაშინ წმინდა პროდუქციის მოცულობა ორივეს მიხედვით ტოლი იქნება.

წარმოების მოცულობის შეფასების ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენს სასაქონლო პროდუქციის ნომენკლატურის, ასორტიმენტისა და სტრუქტურის მიხედვით ანალიზი.

ნომენკლატურისა და ასორტიმენტის შესაბამისად ანალიზმა უნდა შეაფასოს პროდუქციის სტრუქტურული ძვრების გავლენა სამეურნეო საქმიანობის ისეთ განზოგადებულ მაჩვენებელზე, როგორც არის პროდუქციის გამოშვება, შრომის ნაყოფიერება, მოგება და შესაბამისად რენტაბელობა.

ხარისხიანობის მახასიათებელ მაჩვენებლად შეიძლება გამოყენებულ იქნეს ხარისხიანობის კოეფიციენტი, რომელიც მიიღება ყველა ხარისხის პროდუქციის ღირებულების შეფარდებით ამავე პროდუქციის მაღალი ხარისხით შესაძლო ღირებულებასთან.

პროდუქცია უნდა განასახიერებდეს მეცნიერული აზროვნების უკანასკნელ მიღწევებს, შეესაბამებოდეს ყველაზე მაღალ ტექნიკურ-ეკონომიკურ, ესთეტიკურ და სხვა სამომხმარებლო მოთხოვნებს. იყოს კონკურენტუნარიანი როგორც შიდა, ასევე მსოფლიო ბაზარზე.

პროდუქციის ხარისხის ერთ-ერთი მაჩვენებელი არის წუნი.

წუნი საწარმოში ეს არის ნაკეთობა, რომელიც თავისი სახმარი ღირებულებით ვერ პასუხობს მასზე წაყენებულ პირობებს, მეწარმეს და საზოგადოებას წუნი მნიშვნელოვან ზარალს აყენებს, რადგანაც იგი წარმოადგენს იმ პროდუქციის ნაწილის დანაკარგებს, რომლის გაკეთებაზე გაწეული იქნა მატერიალური და შრომითი დანახარჯები. ამასთან დაკავშირებით ანალიზის ამოცანაა განსაზღვროს წუნის შედეგად მიღებულ ზარალს სიდიდე, გამოავლინოს მისი წარმოშობის მიზეზები და შეიძუტაოს შედეგობისათვის მათი აღმოფხვრის ღონისძიებები. შრომაში მოცემულია წუნის ანალიზის ჩატარების მეთოდური წესები და ხერხები.

საწარმოო გეგმის შესრულების ანალიზის დროს საჭიროა ასევე დადგინდეს არა მარტო პროდუქციის მოცულობის გეგმის შესრულება, არამედ მისი შესრულების მსვლელობაც დროის ცალკეული შუალედე-

ბის მიხედვით, რადგანაც პროდუქციის გამოშვება დადგენილი გრაფიკის შესაბამისად, ხელს უწყობს სამუშაო ძალის, მოწყობილობის, საწარმოო ფართობების, მატერიალური რესურსების გამოყენებას, თვითღირებულების შემცირებასა და ხარისხის ამაღლებას.

საწარმოს რიტმული მუშაობა, პროდუქციის გამოშვება და რეალიზაცია დადგენილ გრაფიკთან ზუსტი შესაბამისობით, წარმოების ეფექტიანობის უმნიშვნელოვანესი პირობაა. საწარმოს მუშაობის რიტმულობის დარღვევა მოქმედებს უშუალოდ საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე.

რეალიზაციის მოცულობა ძირითადად დამოკიდებულია წარმოების მოცულობასა და პროდუქციის გამოშვებაზე.

რეალიზაცია საწარმოს საქმიანობის შედეგების შეფასების ერთერთი ძირითადი და განმსაზღვრელი მაჩვენებელია.

საბაზრო ეკონომიკა კიდევ უფრო აამაღლებს რეალიზაციის როლსა და მნიშვნელობას, რადგანაც საწარმოთა საქმიანობა ბაზრის მოთხოვნებს დაექვემდებარა. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად ბაზრის მარეგულირებელი როლისა, პროდუქცია საბოლოო საზოგადოებრივ აღიარებას პოულობს მოხმარების პროცესში. ე.ი. მან უნდა დაამტკიცოს, რომ წარმოებული (მოცემული) პროდუქტი საზოგადოებას სჭირდება (პყავს მომხმარებელი). ამდენად საქონელმა უნდა დაამტკიცოს, რომ იგი სახმარ ღირებულებას შეადგენს. ეს იმითომ, რომ მასზე დახარჯული ადამიანის შრომა ანგარიშში მიიღება იმდენად, რამდენადაც იგი სხვისთვის სასარგებლოა, ამის დამტკიცება მხოლოდ გაცვლას ანუ რეალიზაციას შეუძლია.

რეალიზებული პროდუქციის მოცულობა გამოიანგარიშება - გაგზავნილ პროდუქციას გამოკლებული პროდუქციის ნაშთების ცვალებადობა. აღნიშნულიდან გამომდინარე რეალიზებული პროდუქციის მოცულობა ( $N^I$ ) დამოკიდებულია წარმოების მოცულობასა ( $N^I$ ) და პროდუქციის ნაშთის ცვალებადობაზე ( $N^{III}-N^{II}$ ). აღნიშნულიდან გამომდინარე რეალიზაციის მოცულობის გამოსაანგარიშებელი ფორმულა იქნება  $N^I = N^I + (N^{III} - N^{II})$

ამ ფორმულით გამოიანგარიშება როგორც გეგმური, ასევე ფაქტობრივი სასაქონლო ბალანსი და შესაბამისად ანალიზი გაუკეთდება რეალიზაციის მოცულობაზე მომქმედ ფაქტორებს, რაც უშუალოდ ნაჩვენებია II განყოფილებაში.

საწარმოო პროცესში უნდა განვასხვავოთ პირადი და მატერიალური ფაქტორები. პირადი არის ადამიანის შრომა, ანუ სამუშაო ძალა, ხოლო მატერიალური - წარმოების საშუალებები. რომლებიც თავის მხრივ იყოფა შრომის საშუალებებად და შრომის საგნებად. ეკონომიკური ანალიზის ამოცანაა შეისწავლოს სამივე სახის ფაქტორებით წარმოების უზრუნველყოფა და მათი გამოყენების გაუმჯობესების შესაძლებლობათა გამოვლენა.

სამუშაო ძალის ბაზოზენების ანალიზი უშუალოდ დაკავშირებულია შრომითი რესურსების გამოყენებასთან და ძირითადად შრომისა და ხელფასის გამოყენების ანალიზია.

შრომისა და ხელფასის გამოყენების ანალიზის ძირითადი ამოცანაა შრომის ნაყოფიერების ამაღლების რეზერვების გამოვლენა. აქედან გამომდინარე, კვლევა ხორციელდება სამუშაო ძალის, შრომის ნაყოფიერების და ხელფასის ფონდის გამოყენების მიმართულებით (სფეროში).

შრომის ნაყოფიერება ხასიათდება გამოშვებული პროდუქციის მოცულობისა და დახარჯული სამუშაო დროის შეფარდებით. ასევე შეიძლება აღებულ იქნას წმინდა პროდუქცია. თუ სამუშაო დროის ხარჯვა არის შრომის რაოდენობრივი დახასიათება, შრომის ნაყოფიერება მისი ხარისხობრივი დახასიათებაა. პროდუქციის გადიდება შეიძლება როგორც შრომის დანახარჯების გადიდებით, ასევე შრომის ნაყოფიერების ამაღლებით, მაგრამ შრომის ნაყოფიერებას მეტი მნიშვნელობა და უპირატესობა აქვს.

შრომის ნაყოფიერების ამაღლების საზოგადოებრივი მნიშვნელობა ისაა, რომ პროდუქციის ყოველი ერთეულის წარმოება მითხზვს ცოცხალი და წარსული შრომის წინანდელზე უფრო ნაკლებ დანახარჯებს, თანაც მათი თანაფარდობა იცვლება წარსული შრომის წილის ხარჯზე და ცოცხალი შრომის წილის შემცირების მიმართულებით (ტენდენციით).

პროდუქციის მოცულობა შრომის ნაყოფიერების პირდაპირ პროპორციული სიდიდეა, ე.ი. ცვალებადობის შეკსაბამისად იზრდება (ან მცირდება) პროდუქციის მოცულობა. თუ პროდუქციის მოცულობას ავლნიშნავთ  $Q$ -თი, სამუშაო დროის საერთო დანახარჯებს  $T$ -თი. ხოლო საშუალო გამოშვებებს დროის ერთეულში  $W$ -ით. მაშინ  $W=Q/T$ . ანალიზისათვის აუცილებელია ასევე პროდუქციის ერთეულზე სამუშაო დროის დანახარჯებიც, ანუ როგორცაა:

ნაკეთობის შრომატევადობა, რომელიც შებრუნებული სიდიდეა. თუ შრომატევადობას ავლნიშნავთ  $t$ -თი, მაშინ  $t=T/q$ . თუ შრომატევადობას შებრუნებით შევაპირისპირებთ, მაშინ ეს შეფარდება შრომის ნაყოფიერების დინამიკას გამოხატავს, ე.ი.  $t/t_0$ . ამ შემთხვევაში პროდუქციის მატების წილი შრომის ნაყოფიერების ხარჯზე შეიძლება გამოვიყვანოთ ფორმულით  $v=100-(pr*100)/qb$  სადაც  $v$ -არის შრომის ნაყოფიერების შედეგად პროდუქციის მატების წილი,  $pr$ -არის საწარმოო პერსონალის მატება;  $qb$ -მთლიანი პროდუქციის მატება.

წარმოების საშუალებების ანალიზის ძირითად ამოცანას წარმოადგენს მათი გამოყენების ეფექტურობის ამაღლება და ფონდუკუგების გადიდების შესაძლებლობათა გამოვლენა. ფონდუკუგების ( $Ha$ ) საფუძვლად აღიარებულია პროდუქციის მოცულობის ( $Qpq$ ). შეფარ-

ეკონომიკაში ახალი ურთიერთობების ფორმირებას თან ახლავს მმართველობის სისტემის მოშლა, არსებითი სამეურნეო კავშირების გაწყვეტა, წარმოების მკვეთრი დაცემა, კორუფცია და ინფლაცია, ამასთან ჰიპერინფლაცია, რაც მთლიანად და მთელი სიმკაცრით დაატყდა საქართველოს.

ინფლაციური პროცესი, რომელსაც მიჰყავართ შზა პროლუქციაზე, აგრეთვე ამოსავალ სახსრებზე ფასების ზრდისაკენ ახ დაცემისაკენ, საწარმოებს საშუალებას არ აძლევს განახორციელოს დანახარჯის სრული ანაზღაურება (ამოგება), ამახინჯებს მათ ფინანსურ შედეგებს და ფინანსურ მდგომარეობას. ამიტომ გარდამავალ ეტაპზე საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე ინფლაციის გამოვლენა არის სამეურნეო საქმიანობის ანალიზის და აღრიცხვის ერთ-ერთი კარდინარული საკითხი.

პირველდაწყებითი შეფასება ინფლაციის პერიოდში იწვევს საკუთარი რესურსების, საბრუნავი სახსრების ნაკლებობას. ამგვარად ფასების საერთო დონის ამაღლებისას, მაგალითად, 20 %-ით, საწარმოს ანგარიშები და თამასუქები თუ გაუფასურდებათ და პერიოდის ბოლოში მათზე შესაძლებელი იქნება მხოლოდ იმისი 83 %-ის  $100/(100-20)*100$  შექმნა, რისი შექმნაც შეიძლებოდა დასაწყისში.

ამგვარად, ფასების სწრაფი ცვლილებების პირობებში ოპერაციის შეფასება პირველდაწყებითი ღირებულების მიხედვით იძლევა მცდარ წარმოდგენას საწარმოს რეალურ ფინანსურ მდგომარეობაზე. მისი კომერციული საქმიანობის შედეგებზე და რესურსების სიდიდეზე, რომლებიც განაწილებას ექვემდებარება. ინფლაციის ზეგავლენით ირღვევა საწარმოს აქტივებისა და პასივების სტრუქტურა, რადგანაც ძირითადი ფონდების მთლიანი პირველდაწყებითი (ისევე როგორც დანარჩენი) ღირებულება ჩამოყალიბდა აღრულ (ინფლდაცი-ამდე) პირობებში, ხოლო ფულადი აქტივები და პასივები კვლავ-წარმოების ახალ პირობებში, როდესაც ინფლაციამ თავის შესწორებაში შეიტანა ფულადი სახსრების ბრუნვაში. ამასთან რაც მეტია (მაღალია) ინფლაციის დონე, მით მეტია საწარმოს აქტივებისა და პასივების სტრუქტურაში დამახინჯებების დონე.

ამის გარდა, ირღვევა ეკონომიკური ანალიზის ჩასატარებლად ძალზე მნიშვნელოვან მაჩვენებელთა მემკვიდრეობის (შეპირისპირებადობის) პრინციპი ერთი საანგარიშო პერიოდიდან მეორემდე, რის შედეგადაც საწარმოს სამეურნეო-ფინანსური პროცესების მართვის საიმედოობა ეცემა. სააღრიცხვო მონაცემების შეუთანხმებლობის ამ პროცესის მწვერვალს უკვე წარმოადგენს ჰიპერინფლაცია.

ფასების ზრდა, რაც ინფლაციას ახასიათებს, იზომება ფასების სხვადასხვა ინდექსებით.

საინფლაციო პროცესების შეფასება მთლიანობაში ხდება საცალო ფასების საერთო დონის მიხედვით და ემსახურება ფულის მკვიდელუნარიანობის გაზომვას, აგრეთვე ახასიათებს ფასების მოძრაობას

საშუალოდ საქონელსა და მომსახურებაზე (კონკრეტულ ქვეყანაში მიხედვით) გამოთვლის მეთოდიკა განსხვავებულია). საცალო ფასების საერთო ინდექსის გამოყენებით ფინანსური ანგარიშგების მარკვენებელთა კორექტირებამ დასავლეთის ლიტერატურაში მიიღო სახელწოდება „მუდმივი მყიდველობითი უნარიანობის ფულად ერთეულში აღრიცხვა“ (constant purchasing power CPP).

ბაზარზე ფასების ინდექსის კორექტირება ხორციელდება პირველადწყობითი ფინანსური კაპიტალის მყიდველობითი უნარიანობის შენარჩუნების მიზნით. კორექტირების ეს მეთოდი, რომელიც ემყარება გადაანგარიშების ერთსახოვან მეთოდიკას, საშუალებას იძლევა გაიზომოს შემოსავალი, გასავალი, აქტივები ერთგვარ ფულად ერთეულში, აგრეთვე შენარჩუნებულ იქნეს პირველადი შეფასება, გამოძევადეს სარგებელი ან დაზარალების ფულის მყიდველობითი ძალის ცვლილებასთან დაკავშირებით.

მიუხედავად კორექტირების მეთოდის ღირსებისა, რომელიც დამყარებულია საცალო ფასების საერთო ინდექსის გამოყენებაზე, საწარმოები დაინტერესებულნი არიან ფასებით არა მხოლოდ საქონელზე საერთოდ, არამედ ასევე კონკრეტულ საქონელზე. არსებობს ფინანსური ანგარიშგების კორექტირებისადმი სხვა მიდგომაც, რომელიც მდგომარეობს ფასების სპეციალური ინდექსების გამოყენებაში (როგორც წესი, საცალო ფასების ინდექსების) კონკრეტულ საქონელზე ან საქონლის ჯგუფზე (ნავთობი, ხე-ტყე, ლითონი და სხვა) და რომელმაც მიიღო სახელწოდება „მიმდინარე ღირებულების აღრიცხვა“ (current cost accounting CCA), ხოლო აქტივების შეფასებას ეწოდება მიმდინარე აღდგენითი ღირებულება, აგრეთვე ზღვება მატერიალურ-წარმოებითი მარაგების და სხვა აქტივების მიმდინარე საბაზრო ფასების (მათი შესაძლო რეალიზაციის ფასებით) შესაბამისი შეფასება, რომელსაც შეიძლება ეწოდოს ნეტო-სარეალიზაციო (რეალიზებული) ღირებულება.

საფინანსო გეგმის შესრულების ზოგად მიმოხილვას უნდა მოჰყვეს ფინანსური მდგომარეობის ანალიზი, რომელიც ძირითადად საბუღალტრო ბალანსის წაკითხვასა და მასში განზოგადებულ მარკვენებელთა გაშლა-შეფასებებზე აიკვება. აქედან გამომდინარე, საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანალიზის ძირითად წყაროს წარმოადგენს ძირითადი საქმიანობის ბალანსი (ბუღალტრული ბალანსი), რომელიც არის სამეურნეო საქმიანობის საშუალებების (ქონების) და მათი წარმოქმნის წყაროების გარკვეული მომენტისათვის ორმხრივი ეკონომიკური დაჯგუფებისა და ფულად (ერთიან საზომში) ერთეულში განზოგადების ბერსი. ე.ი. სტრუქტურულად ორმხრივი ცხრილია, მარცხენა მხარე - აქტივი საწარმოს ქონების (სამეურნეო საშუალებების) შედგენილობა-განაწილებას გვიჩვენებს, მარჯვენა - პასივი კი ამ საშუალებათა წყაროებსა და მიზნობრივ დანიშნულებას.

ეკონომიკაში ახალი ურთიერთობების ფორმირებას თან ახლავს მმართველობის სისტემის მოშლა, არსებითი სამეურნეო კავშირების გაწყვეტა, წარმოების მკვეთრი დაცემა, კორუფცია და ინფლაცია, ამასთან ჰიპერინფლაცია, რაც მთლიანად და მთელი სიმკაცრით დაატყდა საქართველოს.

ინფლაციური პროცესი, რომელსაც მივყავართ მზა პროდუქციაზე, აგრეთვე ამოსავალ სახსრებზე ფასების ზრდისაკენ ან დაცემისაკენ, საწარმოებს საშუალებას არ აძლევს განახორციელოს დანახარჯის სრული ანაზღაურება (ამოგება), ამანინჯებს მათ ფინანსურ შედეგებს და ფინანსურ მდგომარეობას. ამიტომ გარდამავალ ეტაპზე საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე ინფლაციის გამოვლენა არის სამეურნეო საქმიანობის ანალიზის და აღრიცხვის ერთ-ერთი კარდინარული საკითხი.

პირველდაწყებითი შეფასება ინფლაციის პერიოდში იწვევს საკუთარი რესურსების, საბრუნავი სახსრების ნაკლებობას. ამგვარად ფასების საერთო დონის ამაღლებისას, მაგალითად, 20 %-ით, საწარმოს ანგარიშები და თამასუქები თუ გაუფასურდებიან და პერიოდის ბოლოში მათზე შესაძლებელი იქნება მხოლოდ იმისი 83 %-ის  $100/(100-20)*100$  შექმნა, რისი შექმნაც შეუძლებოდა დასაწყისში.

ამგვარად, ფასების სწრაფი ცვლილებების პირობებში ოპერაციის შეფასება პირველდაწყებითი ღირებულების მიხედვით იძლევა მცდარ წარმოდგენას საწარმოს რეალურ ფინანსურ მდგომარეობაზე. მისი კომერციული საქმიანობის შედეგებზე და რესურსების სიდიდეზე, რომლებიც განაწილებას ექვემდებარება. ინფლაციის ზეგავლენით ირღვევა საწარმოს აქტივებისა და პასივების სტრუქტურა, რადგანაც ძირითადი ფონდების მთლიანი პირველდაწყებითი (ისევე როგორც დანარჩენი) ღირებულება ჩამოყალიბდა ადრეულ (ინფლაცი-ამდე) პირობებში, ხოლო ფულადი აქტივები და პასივები კვლავ-წარმოების ახალ პირობებში, როდესაც ინფლაციამ თავის შესწორებანი შეიტანა ფულადი სახსრების ბრუნვაში. ამასთან რაც მეტია (მაღალია) ინფლაციის დონე, მით მეტია საწარმოს აქტივებისა და პასივების სტრუქტურაში დამახინჯებების დონე.

ამის გარდა, ირღვევა ეკონომიკური ანალიზის ჩასატარებლად ძალზე მნიშვნელოვან მაჩვენებელთა შემკვიდრების (შეპირისპირებადობის) პრინციპი ერთი საანგარიშო პერიოდიდან მეორემდე, რის შედეგადაც საწარმოს სამეურნეო-ფინანსური პროცესების მართვის საიმედოება ეცემა. სააღრიცხვო მონაცემების შეუთანხმებლობის ამ პროცესის მწვერვალს უკვე წარმოადგენს ჰიპერინფლაცია.

ფასების ზრდა, რაც ინფლაციას ახასიათებს, იზომება ფასების სხვადასხვა ინდექსებით.

საინფლაციო პროცესების შეფასება მთლიანობაში ხდება საცალო ფასების საერთო დონის მიხედვით და ემსახურება ფულის მყიდველუნარიანობის გაზომვას, აგრეთვე ახასიათებს ფასების მოძრაობას

საშუალოდ საქონელსა და მომსახურებაზე (კონკრეტულ ქვეყანაში მისი გამოთვლის მეთოდიკა განსხვავებულია). საცალო ფასების საერთო ინდექსის გამოყენებით ფინანსური ანგარიშების მარკვნიბელთა კორექტირებამ დასავლეთის ლიტერატურაში მიიღო სახელწოდება „მუდმივი მყიდველობითი უნარიანობის ფულად ერთეულში აღრიცხვა“ (constant purchasing power CPP).

ბაზარზე ფასების ინდექსის კორექტირება ხორციელდება პირველდაწყებითი ფინანსური კაპიტალის მყიდველობითი უნარიანობის შენარჩუნების მიზნით. კორექტირების ეს მეთოდი, რომელიც ეყარება გადაანგარიშების ერთსახოვან მეთოდიკას, საშუალებას იძლევა გაიზომოს შემოსავალი, გასავალი, აქტივები ერთგვარ ფულად ერთეულში, აგრეთვე შენარჩუნებულ იქნეს პირველადი შეფასება, გამოძედავდეს სარკებელი ან დანაკლისი ფულის მყიდველობითი ძალის ცვლილებასთან დაკავშირებით.

მიუხედავად კორექტირების მეთოდის ღირსებისა, რომელიც დამყარებულია საცალო ფასების საერთო ინდექსის გამოყენებაზე, საწარმოები დაინტერესებულნი არიან ფასებით არა მხოლოდ საქონელზე საერთოდ, არამედ ასევე კონკრეტულ საქონელზე. არსებობს ფინანსური ანგარიშების კორექტირებისადმი სხვა მიდგომაც, რომელიც მდგომარეობს ფასების სპეციალური ინდექსების გამოყენებაში (როგორც წესი, საცალო ფასების ინდექსების) კონკრეტულ საქონელზე ან საქონლის კატეგორიებზე (ნავთობი, ზე-ტყე, ლითონი და სხვა) და რომელმაც მიიღო სახელწოდება „მიმდინარე ღირებულების აღრიცხვა“ (current cost accounting CCA), ხოლო აქტივების შეფასებას ეწოდება მიმდინარე აღდგენითი ღირებულება, აგრეთვე ხდება მატერიალურ-წარმოებითი მარაგების და სხვა აქტივების მიმდინარე საბაზრო ფასების (მათი შესაძლო რეალიზაციის ფასებით) შესაბამისი შეფასება, რომელსაც შეიძლება ეწოდოს ნეტო-სარეალიზაციო (რეალიზებული) ღირებულება.

საფინანსო გეგმის შესრულების ზოგად მიმოხილვას უნდა მოჰყვებოდეს ფინანსური მდგომარეობის ანალიზი, რომელიც ძირითადად საბუღალტრო ბალანსის წაკითხვასა და მასში განზოგადებულ მარკვნიბელთა გაშლა-შეფასებებზე აიკვება. აქედან გამოდინარე, საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანალიზის ძირითად წყაროს წარმოადგენს ძირითადი საქმიანობის ბალანსი (ბუღალტრული ბალანსი), რომელიც არის სამეურნეო საქმიანობის საშუალებების (ქონების) და მათი წარმოქმნის წყაროების გარკვეული მომენტისათვის ორმხრივი ეკონომიკური დაჯგუფებისა და ფულად (ერთიან საზომში) ერთეულში განზოგადების ბერხი. ე.ი. სტრუქტურულად ორმხრივი ცხრილია, მარცხენა მხარე - აქტივი საწარმოს ქონების (სამეურნეო საშუალებების) შედგენილობა-განაწილებას გვიჩვენებს, მარჯვენა - პასივი კი ამ საშუალებათა წყაროებსა და მიზნობრივ დანიშნულებას.

საბაზრო ეკონომიკის დანერგვის შესაბამისად შემოღებული იქნა ბალანსი, რომელიც ორივე მხარის ყველა მანვენებელს სამ-სამ შემდეგ განაყოფებში აერთიანებდა:

აქტივი	პასივი
I ძირითადი საშუალებები და ბრუნვის გარეშე აქტივები	I საკუთარ საშუალებათა წყაროები
II მარაგი და ხარჯები	II გრძელვადიანი პასივები
III ფულადი საშუალებები, ანგარიშსწორებანი და დანარჩენი აქტივები	III ანგარიშსწორებანი და დანარჩენი პასივები
<b>ბალანსი</b>	<b>ბალანსი</b>

საბჭოური ბუღალტრული ბალანსიდან ახალზე ეტაპობრივი გადასვლა, რომელიც უფრო პასუხობს საბაზრო ეკონომიკის პრინციპებს და უახლოვდება განვითარებულ ქვეყნებში მოქმედ და თანამედროვე მოთხოვნათა დონის ბალანსების ფორმებს ხორციელდება მუხლებისა და შემადგენელი ნაწილების შეცვლით, აგრეთვე საკუთრების შესაბამისად ბალანსის ვალუტის ფორმისადმი პრინციპის შეცვლით ეს პრინციპი საფუძვლად დაედო ახალ ბალანსს, რომელიც 1997 წლის შედეგებზე დაინერგა, შემდეგ განაყოფებშია გაერთიანებული და მიიღო შემდეგი სახე.

1997 წლისათვის მიღებული ბალანსის სქემა

აქტივი	პასივი
ა. საწარმოს საწესდებო კაპიტალში შეუტანელი შესატანები	ა. საკუთარი კაპიტალი 1 კაპიტალი 2 რეზერვები 3 მიზნობრივი დაფინანსება 4. მოკვება-ზარალი
ბ. ძირითადი კაპიტალი 1 მატერიალური საშუალებები 2 არამატერიალური აქტივები 3 ფინანსური დაბანდებანი	ბ. ანარიცხები
გ. საბრუნავი საშუალებები 1 საწარმოთა მარაგი 2 სხვა საბრუნავი საშუალებები	გ. მოზიდული კაპიტალი და დანარჩენი პასივები 1 სესხები 2 ვალდებულებები
დ. მომავალი პერიოდის ხარჯები	დ. მომავალი პერიოდის შემოსავალი
<b>ბალანსი</b>	<b>ბალანსი</b>

**უპირველესი სიძალე** ის არის, რომ ბალანსის სტრუქტურა ოთხ-ოთხი განაყოფებისაგან შედგება. აქტივის პირველი განაყოფი წარმოდგენილია „საწარმოთა საწესდებო კაპიტალში ჯერ კიდევ შეუ-

ტანელი შესატანები“-ს სახელწოდებით. მათ შორის ცალკეა გამოყოფილი შესატანები რომელთა შეტანის ვადა დამდგარია. ეს განაყოფი ახასიათებს შენატანებით უზრუნველყოფის მდგომარეობას და მის შედგენილობას. ასევე განსაკუთრებული სიახლეა ის, რომ აქტივის მეორე განაყოფში ძირითადი საშუალებების მუხლები სამ ჯგუფშია გაერთიანებული, ამასთან აღსანიშნავია ისიც, რომ მიწის ნაკვეთების როგორც ძირითადი საწარმოო საშუალებების ღირებულება საბუღალტრო აღრიცხვის ობიექტი გახდა. ამასთან ცალკე გამოიყოფა გრძელვადიანი სესხები, რომლებიც მიწის გირავნობითა არის უზრუნველყოფილი.

ბალანსის აქტივის მეოთხე განაყოფი წარმოდგენილია „მოძავალი პერიოდის ხარჯების“ სახელწოდებით, რომელზედაც აისახება ის ხარჯები, რომლებიც მომდევნო პერიოდის დანახარჯებში უნდა იქნეს გათვალისწინებული. შესაბამისად პასივის მეოთხე განაყოფი ითვალისწინებს მოძავალი პერიოდის შემოსავლებს.

აღნიშნული უკანასკნელი ცვლილებების თვალსაჩინოებისათვის, ანალიზის სამაგალითო ბალანსის (გვ. 214-216) მაჩვენებლების მიხედვით გაკეთებულია და შევსებულია ხსენებული 1998 წლიდან მოყოლებული ბალანსის ფორმა

მართალია ფინანსურ ანგარიშგებაში, კერძოდ ბალანსში განხორციელებული ცვლილებები გარკვეულწილად უკვე პასუხობს საბუღალტრო აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების ძირითად მოთხოვნებს, მაგრამ აუცილებელია გაგრძელდეს მუშაობა შემდეგი საჯარო ანგარიშგების სრულყოფის თვალსაზრისით. უწინარეს ყოვლისა მთლიანად პასივი უნდა დაიყოს სამ ნაწილად: „კაპიტალი“, „გრძელვადიანი ვალდებულებანი“ და „მოკლევადიანი ვალდებულებები“. ასეთი დაყოფის გარეშე შეუძლებელია გადაწყდეს საწარმოს ლიკვიდობის და გადახდისუნარიანობის შეფასების, მოსალოდნელი ბანკროტის ღონის საკითხები, ასევე შეუძლებელია შეფასდეს საწარმოს კაპიტალზე სააქციო კაპიტალის შემოსვლა (მათი თანაფარდობა). გაუნაწილებელი მოგება უნდა აღირიცხოს როგორც რეინვესტირებუკლი და არა როგორც ნარჩენი მოგება.

სააქციო კაპიტალი გაშლილი უნდა იქნეს საწარმოს საქმიანობაში აქციონერების მონაწილეობის დადგენის თვალსაზრისით (აქციების რაოდენობისა და ტიპის მიხედვით).

ბალანსის აქტივების ნაწილში ქონების რანჟირება (მოთავსება) უნდა მოხდეს ფულად საშუალებებში აქტივების კონცენტრაციის სიჩქარის ნიშნის მიხედვით. ბალანსის აქტივის საფუძველს წარმოადგენს ბრუნვის გარეშე და საბრუნავი აქტივები. ასევე მიზანშეწონილია მათი გამლა აქტიურ და ბალანსგარეშებად. ასეთი ბალანსის პრინციპული სქემა, რომელიც მხოლოდ ძირითად მაჩვენებლებს ასახავს, შეიძლება იყოს შემდეგი სახის:

## შრომისა და შრომითი რესურსების გამოყენების ანალიზი

### §1. ანალიზის ძირითადი ამოცანები და წყაროები

მატერიალური დოვლათის წარმოების გარეშე საზოგადოება ვერ იარსებებდა. მატერიალური წარმოების პროცესში ადამიანები ზემოქმედებენ ბუნების საგნებზე და გარდაქმნიან მათ ადამიანებისათვის საჭირო პროდუქტებად. პროდუქციის წარმოების შესწავლასთან ერთად ანალიზის მიზანია წარმოების ფაქტორების შესწავლა და მათი გამოყენების ეფექტიანობის ამაღლების შესაძლებლობების გამოვლენა.

საწარმოო პროცესებში ანსხვავებენ პირად და მატერიალურ ფაქტორებს. პირადი ფაქტორი არის ადამიანის შრომა, ანუ სამუშაო ძალის გამოყენება, ხოლო მატერიალური ფაქტორი წარმოების საშუალებები, რომლებიც თავის მხრივ იყოფა შრომის საგნებად და შრომის საშუალებებად. **მარნეულის ანალიზის ამოცანაა შვიდწევლის საბიჟე ვაჭრობითი საწარმოს უზრუნველყოფა და მათი გამოყენების გაუმჯობესების შესაძლებლობათა გამოვლენა.**

შრომა სამუშაო ძალის მოხმარება, ადამიანის მიზანშეწონილი საქმიანობაა, რომლის პროცესში ადამიანები ბუნების საგნებს სახეს უცვლიან და იყენებენ თავიანთ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. შრომის ორგანიზაციის შედეგად შრომის ნაყოფიერების ამაღლება ანალიზის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა.

სამუშაო ძალის გამოყენების ანალიზი უშუალოდ დაკავშირებულია შრომითი რესურსების გამოყენებასთან. შრომით რესურსში იგულისხმება საზოგადოების საწარმოო ძალა, შრომითი კოლექტივები და ყველა მუშაკი, გაერთიანებული ერთობლივ შრომაში (ერთიან საქმიანობაში).

შრომითი რესურსების გამოყენების (ათვისების) ანალიზი უშუალოდ შრომისა და ხელფასის გამოყენების ანალიზია.

**შრომისა და ხელფასის** (შრომის ანაზღაურების) გამოყენების ანალიზის ძირითადი ამოცანაა შრომისნაყოფიერების ამაღლების რეზერვების გამოვლენა. აქედან გამომდინარე, კვლევა ხორციელდება: 1. სამუშაო ძალის, 2. შრომის ნაყოფიერებისა და 3. ხელფასის ფონდის გამოყენების მიმართულებით (სფეროში).

**სამუშაო ძალის გამოყენების ანალიზი** იკვლევს მის რაოდენობას, შედგენილობას (სტრუქტურას), მუშათა კვალიფიკაციის დონესა და ამაღლების შესაძლებლობებს; სამუშაო დროის გამოყენებისა და მისი შემდგომი სრულყოფის შესაძლებლობებს; სამუშაო ძალის ცვალებადობის მიზეზებს, შრომის დისციპლინის განხორციელებას და სხვა. პროდუქციის მოცულობაზე გავლენის მომხდენ სამუშაო ძალის გამოყე-

ბალანსის სქემა მოსალოდნელი ცვლილებებით

აქტივი	პასივი
საბრუნავი აქტივები	ვალდებულებები
ფულადი საშუალებები	მოკლევადიანი ვალდებულებები
მოკლევადიანი ინვესტიციები	გრძელვადიანი ვალდებულებები
დებიტორები	კაპიტალი
მარაგები	საწესდებო კაპიტალი
ბრუნვის გარეშე აქტივები	ფონდები და რეზერვები
არამატერიალური აქტივები	გაუნაწილებელი მოგება
გრძელვადიანი მატერიალური აქტივები	მარეგულირებელი მუხლები
მარეგულირებელი მუხლები	საბრუნავ-გამანაწილებელი მუხლები
საბრუნავ-გამანაწილებელი მუხლები	

**ბალანსი**

**ბალანსი**

ბალანსის ანალიზის შეთოდისა და პრაქტიკულად ჩატარების საილუსტრაციოდ შრომაში II განყოფილებაში თანმიმდევრულად განხილულია ქონების და წყაროების ანალიზი, ნაჩვენებია ინფლაციის გავლენის, გადაამხდელუნარიანობის დადგენის და სხვა ხერხები. ამასთან მუხლების მაჩვენებელთა მიხედვით მოცემულია სამეურნეო შედეგების მახასიათებელ კოეფიციენტთა გაანგარიშების რეკომენდაციები.

**საწარმოო ფონდის ბრუნვალობის ანალიზი** ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია, რომელიც იძლევა შესაძლებლობას მატერიალურ და ფულად ფორმაში ღირებულებათა ცვალებადობის დახასიათებასა და ეფექტურობის განსაზღვრისათვის.

მრეწველობაში (სხვა დარგებშიც) საწარმოო-სამეურნეო საქმიანობის პროცესში ფონდები გვევლინებიან, როგორც სამრეწველო საწარმოო, არასამრეწველო (სხვა დარგების) საწარმოო და არასაწარმოო დანიშნულების ფონდებად. წარმოებაში ისინი ჩართულნი არიან როგორც მწარმოებლური, ფულადი და სასაქონლო ფონდები.

ფონდების სამივე ფორმის ამოცანაა უზრუნველყოს წარმოებისა და კვლავწარმოების უწყვეტი პროცესი, ხოლო საწარმოო ფონდებთან განსხვავებით მწარმოებლური ფონდები თვით შესახურებისა და საწარმოო პროცესს. ამასთან საწარმოო ფონდებში შედის აგრეთვე მიმოქცევის ფონდები და გვევლინება ერთიან ფონდებად. ე.ი. მიმოქცევის სფეროშიც იყოფიან მიმოქცევისა და საბრუნავ ფონდებად. ასევე გასათვალისწინებელია ის, რომ ბალანსის მაჩვენებლებში საბრუნავ საშუალებებში შრომის საგნებთან ერთად გვევლინებიან მზა პროდუქცია, მომავალი პერიოდის ხარჯები, ფულადი საშუალებები, დებიტორები და სხვა.

**საწარმოო ფონდების ბრუნვალობის ანალიზის ამოცანაა შემოსავლის მართი სტრუქტურა, ბრუნვის სიჩქარე, მათი გამოყენების**

ნებასთან დაკავშირებულ ფაქტორებსა და მისი გამოყენების სრულყოფის გზებს და ა.შ.

ანალიზი წარიმართება საწარმოს პერსონალის შედგენილობის შესაბამისად. აუცილებელია გამოვლინდეს მუშაკთა რაოდენობაში აბსოლუტური და შეფარდებითი გადახრები. აბსოლუტური გადახრა გულისხმობს სხვაობას მუშაკთა რაოდენობაში (ფაქტიურის გეგმასთან, საბაზიზოსთან), ხოლო შეფარდებითი - მუშაკთა რაოდენობის (შედგენილობის მიხედვით) შედარებას პროდუქციის გამოშვებასთან. მუშაკთა რიცხვის ზრდა პროდუქციის გამოშვების ზრდის შესაბამისად ხორციელდება და პროდუქციის ზრდა, როგორც წესი, წინ უნდა უსწრებდეს მუშაკთა რიცხვის მატებას.

სამუშაო ძალის გამორყენების ანალიზის დასკვნები დაკავშირებულია აბსოლუტური და შეფარდებითი განვითარების დინამიკის ტენდენციებზე.

**შრომის ნაყოფიერების ანალიზი** იკვლევს შრომის ნაყოფიერების დონეს, მის დინამიკას, მასზე მოქმედ ექსტენსიურ და ინტენსიურ ფაქტორებს, მათი გავლენის დონესა და შრომის ნაყოფიერების ამალღების შესაძლებლობებს.

შრომის ნაყოფიერება ხასიათდება გამოშვებული პროდუქციის მოცულობისა და დახარჯული სამუშაო დროის შეფარდებით, ასევე შეიძლება აღებულ იქნას წმინდა პროდუქტია.

თუ სამუშაო დროის ხარჯვა არის შრომის რაოდენობრივი დახასიათება, შრომის ნაყოფიერება მისი ხარისხობრივი დახასიათებაა.

პროდუქციის მოცულობის გადიდება შეიძლება როგორც შრომის დანახარჯების გადიდებით, ისე შრომის ნაყოფიერების ამალღებით, მაგრამ შრომის დანახარჯების გადიდების გზით პროდუქციის გადიდებას გარკვეული ბუნებრივი და ორგანიზაციული ზღვრები აქვს. შრომის ნაყოფიერების ამალღებას კი უფრო სრულყოფილი მექანიზმების დახერგვის, ავტომატიზაციის გამოყენების, ახალ ტექნოლოგიაზე გადასვლის გზით გაცილებით დიდი შესაძლებლობები აქვს.

**შრომის ნაყოფიერების ანალიზის ამოცანაა გამოავლინოს მისი ამალღების ყველა რეზერვი, განსაზღვროს მისი გამოყენების ძაბვითი ღონისძიებები.** ამ ამოცანის გადაწყვეტა შეიძლება მხოლოდ შრომის ნაყოფიერების დონეზე მოქმედი ყველა ფაქტორის ღრმა ანალიზის საფუძველზე.

შრომის ნაყოფიერების ამალღების საზოგადოებრივი მნიშვნელობა ისაა, რომ პროდუქციის ყოველი ერთეულის წარმოება მოითხოვს ცოცხალი და წარსული შრომის წინანდელზე უფრო ნაკლებ დანახარჯებს, თანაც მათი თანაფარდობა იცვლება წარსული შრომის წილის გადიდებით და ცოცხალი შრომის წილის შემცირების მიმართულებით.

ხელფასის ფონდის გამოყენების ანალიზის სფერო მოიცავს: ხელფასის ფონდის ხარჯვის შესწავლას საწარმოს ყველა სახის პერსონალის მიხედვით, მოქმედი შრომის ანაზღაურების სისტემების ფორ-

მების საფუძვლიანობას და სისწორეს, მათ ეფექტურობას, ხელფასის ფონდის დამოკიდებულებას შრომის ნაყოფიერებასთან და პროდუქციასთან, ხელფასის ფონდის გამოყენების ეფექტურობის ამალღების შესაძლებლობათა გამოვლენას და მობილიზაციას.

შრომის რესურსების გამოყენების ანალიზის ფორმირების სქემა შეიძლება შემდეგი სახით აიგოს:

შრომისა და ხელფასის ფაქტორების ფორმირებისა და ანალიზის სქემა



შრომის ანაზღაურებისა და ხელფასის გამოყენების ანალიზის წყაროა ყველა სახის ინფორმაცია, ასევე ანალიტიკოსის პირადი დაკვირება-ინიციატივა, გამოქვეყნებადი და შიდა ანგარიშგება, აგრეთვე ბუღალტრული გატარებები.

X

საბაზრო ეკონომიკის შესაბამისად განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს შრომის რესურსების (სამუშაო ძალის) მოთხოვნასა და ფაქტიურ მოცულობას შორის თანაფარდობა. თუ ავლნიშნავთ შრომის ანაზღაურებას W-თი, შრომის არსებულ რაოდენობას (რესურსებს) Q-თი, მათ თანაფარდობას Wc-თი, მაშინ შრომის ანაზღაურების მანკენებლის მეტობა ნიშნავს სამუშაო ძალის მეტიობას მოთხოვნაზე, ხოლო თუ ნაკლებია, მაშინ სამუშაო ძალ ნაკლებია მოთხოვნაზე.

## §2. საწარმოს სამუშაო ძალით უზრუნველყოფისა და მისი გამოყენების ანალიზი

საწარმოს კადრებით უზრუნველყოფის ანალიზი იწყება მუშაკთა შედგენილობისა და სტრუქტურის შესწავლით.

მუშაკთა შედგენილობას სწავლობენ შემდეგი მიმართულებით: 1. წარმოებასთან დამოკიდებულების 2. სამუშაოს შესრულების დამოკიდებულებისა და 3. პირად თვისებათა მიხედვით.

წარმოებასთან დამოკიდებულების მიხედვით მრეწველობაში ყოფენ სამრეწველო და არასამრეწველო ხასიათის პერსონალებად.

მუშაკთა შედგენილობის სტრუქტურა გამოსაქვეყნებლად დღეს დაყვანილია მუშებად და მომსახურე პერსონალად დაყოფაზე, მაგრამ ანალიზისათვის მიზანშეწონილია მუშაკთა კატეგორიის მიხედვით პერსონალის დაყოფა: მუშებად, მოსწავლეებად. ინჟინერ-ტექნიკურ, მოსამსახურე, მომსახურე, დაცვის და სხვა მუშაკებად.

შრომითი რესურსების ანალიზისათვის შეიძლება შევადგინოთ შემდეგი ანალიზური ცხრილი, რომელიც მოგვცემს სურათს საწარმოს შრომითი რესურსებით უზრუნველყოფისა და გვემის შესრულების შესახებ:

ცხრილი №4

	წინა წელს	გვემით	ანგარიშგებით ფაქტობრივად	პროცენტობით	
				გვემასთან	წინა წელთან
სამრეწველო-საწარმოო პერსონალი მათ შორის:	4180	4130	4170	101.0	99.8
მუშები	3583	3541	3586	100.0	100.1
მოსწავლეები	50	52	50	96.2	100.0
ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი	305	305	302	99.0	99.0
მოსამსახურეები	142	140	140	100.0	98.6
მომსახურე პერსონალი	70	70	62	88.6	88.6

ვით წინა წლის ბრუნვადობიდან გამომდინარე საბრუნავი საშუალებების სიჭარბე იქნება:  $56000 * 39,7 : 360 = 61750$  ათასი ლარი. თუ დავუპირისპირებთ საბრუნავი საშუალებების ფაქტობრივ მდგომარეობას, გვექნება ეკონომია 75 ათასი ლარი (6100-6175).

საბრუნავი საშუალებების გამოყენების ეფექტურობა გამოვლინდება არა მარტო ბრუნვადობის დაჩქარებაში, არამედ თვითღირებულების შემცირებასა და მოგების გადიდებაში.

საბრუნავი საშუალებების ბრუნვადობის ცვალებადობის შედეგად რეალიზაციიდან ამონაგების მიხედვით შეფარდებით მოგების გამოანგარიშება შეიძლება შემდეგი ფორმულით:

$$\Delta P_{\Pi}^{N^P} * K_E^{N^P} - P_{\Pi}^{N^P} \quad \text{სადაც,}$$

$\Delta P_{\Pi}^{N^P}$  არის ბრუნვადობის ცვლილების შედეგი;

$P_{\Pi}^{N^P}$  - გეგმური მოგება გეგმური რეალიზაციიდან;

$K_E^{N^P}$  - საბრუნავი საშუალებების მიხედვით ბრუნვის ცვლილების შედეგად რეალიზაციის გეგმის შესრულების კოეფიციენტი;

ბრუნვის ცვლილების შედეგად რეალიზაციის გეგმის შესრულების კოეფიციენტი გამოიანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$K_E^{N^P} = \frac{E_{\Pi}^H * \frac{N_{\Phi}^P}{E_{\Phi}^H}}{N_{\Pi}^P} = \frac{N_{\Phi}^P * E_{\Pi}^H}{N_{\Pi}^P * E_{\Phi}^H}$$

ჩვენი მაგალითიდან გამომდინარე გვექნება:  $K_E^{N^P} = \frac{3690 * \frac{56000}{4030}}{55300} = 0,927$

ანუ 92,7%. აქედან გამომდინარე

$$K_E^{N^P} = 1400 * 0,927 - 1400 = -102 \quad \text{ათასი ლარი.}$$

ეს ნიშნავს, რომ საბრუნავი საშუალებების ბრუნვადობის დაჩქარებით საწარმო იღებდა 102 ათას ლარ მოგებას, მაგრამ საბოლოოდ თუ რამდენი დარჩა მას ამ მოგებიდან, ანალიზის შემდგომ და სხვა მიმართულების საკითხს წარმოადგენს.

პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის ანალიზი

§1. ანალიზის ძირითადი ამოცანები და წყაროები

წარმოების ძირითადი დანიშნულება და მიზანი უნდა იყოს პროდუქციით მოსახლეობისა და სახალხო მეურნეობის ყველა მოთხოვნილობების დაკმაყოფილება, ამ ძირითად მიზანს უნდა ერწყმოდეს კერძო, საზოგადო და სახელმწიფოებრივი ინტერესები. წარმოება, ბიზნესი და ბაზარი უპირველესყოვლისა საკუთარი ქვეყნისა და ხალხის მოთხოვნებს უნდა ემსახურებოდეს, მეწარმის ინტერესის გათვალისწინებით.

პროდუქცია, უპირველეს ყოვლისა, არის სამომხმარებლო დოვლათის ერთობლიობა, გამოშვებული პროდუქციის დონისა და დინამიკის მაჩვენებელი იძლევა ქვეყნის ძლიერების დახასიათებას და განსაზღვრავს საზოგადოების ქონებრივ უზრუნველყოფის დონეს.

პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის მოცულობის, დაგეგმვის, გეგმის შესრულებისა და დინამიკის ტენდენციების შეფასებისათვის ანალიზი გამოიყენებს ნატურალურ, შრომით და ღირებულებით მაჩვენებლებს.

წარმოების მოცულობის განმსაზღვრელი მაჩვენებელია პროდუქციის შესრულებული სამუშაოებისა და მომსახურების მოცულობა.


მრეწველობაში პროდუქციის წარმოების მოცულობა ხასიათდება მთლიანი (საერთო) და წმინდა პროდუქციით. ამავე დროს გამოიყენება მზა ნაწარმისა და სასაქონლო პროდუქციის მაჩვენებლები, ხოლო რეალიზაციისა—რეალიზებული სასაქონლო პროდუქციის მოცულობით. მშენებლობაში პროდუქციის მოცულობის მახასიათებელი მაჩვენებელია სასაქონლო საამშენებლო პროდუქცია და საამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობა. თუ ტრანსპორტს ავიღებთ აქ იქნება ტვირთბრუნვა, მკ ზავრთა გადაყვანა, ვაჭრობაში საქონლებრუნვა და ა.შ.

**სამრეწველო პროდუქციის ჩაითვლება საწარმოს სამრეწველო-საწარმოო სამნიშნობის პირდაპირი და სასარგებლო შიდაში, ბაჟოსახელში ან პროდუქტების ფორმაში (სახეში) ან საწარმოო მომსახურების ფორმაში.**

სამრეწველო პროდუქცია საწარმოს ძირითადი საქმიანობის პირდაპირი შედეგია. ე.ი. ის რაზედაც მიმართულია შრომა, მაშასადამე, პროდუქციას უნდა მიეკუთვნოს საწარმოს საქმიანობის სასარგებლო შედეგები.

საწარმოო მომსახურება ძირითადად გულისხმობს საწარმოში შექმნილი საგნების სამომხმარებლო ღირებულების გადიდებას, ან დაკარგული სამომხმარებლო ღირებულების აღდგენას. მას ხშირად უდარებენ სამრეწველო სამუშაოებს. პროდუქციის გამოშვებისა და რეალიზაციის მაჩვენებელთა ანალიზის ფორმირების სქემა შეიძლება შემდეგი სახით აიგოს:

პროდუქციის გამოშვებისა და რეალიზაციის მარკეტინგული ანალიზის ფორმირების სქემა



წარმოების მოცულობისა და პროდუქციის რეალიზაციის ეკონომიკური ანალიზის ძირითადი ამოცანები შემდეგში მდგომარეობს:

წარმოების მოცულობის, პროდუქციის სტრუქტურის, ხარისხის დინამიკისა და გეგმის შესრულების მაჩვენებლების შეფასება;

გეგმური მაჩვენებლების ხარისხის, მათი დაძაბულობისა და რეალობის შემოწმება-დაზუსტება;

წარმოების მოცულობისა და პროდუქციის რეალიზაციის მაჩვენებლებზე ძირითადი ფაქტორების გავლენის გამოკვლევა;

პროდუქციის გაზრდის, მისი ასორტიმენტისა და ხარისხის გაუმ-

ჯობესების ღონისძიებათა შემუშავება, მოთხოვნათა შესაბამისი ცვლილებების გათვალისწინებით;

ბაზრის კონიუნქტურისადმი შესაბამისობის შესწავლა პერსპექტივაში.

**წარმოების მოცულობა** ღირებულებით მაჩვენებლებში ხასიათდება მთლიანი, სასაქონლო და რეალიზებული პროდუქციით, რომელიც დამოკიდებულია შრომატევადობის, მასალატევადობისა და წარმოებული პროდუქციის რენტაბელობაზე. წარმოების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია პროდუქციის წარმოების ციკლის პერიოდის შემცირება და დაუმთავრებელი წარმოების თანდათან ლიკვიდაცია (საანგარიშო პერიოდისათვის).

სასაქონლო წარმოების პირობებში სამრეწველო პროდუქცია თავისი არსით და ფორმით წარმოადგენს ბაზრისათვის საქონელს და იწარმოება ბაზრისათვის. სამეურნეო საქმიანობის დაგეგმვის წინა წესი იყო ისეთი, რომ ბაზრით და მისი კონიუნქტურით მწარმოებლები ნაკლებად, ინტერესდებოდნენ, მრავალი მწარმოებლის წარმოდგენაში ბაზარი სრულიად აბსტრაქტული იყო, შესაბამისად მთლიანი პროდუქციის მაჩვენებელმა თავისი თავდაპირველი მნიშვნელობა დაკარგა, ამასთან მან უფრო მეტი მნიშვნელობა მოიპოვა შიდა ანალიზის საქმეში, ვინაიდან მთლიანი პროდუქცია წარმოადგენს ახლად შექმნილი და გადატანილი ღირებულების ერთობლიობას. ეს მაჩვენებელი გამოიყენება საწარმოო საქმიანობის (მენეჯერული საქმიანობის), სრულყოფილი ანალიზისათვის მთლიანად.

მთლიან სასაქონლო პროდუქციაში განიკეთებულ შრომას დიდი ადგილი უჭირავს. წარსული შრომის ელიმინირების თვალსაზრისით და ცოცხალი შრომის გამოყენების შედეგების შეფასებისათვის მიზანშეწონილია, ანალიზი ჩატარდეს წმინდა პროდუქციის მიხედვით, ვინაიდან საერთო (მთლიან) პროდუქციიდან მატერიალური დანახარჯების გამოყოფა იძლევა უშუალოდ შექმნილი პროდუქციის მოცულობას. წმინდა პროდუქციის მაჩვენებელი ( $N^Z$ ) გამოიყენება საერთო პროდუქციაზე ( $Q^P$ ) ღირებულებითი მაჩვენებლების (ამავე პროდუქციაზე) მატერიალური დანახარჯების ( $M$ ) გამოკლებით. თუ მთლიანი და სასაქონლო პროდუქცია ერთმანეთს ემთხვევა მოცულობით, მაშინ წმინდა პროდუქციის მოცულობაც, ორივე სახის პროდუქციის მიხედვით ტოლი იქნება ფორმულა იქნება:  $N^Z = Q^P - M$

წარმოების მოცულობის შეფასების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მხარეა სასაქონლო პროდუქციის ნომენკლატურის, ასორტიმენტისა და სტრუქტურის მიხედვით ანალიზი.

ნომენკლატურის მიხედვით შეფასება ხდება გეგმური და ფაქტიური ცალკეული ნაწარმის დაპირისპირებით, გამოსაშვები პროდუქციის დასახელების შესაბამისად.

პროდუქციის ასორტიმენტი გულისხმობს პროდუქციის სახე-

ბის, არტიკულის, „ფასონისა“ და ა.შ. ჩამოთვლას. პრაქტიკაში ანალიზი კეთდება პროდუქციის გაშლილი და ჯგუფური ასორტიმენტის მიხედვით. მთლიანი პროდუქციის მიხედვით გვემის შესრულება არ ნიშნავს ასორტიმენტის გვემის შესრულებას.

ნომენკლატურისა და ასორტიმენტის შესაბამისად ანალიზის მიზანია შეაფასოს პროდუქციის სტრუქტურული ძვრების გავლენა სამეურნეო საქმიანობის ისეთ განზოგადებულ მანკენებელზე, როგორც არის პროდუქციის გამოშვება და რეალიზაცია, შრომის ნაყოფიერება, თვითღირებულება, მოგება და შესაბამისად რენტაბელობა.

პროდუქციის სტრუქტურის შესაბამისად ანალიზის დროს საჭიროა მათი დაჯგუფება: საწარმოს პროფილის შესაბამისად მპროფილებელ და არამპროფილებელ პროდუქციად; ძირითად და საყოფაცხოვრებო დანიშნულებისა და სამეურნეო მოხმარების პროდუქციად; შესადარ და არაშესადარ, ძირითად და სხვა (დანარჩენი) ნომენკლატურის, ხარისხის კატეგორიისა და სხვა ნიშნის მიხედვით.

**წარმოების პროდუქციის დინამიკის ანალიზისათვის** გამოიყენება მთლიანი პროდუქციის ზრდისა და მატების ტემპის მაჩვენებელი.

**პროდუქციის საშუალო ზრდის ტემპი** გამოიყენება ორი ზერხით:

1. ყოველწლიური ზრდის პროცენტს წინა წელთან შედარებით გადაამრავლებენ ერთმანეთზე და ამოაქვთ იმდენი ხარისხის ფესვი, რამდენი წელიც არის აღებული საკვლევი პერიოდში. (როცა წელთარიცხვი ცოტაა, გამარტივების თვალსაზრისით, ზრდის მაჩვენებელი ასევე შეიძლება საკვლევი ყველა წლის პროცენტების ჯამის წელთაროდენობაზე გაყოფით მივიღოთ);

2. იღებენ საბაზისო და ბოლო წლების მაჩვენებლების შეფარდებას და ამოაქვთ იმდენი ხარისხის ფესვი, რამდენი წელიც არის აღებული საკვლევი პერიოდში.

პროდუქციის ხარისხის ამაღლება გავლენას ახდენს წარმოების მოულობაზე, მაღალი ხარისხის პროდუქციის წილის გადიდება საერთო პროდუქციაში ზრდის მის თანხობრივ მაჩვენებელს. ამაღლებს ერთეულის საშუალო შეწონილ ფასს. **ანალიზის მიზანია გამოავლინოს პროდუქციის ხარისხიანობაში ცვლილებების გავლენა და განსაზღვროს ხარისხიანობის ამაღლების შესაძლებლობანი.**

ხარისხიანობის მახასიათებელი მაჩვენებელი არის ხარისხიანობის კოეფიციენტი, რომელიც მიიღება ყველა ხარისხის პროდუქციის ღირებულების შეფარდებით ამავე პროდუქციის მაღალი ხარისხით შესაძლო ღირებულებასთან.

წარმოების მოცულობის დახასიათება ასევე დაკავშირებულია პროდუქციის გამოშვების რიტმულობასთან. პროდუქციის არა რიტმული გამოშვება იწვევს სამუშაო ძალის, მოწყობილობების, საწარმოო ფონდების, მატერიალური რესურსების, თანაბარზომიერი გამოყენების დარღვევას და მოქმედებს წარმოების მოცულობასა და ხარისხზე.

ეკონომიკურმა ანალიზმა საჭიროა დაადგინოს პროდუქციის გაორჯობის არარეალურობის მიზეზი, შიშობავსო გაორჯობაზელი ნაპროვანებაჲის გაორსორობაჲის ღონისძიებაჲი და გაორჯობაჲის პროდუქციის გაორჯობის გადიდების შესაძლებლობაჲი.

პროდუქციის რაოდენობა და მისი ხარისხი ძირითადად საწარმოო ფაქტორების გამოყენების შედეგია. ანალიზმა უნდა გამოავლინოს საძივე ჯგუფის: შრომის, შრომის საშუალებებისა და შრომის საგნების განმსაზღვრელი ფაქტორების გავლენა და ამ ნიადაგზე წარმოების გადიდებისა და ეფექტურობის ამაღლების რეზერვები.

ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს არასაწარმოო ფაქტორების გავლენის შესწავლას, რომლებიც მუშების სოციალური და საყოფაცხოვრებო პირობებით არის განპირობებული და პირდაპირ მოქმედებენ შრომის ნაყოფიერებაზე.

რეალიზაცია ნიშნავს გავზავნილ საქონელზე თუ შესრულებულ სამუშაოებსა და მომსახურებაზე მათი ღირებულების შესაბამისად თანხის მიღებას.

რეალიზაციის მოცულობა უშუალოდ დამოკიდებულია წარმოების მოცულობასა და პროდუქციის გამოშვებაზე, შესრულებული სამუშაოებისა და მომსახურების მოცულობაზე. აქედან გამომდინარე, რეალიზაციის მოცულობის ანალიზი უშუალოდ ეყრდნობა და გამომდინარეობს წარმოების მოცულობის ანალიზიდან.

რეალიზაციის მოცულობა უშუალოდ ახასიათებს მოთხოვნათა დაკმაყოფილების დონეს და რეალიზაციის გეგმის შესრულების მაჩვენებლებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს როგორც თვით საწარმოსათვის, (რეალიზაციის შედეგად იფარება წარმოების მიერ გაწეული ხარჯები და მიიღება მოგება), ასევე მთელი სახალხო მეურნეობის მასშტაბით, რადგანაც ერთიანი სახალხო მეურნეობა დამოკიდებულია ურთიერთ დროულ გეგმაზომიერ მიწოდებაზე, სამუშაოების შესრულება-მომსახურებასა და ხელშეკრულებათა შესრულებაზე.

პროდუქციის გამოშვებისა და რეალიზაციის ანალიზის წყაროს უფრო სწორად, ინფორმაციას წარმოადგენს ბუღალტრული და სტატისტიკური ანგარიშგების ფორმებში ასახული მონაცემები, კერძოდ ბუღალტრული ანგარიშგების ფორმებიდან გამოიყენება მონაცემები პროდუქციის გამოშვებაზე, დანახარჯებზე (თვითღირებულებაზე), რეალიზაციაზე და სხვა. შესაბამისი ცნობა-ახსნაგანმარტებებით. ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის შესაბამისად ანალიზისათვის მაჩვენებლების მიღება მათი მემკვიდრით გაადვილდება. ასევე საკვლევი სტატისტიკური ანგარიშგებები პროდუქციის გამოშვება რეალიზაციაზე; აგრეთვე ბუღალტრული დოკუმენტისა და გატარების ჩანაწერები. ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს ისეთ მონაცემებს, როგორც არის ქრონომეტრაჲისა და ფოტოგრაფიის მასალები. მუდმივმოქმედი საწარმოო თათბირების ოქმები, აქციონერთა გამგეობის სხდომის ოქმები, აუდიტორთა დასკვნები და სხვა.

## §2. წარმოების მოცულობისა და პროდუქციის გამოშვების ანალიზი

**წარმოების მოცულობის** დახასიათებისათვის გამოიყენება, უპირველეს ყოვლისა, მთლიანი პროდუქცია, აგრეთვე მზა ნაწარმი დაუმთავრებელი წარმოებისა და ნახევარფაბრიკატების დამზადება. თვით საწარმოს ფარგლებში ახლად შექმნილი ღირებულების დახასიათება კი საჭიროა დაუკავშირდეს წმინდა პროდუქციას. აღნიშნული სახეების მიხედვით ანალიზი ცალ-ცალკე განსაზღვრავს მათ ეფექტურობას, ურთიერთკავშირს, ურთიერთგანპირობებულობას და გამოავლენს წარმოების მოცულობის გადიდებისა და სრულყოფის შესაძლებლობებს

**მთლიანი პროდუქცია** - განსაზღვრული პერიოდისათვის საწარმოს ან დარგის წარმოების საერთო მოცულობაა, გამოსახული სტაბილურ ფასებში. მთლიანი პროდუქცია შედგება მზა ნაწარმისა და დაუმთავრებელი წარმოების ნარჩენებისაგან.

მზა ნაწარმი - საწარმოსათვის არის მისი დამთავრებული პროდუქტი, რომელიც მოცემული საწარმოს ფარგლებში არავითარ გადამუშავებას არ ექვემდებარება. ე.ი. მზა ნაწარმად ჩაითვლება ისეთი ნაქეთობა, რომელიც ამ საწარმოში (წარმოებაში) არავითარ დამუშავებას არ მოითხოვს.

**მზა ნაწარმი** ძირითად ნაკეთობებთან ერთად შეიძლება იყოს საწარმოს მეშველი, დამხმარე და თანამდე საამქროების პროდუქტებიც, რომლებიც ასევე ანალიზის ობიექტია

დაუმთავრებელი წარმოება (უფრო ზუსტად - წარმოების დაუმთავრებელი პროდუქცია) არის ისეთი შრომის საგნები, რომლებიც უკვე ჩართულნი არიან საწარმოო პროცესში და აღრიცხვის მომენტიანათვის არა აქვთ მიღებული პროდუქციის ნაწარმის ან დეტალის დასრულებული სახე.

**ნახევარფაბრიკატი** ეს უკვე დამთავრებული სახის ნაკეთობაა, მაგრამ მისი დანიშნულება იმაში მდგომარეობს, რომ ის მონაწილეობს საბოლოო სახის პროდუქციის შექმნაში. როგორც გარკვეული დეტალი. ე.ი. წარმოებაში შიგნით შემდგომ გამოყენებას ექვემდებარება ამ სახის პროდუქციის გარკვეული ნაწილიც შეიძლება რეალიზაციას ექვემდებარებოდეს, ამ შემთხვევაში ის იქნება მზა ნაწარმი, უფრო სწორად გასაყიდი ნახევარფაბრიკატი.

**წმინდა პროდუქცია** - არის საწარმოს ფარგლებში ახლად შექმნილი ღირებულება. ე.ი. იგი არის საწარმოს პროდუქციის ფულადი შეფასება მატერიალური დანახარჯების გამოკლებით.

პროდუქციის მოცულობა აღირიცხება და ფასდება სხვადასხვა ერთეულებში. ანალიზიც შესაბამისად კეთდება მიყენებული ზომის ერთეულების მიხედვით. წარმოების მოცულობის შესაბამისად პროდუქციის აღრიცხვა-ანალიზისათვის გამოიყენება ნატურალური, ნატურალურ-პირობითი, შრომითი და ფულადი ერთეულები.

ნატურალურ ერთეულში აღირიცხება ცალკეული პროდუქცია, რომელიც საბოლოოდ იძლევა პროდუქციის მოცულობის დახასიათებას ფიზიკურ საზომებში: ცალბში, წონის ერთეულში (გრამი, კილო, ტონა), სიგრძივი საზომები (სანტიმეტრი, მეტრი, კილომეტრი), კვადრატულ, კუბურ ერთეულებში და ა.შ.

ნატურალური ერთეულის თავისებურება და უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ პროდუქციის მოცულობა ხასიათდება, როგორც კონკრეტული სამომხმარებლო ღირებულებათა ოდენობა.

ნატურალურ ერთეულში პროდუქციის ანალიზი, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა პროდუქციის გამოშვების გეგმის არა მარტო საერთო შესრულების დახასიათებისათვის, არამედ ნაკეთობათა სახეების მიხედვითაც, გეგმის შესრულების ასორტიმენტის მიხედვით შეფასება დახასიათებისათვის. ამასთან ნატურალურ ერთეულში პროდუქციის გამოსახვა იძლევა პროდუქციის გამოშვების გეგმის შესრულების დახასიათებას არა მარტო სახეების მიხედვით, არამედ ხარისხის, ზომის, მარკის, არტიკულისა და სხვა ნიშნის მიხედვით.

ნატურალურ-პირობით ერთეულში პროდუქციის გამოსახვა წარმოდგენას გვაძლევს გარკვეული სამომხმარებლო ღირებულების მასის მოცულობაზე. მაგალითად ცხიმთანობა, კალორიულობა, ნაცრიანობა და სხვა. ამ სახის საზომი ერთეულის მიხედვით შეიძლება შემდეგი დახასიათება მიეცეს პროდუქციის გამოშვებას:

ცხრილი № 21

	გადასაყვანი კოეფიციენტი	გამომშვებ ტონობით		ნატურალურ-პირობითი მაჩვენებელი	
		გემ-მით	ფაქტობრივად	გემ-მით	ფაქტობრივად
40 პროცენტია ცხიმთანობის პროდუქცია	1,0	1000	1000	1000	1000
60 პროცენტია ცხიმთანობის პროდუქცია	1,5	1000	1200	1500	1800
სულ	2,5	2000	2200	2500	2800

თანახმად მონაცემებისა, გეგმის შესრულება ნატურალურ ერთეულში იქნება  $2200:2000 \cdot 100 = 110 \%$ , ნატურალურ-პირობით ერთეულში კი  $2800:2500 \cdot 100 = 112 \%$ .

შრომით ერთეულებად ძირითადად გამოიყენება სამუშაო დროის დანახარჯები: შრომადლე, ნორმასათი და სხვა.

ფულად ერთეულში პროდუქციის შეფასება და მოცულობის გამოთვლა ხდება ღირებულების, ფასის, თვითღირებულების, ნორმატიული ღირებულების მიხედვით. ფასი შეიძლება იყოს საცალო, საბითუმო, საგეგმო, სახელშეკრულებო, სტაბილური, დროებითი, ერთჯერადი და სხვა.

**ეფექტიანობა, მიმოქცევის ხანგრძლივობა და გამოავლინოს საფარპო ვონდების გამოყენების შემდგომი სრულყოფის შესაძლებლობები.**

ძირითადი ფონდების ბრუნვის ხანგრძლივობა ( $K^k$ ) გამოიანგარიშება მათი პირველადი ღირებულებით, საშუალო წლიური ღირებულების ( $F$ ) შეფარდებით ამორტიზაციის წლიურ თანხასთან ( $A^p$ ). ფორმულა იქნება  $L^f = F/A^p$ .

ძირითადი ფონდების გამოყენების დონე სრულყოფილად ვლინდება ფონდუკუგებისა და ფონდტევადობის მაჩვენებლებში და აგრეთვე ძირითადი ფონდების მიხედვით რენტაბელობის მაჩვენებლებში, რაზედაც II ქვედანაყოფში პრაქტიკულ მაგალითებზე დეტალურად არის დახასიათებული (მეთოდის პოზიციიდან).

ბრუნვადობის დაჩქარებას დიდი მნიშვნელობა აქვს სახსრების გამონთავისუფლების საქმეში. შემობრუნების დროის შემცირება დამოკიდებულია ტექნიკურ პროგრესზე, სპეციალიზაციაზე, კოოპერირებაზე (იგულისხმება ინტეგრაცია) და ასევე დატვირთვა-გადმოტვირთვის საშუალების მექანიზაციაზე, გადაზიდვების დაჩქარებაზე და სხვა. ბრუნვადობის ანალიზმა უნდა გამოავლინოს ხსენებული და სხვა ფაქტორების გავლენა და ამ ნიადაგზე ბრუნვადობის დაჩქარების შესაძლებლობები.

**საბრუნავი საშუალებების მიმოქცევა** სამი ძირითადი მაჩვენებლის მიხედვით განისაზღვრება:

1) ბრუნვის რიცხვი მოცემულ პერიოდში, ანუ ბრუნვადობის კოეფიციენტი - ( $K^p$ ), რომელიც იზომება რეალიზაციის მოცულობა ( $N^p$ ) შეფარდებული საბრუნავ საშუალებებთან - ( $E$ ).

2) ერთი ბრუნვის საშუალო ხანგრძლივობა ანუ ბრუნვის სიჩქარე დღეებში - ( $L^o$ ), ამასთან პერიოდის ხანგრძლივობა დღეებში - ( $T$ ).

3) საბრუნავ საშუალებათა დამაგრების კოეფიციენტი - ( $K^o$ ).

საბრუნავ საშუალებათა ბრუნვადობის კოეფიციენტი მიიღება შემობრუნებულ საშუალებათა ჯამის გაყოფით ავანსირებულ საშუალებათა ჯამზე. ე.ი. რეალიზებული პროდუქციის ღირებულება (ამონაგები) იყოფა საბრუნავ საშუალებათა ნაშთზე იმავე პერიოდისათვის. ფორმულა იქნება  $K^p = N^p/E$ .

ბრუნვის სიჩქარე მიიღება რეალიზაციიდან ამონაგების გაყოფით საბრუნავ საშუალებების საშუალო ღირებულებაზე, ფორმულა იქნება:  $L^o = ET/N^p$  ან  $L^o = E/N^p/T$ .

დამაგრების კოეფიციენტი მიიღება ყველა საბრუნავი საშუალებების საშუალო ღირებულების შეფარდებით რეალიზაციის ამონაგებთან, ანუ რამდენი საბრუნავი საშუალებები მოდის რეალიზებული პროდუქციის ყოველ ერთ ლარზე:  $K^o = E/N^p$ .

## XI თავი

### თვითღირებულების ანალიზი

#### §1. ანალიზის ძირითადი ამოცანები და წყაროები

თვითღირებულება არის ფულად ფორმაში განზოგადებული პროდუქციის წარმოებასა და რეალიზაციაზე გაწეული დანახარჯების ჯამი (ასევე შესრულებულ სამუშაოებსა და მომსახურებაზე).

მატერიალური, შრომითი და ფულადი რესურსების რაციონალურად ხარჯვა, წარმოების რეზერვების გამოვლენა და გამოყენება უმუალოდ აისახება პროდუქციის თვითღირებულების შემცირებაში. ამდენად თვითღირებულების გეგმაზომიერი შემცირება ეკონომიკის გასვითარების უმნიშვნელოვანესი მიზეზობრივი ფაქტორია. აქედან გამომდინარე, თვითღირებულების ანალიზის მიზანია პროდუქციის წარმოებასა და რეალიზაციაზე დანახარჯების შემცირების შესაძლებლობათა გამოვლენა, მათი გამოყენების შედეგობი სრულყოფა და ამ გზით პროდუქციის წარმოების გადიდების ღონისძიებათა შემუშავება. მოკლედ, თვითღირებულების მიზანია მინიმალური დანახარჯებით მაქსიმალური რაოდენობის პროდუქციის შესაძლებლობათა გამოვლენა.

ანალიზის მიზნიდან გამომდინარე თვითღირებულების ანალიზის ამოცანაა:

- თვითღირებულების გეგმის საფუძვლიანობისა და დაძაბულობის შეფასება;

- ნორმატივების შესაბამისობა დანახარჯების მაჩვენებლებთან;

- გეგმურ და ფაქტიურ დანახარჯებში ცვალებადობის მიზეზების გამოვლენა და მასზე მოქმედი ფაქტორების გავლენის განსაზღვრა;


- ყველა და ცალკეული სახის პროდუქციის თვითღირებულების ანალიზი;

- საკალკულაციო ცალკეული მუხლების მიხედვით ხარჯების ეფექტურობის გამოვლენა-დადგენა;

- თვითღირებულების შემდგომი შემცირების რეზერვების გამოვლენა.

დანახარჯთა კლასიფიკაცია ეკონომიკური, ანუ დანახარჯების ელემენტების მიხედვით და მათი თვითღირებულებაში ჩართვის ანუ კალკულაციის მუხლების მიხედვით ხდება. ეკონომიკური ანალიზიც შესაბამისი მიმართულებით უნდა ჩატარდეს. თვითღირებულების ფაქტორების და მაჩვენებლების ფორმირებისა და ანალიზის სქემა შეიძლება აიგოს შემდეგი სახით:

თვითღირებულების ფაქტორების ფორმირებისა და ანალიზის სქემა  
დანახარჯების ძირითადი ელემენტები



თვითღირებულების ეკონომიკური ანალიზი შედარების მეთოდის გამოყენებით აფასებს თვითღირებულების ცვლილების განვითარებას, შედარება ხდება გეგმური მონაცემებისა ფაქტიურთან, დანახარჯებისა, ნორმატივებთან, საკალკულაციო გაანგარიშებებთან წინა წლის მაჩვენებლებთან, ანალოგიური პროდუქციის მწარმოებელ მოწინავე საწარმოთა მონაცემებთან, რაც იძლევა თვითღირებულების შემცირების რეზერვების გამოვლენის შესაძლებლობას.

ანალიზის დროს გამოიყენება ისეთი თვითღირებულების მახასიათებელი მაჩვენებელი, როგორც არის პროდუქციის I ლარზე დანახარჯების სიდიდე, რომელიც იძლევა ყველა სახის პროდუქციაში დანახარჯების ტევადობის შედარების შესაძლებლობას. მისი სრულყოფადობის თვალსაზრისით მიზანშეწონილია საწარმოში დამუშავდეს და სავალდებულო შესასრულებელი გახდეს სასაქონლო პროდუქციის I ლარზე დანახარჯების შემცირების გეგმა. ასევე გამოიყენება პროდუქციის I ლარზე შრომითი დანახარჯების მოცულობა: ასევე წმინდა პროდუქციის მოცულობა, ხოლო უპირატესად კი სასაქონლო პროდუქციის I ლარზე დანახარჯები და სხვა.

სახელმწიფო საწარმოებს ზემდგომი უწყებები უმტკიცებენ თვითღირებულების შემცირების დავალებას. ეს დავალება ძირითადად განისაზღვრება I ლარ პროდუქციაზე დანახარჯების ზღვრული მოცულობით. პრივატიზაციის შესაბამისად ასეთი დავალებები შემდგომში თვით საწარმოთა და მათ გაერთიანებათა ფუნქციად უნდა იქცეს და კონკურენციის შესაბამისად შიდა დაგეგმვის საქმე გახდეს. ანალიზის ამოცანა ამ მიზნით მიღებულ ვალდებულებათა შესრულების შეფასება და თვითღირებულების შემცირების შესაძლებლობათა გამოვლენისა და წარმოებაში ჩართვის საკითხებია.

წარმოებაში თვითღირებულების ანალიზი კეთდება მილიან პროდუქციაზე გაწვეული ხარჯების მიხედვით და ცალ-ცალკე შემდეგ მაჩვენებლებზე როგორც არის: 1. წარმოებაზე დანახარჯები; 2. სასაქონლო და რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება; 3. დანახარჯები სასაქონლო პროდუქციის ერთ ლარზე; 4. შესაღარი პროდუქციის თვითღირებულება; 5. ცალკეული ნაწარმის თვითღირებულება.

თვითღირებულების ანალიზისათვის გამოსაყენებელი ინფორმაცია, როგორც ყველა შემთხვევაში აღრიცხვა-ანგარიშებებისა და აღრიცხვის გარეშე მონაცემებია.

ანგარიშებები ითვალისწინებენ როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო ინტერესებს და მეწარმეთა მისწრაფებებს. მათი ჩამონათვალი და ჩანაწერები კომერციულ საიდუმლოებათა შესაბამისად ცვალებადია, მაგრამ გარკვეული ნაწილი აუცილებელ გამოქვეყნებას ექვემდებარება. ანალიტიკოსისათვის აუცილებელია თავად განსაზღვროს და მოიპოვოს ანალიზის ამოცანებიდან გამომდინარე საჭირო მასალები. დარგისა და დინამიკის ანალიზისათვის მიზანშეწონილია სტატისტიკური ანგარიშ-

გებების გამოყენება. ბულალტრული ანგარიშგება მთლიანად უზრუნველყოფს საწარმოს ანალიზის ჩატარების შესაძლებლობას, ხოლო უფრო სრულყოფილი მონაცემები მითუმეტეს თვითღირებულებისათვის ბულალტრული ანგარიშთა გეგმის მიხედვით გატარებებშია, ასევე რეგისტრებისა და პირველად დოკუმენტებში. აღრიცხვის სტანდარტების დანერგვის შესაბამისად მათი მონაცემები გახდება ანალიზის ერთ-ერთი უმთავრესი წყარო და ინვესტორთა თუსპონსორთა საჭირო ინფორმაცია.

## §2. წარმოებაზე დანახარჯების ანალიზი

საწარმოს დანახარჯები შეიძლება დაიყოს სამრეწველო და არასამრეწველო საქმიანობაზე დანახარჯებათ, ან დარგობრივ და სხვა დარგების დანახარჯებად. პირველს მიეკუთვნება პროდუქციის წარმოებასა და რეალიზაციასთან დაკავშირებული ხარჯები, ხოლო მეორეს ხარჯები, როგორც არის: საწარმოში სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებზე გაწეული ხარჯები, დამხმარე სოფლის მეურნეობაზე, ხაყოფაცხოვრებო მომსახურებაზე, კულტურულ დაწესებულებათა შენახვაზე, კადრების მომზადებაზე და სხვა.

წარმოების დანახარჯების ხარჯთაღრიცხვის შედგენის დროს მათ აჯგუფებენ ეკონომიკური შინაარსის, ანუ ხარჯთა ელემენტების მიხედვით, სადაც არ ხდება ხარჯთა დანიშნულებისა და ადგილის გამოყოფა და ხაკალკულაციო მუხლების მიხედვით.

წარმოებაზე დანახარჯების ელემენტების მიხედვით დაჯგუფება გამოიყენება შემოსავალ გასავლის დასადგენად, მატერიალური და შრომითი ბალანსების შესაბამისად, წმინდა პროდუქციის გამოსაკვლევად და საწარმოო მარაგის დასადგენად.

საკალკულაციო მუხლების მიხედვით დანახარჯების კლასიფიკაცია ემსახურება ცალკეული და მთლიანი პროდუქციის თვითღირებულების განსაზღვრასა და შეფასებას.

დანახარჯების ანალიზის ერთ-ერთი ძირითადი მანკვებელია ცალკეული დანახარჯის შეფარდებითი წილი მთლიან დანახარჯებში.

მაგალითად, 101,3 პროცენტით მთლიანი პროდუქციის გეგმის შესრულების პირობებში საჭიროა განისაზღვროს დანახარჯთა სტრუქტურის დონე და შედარდეს დანახარჯთა ნუსხას, რაც უკანასკნელი ამ შემთხვევაში გეგმურ ვალდებულებად გვევლინება. საჭირო იქნება შეიჩნეს წარმოებაზე დანახარჯების მონაცემები (ან საწარმო-ტექნიკური-საფინანსო გეგმიდან) აღებული იქნეს და გაკეთდეს შემდეგი ანალიზური ცხრილი:

ნახვისა და ექსპლუატაციის ხარჯები, საამქრო ხარჯები, საერთო საქარხნო ხარჯები და სხვა (მომსახურე პერსონალის ხარჯები).

თვითღირებულების შემცირების მნიშვნელოვანი მაჩვენებელია შრომატევადობის შემცირება ნაწარმის დამზადებაში. თვითღირებულების რეზერვების გამოვლენა შრომის ანაზღაურების მიხედვით საჭიროა დაუკავშიროთ შრომატევადობის, შრომის ნაყოფიერებისა და ხელფასის ფონდის ურთიერთდამოკიდებულებას.

შრომატევადობის შემცირების შემთხვევაში შრომის ნაყოფიერების ზრდა უსწრებს ხელფასის ზრდას და იძლევა ხელფასის ფონდში ეკონომიას. ამ მიზნით ანალიზისათვის ავიღოთ (შეგადგინოთ) შემდეგი ანალიზური ცხრილი:

ცხრილი №45

	გეგმით	ფაქტობრივად	შესრულების %
სასაქონლო პროდუქცია (ათას ლარებში)	52100	52200	100,2
საწარმოო პერსონალის ხელფასის ფონდი (ათას ლარებში)	8200	8300	101,2
მომუშავეთა საშუალო ხიობრივი რიცხვი	4250	4290	100,9
ერთ მომუშავეზე წლიური პროდუქციის გამოშვება (შრომის ნაყოფიერება - ლარი)	12253	12168	99,3
ერთ მომუშავეზე წლიური ხელფასი (ლარი)	1929,41	1934,47	100,3

ცხრილიდან გამოდინარე ხელფასის ხარჯვა უსწრებს პროდუქციის გამოშვებას და შრომის ნაყოფიერებას. მომუშავეთა რაოდენობის გაზრდასთან ერთად გადიდდა წლიური ხელფასის დანახარჯები. ე.ი. რაოდენობრივი ფაქტორების გამოყენება მაღალი ეფექტურობით არ ხასიათდება და შედეგის დადებითი მხარე ხარისხობრივი ფაქტორებით არის განპირობებული.

საწარმოს სასაქონლო პროდუქციის გამოშვების გეგმის შესრულების შესაბამისად უფლება ჰქონდა გაეცა დამატებითი ხელფასის ფონდის  $0,14\% = (0,2 * 0,7)$  თანხაში 11,5 ათასი ლარის ოდენობით  $(8200 * 0,14)$ , სულ 8211,5 ათასი ლარი  $(8200 + 11,5)$ . ფაქტობრივად კი გასცა 8300 ათასი ლარი და დაუშვა ხელფასის ფონდში შეფარდებითი გადახარჯვა 88,5 ათასი ლარი  $(8300 - 8211,5)$ .

საკალკულაციო მუხლების მიხედვით დიდი ხვედრითი წილი აქვთ აგრეთვე წარმოების მომსახურებასა და მართვის ხარჯებს, რომელიც ანალოგიურად გამოიანგარიშება, ხოლო მოწყობილობის ექსპლუატაციის, ასევე საამქრო და საერთო საქარხნო ხარჯები ჩაირთვება თვითღირებულებაში თვითღირებულებაზე განაწილების გზით.

## მოგებისა და რენტაბელობის ანალიზი

### §1. ანალიზის ძირითადი ამოცანები და წყაროები

სახალხო მეურნეობა ვითარდება (უნდა ვითარდებოდეს) შიდა რესურსების ხარჯზე, ე.ი. დაგროვების ხარჯზე. დაგროვების ძირითადი წყარო არის წარმოების პროცესში შექმნილი ზედმეტი პროდუქტი (ზედმეტი ღირებულება), შესაბამისად მოგება, რომელიც საბოლოო ჯამში საზოგადოების წმინდა შემოსავალია.

სამეურნეო საქმიანობის ეკონომიკური თვალსაზრისით განხილვა ნიშნაკს ფულადი სახსრების დაგეგმილ დაბანდებას იმ მიზნით, რომ დროის განსაზღვრულ პერიოდში შეიქმნას არსებითი, ეკონომიკურად მოგებაიანი სიდიდეები, პირველ რიგში ამ სახსრების ასანაზღაურებლად, შემდეგ კი მოგების მისაღებად. სახსრების ასეთი დაბანდების შედეგი მესაკუთრის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება იქნება თუ ეს არ მოხდება, მაშინ თვით სამეურნეო საქმიანობა აღმოჩნდება კითხვის ნიშნის ქვეშ

მოგება და რენტაბელობა წარმოების უმნიშვნელოვანესი მაჩვენებლებია. მოგება ზედმეტი პროდუქტის (ზედმეტი ღირებულების) გარდაქმნილი ფორმა და წმინდა შემოსავლის ერთ-ერთი ძირითადი წყაროა. ამასთან მოგება ეს არის ერთი მხრივ, საწარმოს სამეურნეო-საფინანსო ფონდების შექმნის ძირითადი წყაროა, ხოლო მეორე მხრივ-სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების წყარო. ჯანსაღი მეურნეობრივი საქმიანობით, თვითღირებულების შემცირებითა და ყირათით მიღებული მოგება არის წარმოების ეფექტურობის შედეგი. იგი წარმოებისა და მასთან დაკავშირებული მომარაგება-გასაღების ინტენსიფიკაციის განმაზოგადებელი მაჩვენებელია, ამდენად მოგების მაჩვენებლის ანალიზის მნიშვნელობა დიდია ეფექტურობის გამოვლენისა და მისი შემდგომი ამაღლების საქმეში. აქედან გამომდინარე, მოგების მაჩვენებლის ეკონომიკური ანალიზის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა მოგების სიდიდეზე მოქმედი ფაქტორების გავლენის განსაზღვრა და საწარმოო რესურსების გამოყენების ეფექტურობის ამაღლების შესაძლებლობათა გამოვლენის შედეგად მოგების გადიდება

**მოგების მაჩვენებლის ეკონომიკური ანალიზის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა მოგების სიდიდეზე მოქმედი ფაქტორების განსაზღვრა და საწარმოო რესურსების გამოყენების ეფექტურობის შესაძლებლობათა გამოვლენის გადიდება.**

საწარმოთა მოგება გამოიანგარიშება რეალიზებული პროდუქციის ამონაგებისა და ამავე პროდუქციის სრულ ტვითღირებულების (დანახარჯების) სხვაობით. მოგება გარდა რეალიზაციის შედეგებისა,

აგრეთვე მოიცავს სამეურნეო სუბიექტის სხვა სამეურნეო და საანგაჟირისწორებო შედეგებსაც.

საწარმოს მოგების საერთო თანხა იქმნება მისი პროდუქციის თითოეული სახისაგან მიღებული მოგებით. იგი, ამგვარად დამოკიდებულია ნაკეთობათა ფასის, მათი თვითღირებულებისა და პროდუქციის რაოდენობაზე.

მოგების გადიდებას დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან მისი ერთი ნაწილი სახელმწიფოს ბიუჯეტის შემოსავლის მთავარი წყაროა და ხმარდება სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესებს, მეორე ნაწილი საწარმოს განვითარებას და მესამე ნაწილი ამ საწარმოს მუშაკების, აქციონერების, მეწარმეების ინტერესებსა და კეთილდღეობას ემსახურება.

ანალიზისათვის აუცილებელი და უმნიშვნელოვანესი საკითხია მოგების სიდიდესთან ერთად წარმოებიდან გაწეული დანახარჯების მიხედვით მოგების სახით უკუგების დონეც. ე.ი. მოგებიანობა ანუ რენტაბელობა (რენტაბელობის დონე).

მოგების აბსოლუტური სიმდიდე ვერ იძლევა ეფექტურობის სრულ სურათს, ამიტომ წარმოების ეფექტიანობის დახასიათებისათვის ყველაზე სრულყოფილი მაჩვენებელი არის რენტაბელობა, რომელიც გამოიანგარიშება მოგების შეფარდებით ამ მოგების მიღებაზე გაწეულ დანახარჯების ჯამთან. ე.ი. **რენტაბელობა არის საშუალებათა გამოყენება, როდესაც სამეურნეო სუბიექტი წარმოებაზე გაწეული დანახარჯების დაფარვის შემდეგ იღებს წმინდა შემოსავალს.**

რენტაბელობა, როგორც წარმოების ეფექტიანობის მაჩვენებელი მიიღება ორი ელემენტის შეფარდებით - მოგების მასისა და იმ საშუალებათა სიდიდისა, რომელთა გამოყენებით არის მიღებული ეს მოგება. ასეთი შეფარდებით მიღებული მაჩვენებელი არის რენტაბელობის კოეფიციენტი, რომელსაც ჩვეულებრივ პროცენტობით ანგარიშობენ და წარმოადგენს რენტაბელობის დონეს.


ანალიზის დანიშნულებისა და მიზნის შესაბამისად რენტაბელობა შეიძლება გამოითვალოს წარმოებისა და პროდუქციის მიხედვით, ასევე ცალკეული საწარმოს, შესრულებული სამუშაოებისა და მომსახურების მიხედვითაც. გარდა ამისა, ცალკეული დანახარჯებისა და ავანსირებული საშუალებების მიხედვით, ასევე ქონებისა და კაპიტალის მიხედვით.

რენტაბელობის მაჩვენებელთა სისტემა შეიძლება სამ ჯგუფში გაერთიანდეს და შესაბამისად ანალიზიც სამ ჯგუფში წარიმართოს: 1. თვითღირებულების რენტაბელობის; 2. ავანსირებულ საშუალებათა (ან ქონების) რენტაბელობისა და 3. წმინდა პროდუქციის რენტაბელობის მაჩვენებელთა ჯგუფების მიხედვით.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და პრაქტიკაში გავრცელებულია თვითღირებულების მიხედვით (როგორც მთლიანად ყველა პროდუქციაზე, ასევე ცალკეული სახის ნაწარმზე) რენტაბელობის მაჩვენებელი.

# ნებლები და საწარმოო ფონდების გამოყენების მახასიათებელი რენტაბელობის მარკვენებლები.

მოგებისა და რენტაბელობის მარკვენებლებისა და ფაქტორების ფორმირების ანალიზის სქემა



შეიშვნა: მოგების სხვადასხვა დანიშნულებით და დამატებით განაწილების შესაბამისად შესაძლოა სქემის სრულყოფა (მოდერნიზაცია).

მოგებისა და რენტაბელობის ანალიზის ჩატარების ინფორმაციის ძირითადი წყაროა აღრიცხვა-ანგარიშგების მონაცემები, როგორც არის წლიური ანგარიშებიდან: ფორმა №1 - „ძირითადი საქმიანობის ბალანსი“, ასევე ბალანსის დანართები, ანგარიშგებები მოგება-ზარალის შესახებ და ფინანსურ მდგომარეობაზე და სხვა.

გარდა წლიური ანგარიშგების ფორმებისა გამოიყენება აგრეთვე ტექნიკური საწარმოო-საფინანსო გეგმის მონაცემები, კვარტალური, თვიური, ბუღალტრული და სტატისტიკური ანგარიშგების მონაცემები, მიმდინარე აღრიცხვისა და აღრიცხვის გარეშე მონაცემები.

მოგებისა და რენტაბელობის ფაქტორების ფორმირებისა და ანალიზის სქემა შეიძლება აიგოს შემდეგი სახით, რომელიც წარმოების თვითმმართველობის უფლებათა გადიდება-გაფართოების შესაბამისად იცვლება. ანალიზის სქემასთან დაკავშირებით საჭიროა გათვალისწინებული იქნას, რომ შემოსავლებისა და სტიმულირების სტრუქტურებიც ცვალებადია. (იხ. გვ. 191).

## §2. მოგების მოცულობის ანალიზი

სამეურნეო სუბიექტის საქმიანობის შედეგების შეფასების ძირითადი მაჩვენებელია მოგება, რომელსაც საწარმოები გეგმაში ითვალისწინებენ. პრივატიზაციისა და მეწარმეთა დამოუკიდებლობის ზრდასთან ერთად მისი როლი კიდევ უფრო ამაღლდება და გახდება წარმოების ძირითადი მასტიმულირებელი პოტენციალი.

საწარმოს მოგება შედგება: პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული მოგებისაგან; დამხმარე მეურნეობიდან თუ სხვა დანარჩენი რეალიზაციიდან მიღებული მოგებისაგან და რეალიზაციის გარეშე ანუ სხვადასხვა საანგარიშსწორებო, საფინანსო ურთიერთობათა შედეგად მიღებული მოგებისაგან (ასევე ზარალი).

მოგების მოცულობის ანალიზი უპირველეს ყოვლისა მოგების გეგმის შესრულების შეფასებით იწყება. წარმოებიდან მიღებული მოგების სიდიდე (თანხა) გამოიანგარიშება ღირებულებისა და თვითღირებულების სხვაობით. ანალიზისათვის შევადგინოთ ცხრილი:

ცხრილი №46

მაჩვენებელი	გეგმით	ფაქტობრივად	შესრულების %
სასაქონლო პროდუქცია ათას ლარობით	52100	52200	100,2
საწარმოო თვითღირებულება	37900	37810	99,8
მოგება	14200	14390	101,3

ცხრილის თანახმად მოგების გეგმა შესრულებულია 101,3 % (1439:14200\*100), რომელიც მიღებულია თვითღირებულების შემცირებისა და პროდუქციის გამოშვების გადაჭარბების (0,2%) შედეგად.

ქ.ი. პროდუქციის გამოშვებამ გადაამეტა ხარჯებს 0,4 პუნქტით (100,2-99,8). ამის დასტურად შეიძლება მოვიშველიოთ სასაქონლო პროდუქციის ერთ ლარზე დანახარჯების სიდიდე, რომელიც ცხრილის თანახმად იქნება: გეგმური 37900:52100=72,74 თეთრი, ფაქტობრივი 37810:52200=72,43 თეთრი. ე.ი. მოგება ყოველ ერთ ლარ პროდუქციაზე გეგმასთან შედარებით გაიზარდა 0,31 თეთრით (72,74-72,43).

რეალიზაციიდან მიღებული მოგება გამოიანგარიშება ამონაგებისა და თვითღირებულების სხვაობით. ამ მოგების მოცულობის ანალიზის ჩასატარებლად შეიძლება გამოვყოთ შემდეგი ფაქტორები: ფასების ცვლილება, რეალიზაციის მოცულობა, თვითღირებულება, პროდუქციის სტრუქტურა-ხარისხი.

ხსენებული ფაქტორების ცვლილების გავლენის დასადგენად რეალიზაციის ანგარიშების მონაცემების საფუძველზე შევადგინოთ ანალიზური ცხრილი

ცხრილი №47

	რეალიზებული სასაქონლო პროდუქცია (ათას ლარებით)		შესრულების %	
	გეგმით	ფაქტობრივად		
1	გეგმური თვითღირებულება	37670	37600	101,7
2	ფაქტობრივი თვითღირებულება	*	37891	
3	სხვაობა გეგმებსა და ფაქტობრივ თვითღირებულებას შორის ექონობა (-), გადახარჯვა (+)	*	-9	*
4	წარმოების გარეშე ხარჯები	2329	2230	95,7
5	სრული თვითღირებულება	40000	40130	100,3
6	მოგება	15300	15870	103,7
7	რეალიზაციიდან ამონაგები მომქედ ფასებში	55300	56000	101,3
8	რეალიზაციიდან ამონაგები გეგმით გათვალისწინებულ ფასებში	55300	55972	101,2

ცხრილის თანახმად **ფასების ცვლილების გავლენა** მოგების მასზე იქნება ფაქტობრივსა და გეგმურ საბითუმო ფასებს შორის სხვაობა 56000-55972=28000 ლარი. ე.ი. ფასების ცვლილების შედეგად საწარმომ მიიღო 28 ათასი ლარი დამატებითი მოგება.

**რეალიზაციის მოცულობის ცვლილების გავლენის** დასადგენად რეალიზაციის კოეფიციენტი უნდა გამრავლდეს გეგმურ მოგებაზე და მიღებულ შედეგს გამოაკლდეს გეგმური მოგება. ჩვენი ცხრილის თანახმად 55972:55300=1,012; 1,012\*15300=15483; 15483-15300=183000 ლარს. რეალიზაციის გეგმის შესრულებისა და სასაქონლო პროდუქციის გეგმის შესრულების ურთიერთშედარებით დგინდება, რომ სასაქონლო პროდუქციის გამოშვება არის 100,2%; პროდუქციის გამოშვების შედეგად მიღებულია ზეგეგმური მოგება 183\*0,2; 1,2=30,5 ათასი ლარი. რეალიზაციის გაზრდით გეგმური მოგება იქნება 183-30,5=152,5

ბი ნაჩვენებია მოგება და ზარალის ანალიტიკურ ანგარიშში. მასში შედის: გადასახდელი და მიღებული ჯარიმები, საურავი, საპირგამტეხლო და სხვა ეკონომიკური სანქციები; კუროსის სხვაობა სავალუტო ანგარიშზე და ოპერაციებში უცხოურ ვალუტაზე, სტიქიური უბედურებისაგან მიყენებული ზარალი; ვალების ჩამოწერის და დებიტორული დავალიანების დანაკარგები; ადრე ჩამოწერილი ვალების შემოსვლა; სხვადასხვა შემოსავალი, დანაკარგები და ხარჯები. აუცილებელია ასევე შემოსავლების და დივიდენდების დეტალიზაცია აქციების, ობლიგაციების, ფასიანი ქაღალდების მიხედვით, ასევე იმ შემოსავლების ანალიზისათვის, რომლებიც ერთობლივი ან სხვა საწარმოების საქმიანობაში მონაწილეობის შედეგად მიიღება. გამოვლინდება რა დეტალური ანალიზის შედეგების მიხედვით მიხეზები, რომლებიც გაკლენას ახდენს ზარალის ჩამოყალიბებაზე, აუცილებელია მიღებულ იქნას ზომები მისი თავიდან აცილებისათვის.

საბალანსო მოგება-ზარალის სტრუქტურა

ცხრილი №49

მაჩვენებლები	ათას ლარობით		პროცენტობით		
	წინა პერიოდი	საანგარიშგებო პერიოდი	წინა პერიოდთან	საანგარიშგებო პერიოდთან	გადახრა (+/-)
პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) რეალიზაციიდან მოგება (+) ზარალი (-)	320	391	101,6	92,4	-9,6
დანარჩენი რეალიზაციიდან მოგება (+), ზარალი (-)	-38	-26	-12,6	-6,1	6,0
მოგება (ზარალი) რეალიზაციის გარეშე საქმიანობიდან	33	58	10,5	13,7	3,2
მათ შორის:					
რეალიზაციის გარეშე მოგება	62	103	19,7	24,3	4,5
რეალიზაციის გარეშე ზარალი	-29	-45	-9,2	-10,6	-1,4
ჯამი	315	423	100	100	-

მოგების ძირითადი რაოდენობა საწარმომ პროდუქციის რეალიზაციიდან მიიღო (იხ. ცხრილი №49), თუმცა საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ადგილი ჰქონდა მოგების ნაშთის ზრდას, რომელიც მისი საერთო მოცულობის 10,5 %-დან 13,7 %-მდე მოღებულ იყო რეალიზაციის გარეშე ოპერაციიდან. ამასთან ერთად, ასეთი ხასიათის ოპერაციიდან მოგების ხვედრითმა წილმა საბალანსო მოგების 24,3 % შეადგინა და პროდუქციის რეალიზაციის მოგების საერთო რაოდენობის მეოთხედზე მეტი. ასეთმა მდგომარეობამ შეიძლება წარმოების საქმიანობის მოტივაციის შეცვლა გამოიწვიოს.

გარდა საბალანსო დონის შეფასებისა, ასევე საჭიროა (სასარგებლო) მოგების დინამიკის დადგენა, რადგანაც მოგების სიდიდე ფასების ცვლილებისა და მისი გამოანგარიშების მეთოდოლოგიის ცვლილების გამო ირღვევა. მათი შესადარისობა კი საჭიროებს შესაბამისი ფასებისა და მეთოდოლოგიის მიხედვით მათ გადაანგარიშებას.

სხვადასხვა პერიოდის მოგების შესადარ მაჩვენებლებში გადაანგარიშება შეიძლება საწარმოთა საანგარიშგებო მონაცემების მიხედვით, სადაც მოცემულია წინა წლის მოგება საანგარიშგებო პერიოდის ფასებისა და გამოანგარიშების მეთოდოლოგიის მიხედვით.

წლების მანძილზე მოგების ცვლილების განსაზღვრისათვის უპირველესყოვლისა მოგება უნდა გადაყვანილ იქნას შესადარ ფასებსა და განსაზღვრის ერთიან მეთოდოლოგიაზე, ამის შემდეგ განისაზღვროს მოგების ყოველწლიური ცვლილება წინა წელთან შედარებით, ხოლო ყოველწლიური ცვლილება შეუფარდეს წინა წლის მოგებას და ამ გზით დადგინდეს შესადარი მოგების ცვლილების დინამიკა, საბოლოო წლის მოგების შეფარდებით ზრდის ინდექსთან გვაძლევს საკვლევი წლის მოგებას. თქმულის საილუსტრაციოდ შეიძლება შედგეს შემდეგი ანალიზური ცხრილი:

ცხრილი № 50

წლები	მოგება წინა წლის (მლნ. ლარი)	მოგება შემდგომი წლის (მლნ. ლარი)	წინა წელთან შედარებით %-ით	საანგარიშგებო წლის ფასებსა და განგარიშების მეთოდოლოგიის მიხედვით (მლნ. ლარი)
I წელი	7,4	6,94		8,1
II წელი	8,6	8,96	134,3	8,1
III წელი	12,9	16,1	150,0	10,9
IV წელი	14,3	14,5	88,8	16,3
V წელი	15,9	15,9	109,9	15,9
ნამრავლი			196,1	

თანახმად ცხრილის მონაცემებისა და ჩვენი მომდევნო გაანგარიშებებისა, წინა წლის შესადარი მოგება იქნება:  $15,9:196,1=8,1$  მლნ. ლარი, მეორე -  $134,3*150*88,8*109,6=196,1$ ;  $15,9:196,1=8,1$  მლნ. ლარი, მესამე -  $150,0*88,8*88,8*109,6=145,9$ ;  $15,9:145,9=10,9$  მლნ. ლარი, მეოთხე  $88,8*109,6=97,3$ ;  $15,9:97,3=16,3$  ათასი ლარი.

ასეთი ხერხით შეიძლება სხვა ზოგიერთი ეკონომიკური მაჩვენებლების შესადარის მდგომარეობაში მოყვანა და გრაფიკული ცხრილის გაკეთება.

ACCA-ს მმართველობითი ინფორმაციის სახელმძღვანელო გვთავაზობს მოგების ანალიზის მოდელს:

„დანახარჯთა დინამიკა ასახავს დამოკიდებულებას პროდუქციის თვითღირებულებასა და ნაწარმის ერთეულთა რაოდენობას შორის, მაგალითი:

	ნაწარმი (იწარმოება)	
	500	1000
	ერთეული ერთეული	
	£	£
გაყიდვა (£ 3 ერთეული)	1500	3000
საერთო დანახარჯები	1000	1500
მოგება	500	1500
ერთეულის საშუალო თვითღირებულება	£ 2,00	£ 1,50
საშუალო მოგება ერთეულზე	£ 1,00	£ 1,50

მიუხედავად იმისა, რომ წარმოების რაოდენობა ორჯერ გაიზარდა, საერთო ხარჯები გაიზარდა მხოლოდ 50%-ით. მიზეზი კი გახლავთ ის, რომ ნაწილი დანახარჯებისა მოცულობის ზრდასთან ერთად არ იცვლება. დავუშვათ, კომპანია ეწევა ორი ელემენტის სახის ხარჯებს:

(ა) ფაბრიკის მთლიანი მოწყობილობის არენდა, £500 / წელიწადში. ამ შემთხვევაში ფაბრიკის არენდა არის მუდმივი (უცვლელი) ხარჯები, რომელიც უცვლელი რჩება ნაწარმის მოცულობის ცვალებადობის მიუხედავად. (ბ) მასალები. £1/ნაწარმი – ცვალებადი ხარჯები. მასალის დანახარჯები ყოველ ცალკეულ ნაკეთობაზე შეადგენს £1; შესაბამისად, მასალებზე საერთო ხარჯები იცვლება გამომშვებულ ნაკეთობათა რაოდენობის ცვლილების პროპორციულად.

თუ ორივე სახის დანახარჯები ნაჩვენებია ცალ-ცალკე, მაშინ მოგება-ზარალის მაჩვენებელი გამოითვლება შემდეგი სახით:

	ნაწარმი დეზალი		
	1ც.	500ც.	1000ც.
	£	£	£
გაყიდვა	3	1500	3000
ცვალებადი ხარჯები-მასალები	1	500	1000
მარჟინალური მოგება	2	1000	2000
მუდმივი ხარჯები-არენდა	500	500	500
მოგება (ზარალი)	(498)	500	1500

**მარჟინალური მოგება** უდრის გასაყიდ ფასს გამოკლებული ცვალებადი თვითღირებულება.

აქედან: გაყიდვას – ცვალებადი თვითღირებულება = მარჟინალურ მოგებას  
 მარჟინალურ მოგებას – მუდმივი ხარჯები = წმინდა მოგებას

დანახარჯების, წარმოების მოცულობის და მოგების ურთიერთ დამოკიდებულების ანალიზის მაგალითი (მესამე წელი):

გაყიდული ერთეულების რიცხვი	პროდუქტი A 100	პროდუქტი B 40	პროდუქტი C 60	ჯამი 200
	£	£	£	£
გაყიდულის ღირებულება	400	240	300	940
(კალებადი ხარჯები	220	130	170	520
მარკინალური მოგება	180	110	130	420
მუდისი(უცვლელი) ხარჯები	-	-	-	350
მოგება				70
შეფარდება %				
მარკინალური მოგება				
გაყიდულის ღირებულება x100	45%	46%	43%	44.5%

გაყიდვის ღირებულების წონასწორობის მოცულობა  $£350 / 44.5\% = £786.50$   
 ამგვარად, მოგების მისაღებად ფირმამ უნდა გაყიდოს სამივე სახის  $£790$   
 ღირებულების პროდუქტი.

### §3. რენტაბელობის ანალიზი

ვინაიდან მოგების აბსოლუტური სიდიდე სრულად ვერ ასახავს მუშაობის ეფექტურობას, ამიტომ მოგების ანალიზი შეივსება რენტაბელობის (ანუ მოგებიანობის, შემოსავლიანობის მაჩვენებლების) სისტემის ანალიზით, რომლებიც შედარებით მაჩვენებლებს წარმოადგენენ.

რენტაბელობის კოეფიციენტის აგება და მასზე მოქმედი ფაქტორების გავლენის განსაზღვრა, რთულ ეკონომიკურ საკითხთა პრობლემაა. რენტაბელობის სირთულემ და მრავალმხრივობამ განაპირობა ბეცნიერებათა შროის აზრთა სხვადასხვაობა რენტაბელობის მაჩვენებელთა შესახებ.

პოლიტიკური ეკონომიის სახელმძღვანელოთა შესაბამისად რენტაბელობის კოეფიციენტი  $m/(c+v)$  ფორმულიდან გამომდინარეობს.

ვინაიდან ეკონომიკური ანალიზი მრავალმხრივია თავისი დანიშნულებით და ამავე დროს რენტაბელობა დამოკიდებულია სხვადასხვა მაჩვენებლებზე, ხოლო სხვადასხვა მაჩვენებელთა ეფექტიანობის დახასიათებისათვის გარდა განზოგადებული მახასიათებლისა, საჭიროა მათი ცალკეულად რენტაბელობის დონის დადგენა და ეფექტურობის დახასიათება, ამისათვის მიზანშეწონილია აიგოს რენტაბელობის მაჩვენებელთა სისტემა.)

ACCA - Управленческая Информация თბილისი, 1999 გვ.461, გვ.464 და გვ.478.

ავანსირებულ საშუალებათა მოცულობის, წარმოების საშუალებათა გამოყენებისა და თვითღირებულებაზე მოქმედი დანახარჯების მიხედვით ვიღებთ რენტაბელობის გამოანგარიშების არაერთ, არამედ რამდენიმე კოეფიციენტთა სისტემას, რომლებიც შეიძლება სხვადასხვა ჯგუფში გავაერთიანოთ.

ერთ ჯგუფში შეიძლება ვიგულისხმოთ რენტაბელობის ისეთი მაჩვენებლები, რომლებიც გამომდინარეობენ პროდუქციის თვითღირებულებიდან, როგორც არის მოგების შეფარდება ღირებულებასთან ან თვითღირებულებასთან. ე.ი. ეს იქნება დანახარჯების მოგებით უკუგება. რენტაბელობის განსაზღვრის ასეთი მეთოდი ფრიად გავრცობილია პრაქტიკაში და დიდად მნიშვნელოვანია ეკონომიკურ ანალიზში. განსაკუთრებით ცალკეული სახის რეალიზებული პროდუქციისა და მთელი სამეურნეო საქმიანობის რენტაბელობის დონის განსაზღვრის დროს.

მეორე ჯგუფის რენტაბელობის მაჩვენებლებს შეიძლება მიეკუთვნოს საწარმოო ფონდების მიხედვით უკუგება. ე.ი. მაჩვენებელი მიიღება მოგების მასის შეფარდებით ძირითად საწარმოო და საბრუნავ საშუალებებთან (კაპიტალთან), ანალიზის დანიშნულების შესაბამისად ან ქონებასთან.

მესამე ჯგუფში შეიძლება გავაერთიანოთ წმინდა მოგებასა და წმინდა პროდუქციასთან დაკავშირებული რენტაბელობა და ა.შ.

ხსენებული რენტაბელობის მაჩვენებლების მიხედვით შეიძლება გაკეთდეს შემდეგი ანალიზური ცხრილი:

№	მაჩვენებლები (შინაარსი)	აღნიშვნები	წინა წელს	ცხრილი №51 საანგარიშებო წელს	
				განმით	უაქტიურად
	ა. აბსოლუტური სიდიდეები (ათას. ლარებში)				
1	რეალიზებული პროდუქცია	N <sup>p</sup>	54800	55300	56000
2	რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	S	40230	40000	40130
3	მოგება რეალიზაციიდან	P <sup>N</sup>	14550	15300	15870
4	საბალანსო მოგება	p <sup>o</sup>	14650	15300	15900
5	წარმოებაზე დანახარჯები	C	39700	39900	40120
6	წმინდა პროდუქცია	Z	20700	21200	21300
7	ძირითადი საწარმოო ფონდები	F	24400	26600	26830
8	საბრუნავი საწარმოო ფონდები	m	14190	13960	14230
9	სულ საწარმოო ფონდები (ძირითადი საბრუნავი კაპიტალი)	F+m	38590	40560	41060
10	საწარმოს ქონება (ბალანსი)	q	75858	X	87664
	ბ. შეფარდებითი მაჩვენებლები (პროცენტობით)				

11	პროდუქციის მიხედვით რენტაბელობა (სტრ.3:სტრ.2*100)	$\frac{P^N}{S}$	36,16	38,25	39,54
12	კითხვარებულების მიხედვით რენტაბელობა (სტრ.4:სტრ.2*100)	$\frac{P^C}{S}$	36,40	38,25	39,62
13	დანახარჯების მიხედვით რენტაბელობა (სტრ.4:სტრ.5*100)	$\frac{P^C}{S}$	36,90	38,25	39,63
14	ერთ ლარ პროდუქციაზე რენტაბელობა (სტრ.3:სტრ.1*100)	$\frac{P^N}{N^P}$	26,55	27,67	28,33
15	წმინდა პროდუქციის მიხედვით რენტაბელობა (სტრ.4:სტრ.6*100)	$\frac{P^C}{Z}$	70,29	72,17	74,24
16	საერთო რენტაბელობა (ფონდების ან კაპიტალის მიხედვით) (სტრ.4:სტრ.9*100)	$\frac{P^C}{F+m}$	37,96	37,72	38,72
17	ძირითადი საწარმოო ფონდების მიხედვით (სტრ.4:სტრ.7*100)	$\frac{P^C}{F}$	60,04	57,52	59,26
18	იგივე საბრუნაო საშუალებების მიხედვით (სტრ.4:სტრ.8*100)	$\frac{P^C}{m}$	10,32	10,96	11,17
19	ქონების მიხედვით რენტაბელობა (სტრ.4:სტრ.10*100)	$\frac{P^C}{q}$	19,31	X	18,14

საბაზრო ეკონომიკაში რენტაბელობის თითოეულ შედარებით მაჩვენებელს აქვს პერსონიფიცირებული ინტერესი, თუ რა ფაქტობრივ დონეს მიაღწია მან. წარმოების ხელშეწყვანელობა, აქციონერების, კრედიტორების, საკადასტრო სამსახურის თანამშრომლების, საფონდო ბირჟების და სხვა საქმიანობამ განაპირობა საერთაშორისო პრაქტიკაში სხვადასხვა კარიანტის რენტაბელობის მაჩვენებლების გამოანგარიშების სქემის შემუშავება და გამოიყენება იმ მიზნით, რომ მოხდეს საწარმოს „ფინანსური ჯანმრთელობის“ შეფასება.

შესაბამისად შეიძლება გამოიყოს აგრეთვე რენტაბელობის მაჩვენებლის სამი ვარიანტი: პროდუქციის რენტაბელობა, საწარმოო ფონდების რენტაბელობა, წარმოებაში დაბანდების რენტაბელობა.

რეალიზებული პროდუქციის რენტაბელობის მაჩვენებელი ტოლია რეალიზაციიდან მიღებული მოგების შეფარდება რეალიზაციიდან ამონაგებთან. ფინანსური შედეგების მონაცემების მიხედვით ერთერთი რეალიზებული პროდუქციის რენტაბელობა ტოლია  $391:(4956-165-1237)*100=11\%$ . ამ მაჩვენებლის ცვლილებაზე გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გავლენას ახდენს რეალიზებული პროდუქციის სტრუქტურისა და სხვადასხვა სახის პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) ინდივიდუალური რენტაბელობა.

პროდუქციის ცალკეული სახეობის რენტაბელობა დამოკიდებულია გასაყიდ ფასებზე და მოცემული სახეობის პროდუქციის თვით-

ღირებულებაზე, რომელიც შეიძლება შემდეგი ფორმულით იქნეს წარმოდგენილი:  $R=P/N$ . ვივარაუდოთ, რომ ხარჯები კონკრეტული ნაწარმის თითოეული ერთეულის დამზადებაზე და მისი ფასი ხასიათდება შემდეგი მონაცემებით:

ცხრილი №52

№	მაჩვენებლები	წინა პერიოდის განმავლობაში	ხაზგარიშო პერიოდის განმავლობაში	გადაზრდა
1	პროდუქციის ცალკეული ერთეულის გასაყიდი ფასი, ლარი	45	50	+5
2	პროდუქციის ცალკეული ერთეულის სრული თვითღირებულება, ლარი	34	35	+1
3	მოგება ფასების მიხედვით, ლარი (სტრ.2-სტრ.1)	11	15	+4,0
4	პროდუქციის რენტაბელობა თვითღირებულების მიხედვით	32,3	42,8	10,5
5	პროდუქციის რენტაბელობა	24,4	30,0	+5,6

როგორც ჩანს, მოცემული პროდუქციის რენტაბელობა წინა საანგარიშო პერიოდთან შედარებით გაიზარდა 5,6 პროცენტული პუნქტით. ამ გადაზრდაზე გავლენა მოახდინა როგორც გასაყიდი ფასების ზრდამ, ასევე თვითღირებულების მატებამ. გამოვიყენებთ რა ჯაჭვური შენაცვლების (ჩასმის) მეთოდს. მოყვანილი ფორმულის მიხედვით განვსაზღვრავთ ცვლილებაზე თითოეული ამ ფაქტორის გავლენას. ფაქტობრივი ფასების და საბაზისო თვითღირებულების დროს რენტაბელობამ შეადგინა  $(50-34):50*100=32\%$ . მაშასადამე, ფასების ცვლამ რენტაბელობა გაზარდა  $32,0-24,4=7,6$  პროცენტული პუნქტით. ხოლო თვითღირებულების ზრდამ შეამცირა ის  $30,0-32,0=-2,0$  პუნქტით. თუ ასეთ ანალიზს გავაკეთებთ რამდენიმე წლის მონაცემების მიხედვით, მაშინ ეს საშუალებას მოგვცემს გამოვავლინოთ შესაბამისი ფაქტორების გავლენის დინამიკა.

პრაქტიკაში გავრცელებულია ცალკეული პროდუქციის თვითღირებულების მიხედვით რენტაბელობის მაჩვენებლის გამოყენება, რომელიც ანალოგიურად გაკეთდება: (სტრ.3:სტრ.2\*100).  $R=P/N$ .

საწარმოო ფონდების რენტაბელობა განისაზღვრება როგორც საბალანსო მოგების შეფარდება ძირითადი ფონდების და მატერიალური საბრუნავი საშუალებების საშუალო ღირებულებასთან:  $R=P/(F+m)$ . ეს მაჩვენებელი უმჯობესია შეფასდეს წმინდა მოგების მიხედვით (საბალანსო მოგება გადასახადების გამორიცხვით იგივე გაანგარიშებით).

ამოსავალი მონაცემები (საწარმოო ფონდები) საერთო რენტაბელობის დონეზე მომქმედ ფაქტორთა გავლენის განსაზღვრისათვის ავიღოთ ზემოთ მოტანილი ცხრილი №51-დან მაჩვენებლები. ამასთან

ფორმულის მრიცხველი და მნიშვნელი პროფესორ ა. შერემეტის მიერ შემოთავაზებულ ფაქტორთა ცვლილების გავლენის განსაზღვრის მეთოდიკისა გაგამრავლოთ რეალიზაციის მოცულობაზე. ფორმულა მიიღებს შემდეგ სახეს:

$$R = \frac{P}{F+m} = \frac{P \cdot N}{(F+m) \cdot N} = \frac{P}{N} \cdot \frac{N}{F+m}$$

გავყოფთ რა (მრიცხველს და მნიშვნელს) მიღებული გამოსახულების მარჯვენა ნაწილიდან რეალიზაციის მოცულობაზე, მივიღებთ:

$$\frac{P}{N} \cdot \frac{N}{F+m} = \frac{P}{N} \cdot \frac{1}{\frac{F}{N} + \frac{m}{N}} = \frac{P}{N} \cdot \frac{1}{\frac{1}{\frac{N}{F}} + \frac{1}{\frac{N}{m}}} = \frac{P}{N} \cdot \left( \frac{1}{\frac{N}{F}} + \frac{1}{\frac{N}{m}} \right), \text{ სადაც:}$$

$N/F$ -არის ფონდუკუგების კოეფიციენტი ( $\lambda^F$ );

$N^F/E^H$  - მატერიალური საბრუნავი საშუალებების ბრუნვის ( $K^m$ ) რიცხვი; ამრიგად, საერთო რენტაბელობის ფორმულა საბოლოო სახით შეიძლება წარმოდგენილ იქნეს შემდეგი სახით:

$$R = \frac{P}{F+m} = \frac{P}{N} \cdot \left( \frac{1}{\lambda^F} + \frac{1}{K^m} \right)$$

სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, საერთო რენტაბელობის კოეფიციენტის ცვლილებაზე გავლენას ახდენს შემდეგი მაჩვენებლები:

- მოგების მოცულობა რეალიზებული პროდუქციის 1 ლარზე;
- სამრეწველო-საწარმოო ფონდების ფონდუკუგება;
- საბრუნავი საშუალებების ბრუნვის (ბრუნვადობის) რიცხვი.

მოცემული ფორმულა თავისი ეკონომიკური შინაარსის მიხედვით უფრო ტევადია, რამდენადაც საშუალებას იძლევა ანალიზი გაუკეთდეს რენტაბელობის მაჩვენებლების ცვლილებას რეზერვების მობილიზაციის სახით.

მოცემული ფორმულის და ამოსავალი მონაცემების გამოყენებით, აღნიშნულ ფორმულაში ჩავსვათ №51 ცხრილის მონაცემები ფაქტორთა გავლენის დასადგენად. გეგმური საერთო რენტაბელობა იქნება:

$$\frac{15300}{40560} = \frac{15300}{55300} \cdot \frac{1}{\frac{1}{55300 : 26600} + \frac{1}{55300 : 13960}} = 0,2767 \cdot 2,3635 = 0,3772$$

ანუ 37,72%;

<sup>1</sup> ა. დ. შერემეტი, რ. ს. რაიფულინი „სამეურნეო საქმიანობის კომპლექსური ანალიზის მეთოდიკა“, მოსკოვი, 1980, გვ. 175 (რუსულ ენაზე)

გავლენა იქნება 0,0042 ანუ 0,42 პუნქტი; არასარეალიზაციო (რეალიზაციის გარეშე) საქმიანობიდან 0,0008 ანუ 0,08 პუნქტი; ხელფასის 0,0015 ანუ 0,15 პუნქტი; მოწყობილობის შენახვისა და ექსპლოატაციის (-0,0015) ანუ შემცირდა 0,16 პუნქტით; ზედნადები არასაწარმოო ხარჯების 0,0002 ანუ აიწია 0,02 პუნქტით და ბოლოს, არამწარმოებლური ხარჯების დაშვებამ (-0,0009) ანუ დაბლა დაწია (შემცირა) 0,09 პუნქტით. ყველა ფაქტორის გავლენა

$$\Delta r = 1,37 = 1,0 + 0,42 + 0,08 + 0,15 + (-0,05) + (-0,16) + 0,02 + (-0,09).$$

## ფინანსური მდგომარეობის ანალიზი

## §1. ანალიზის ძირითადი ამოცანები და წყაროები

ეკონომიკური ურთიერთობათა ერთობლიობა, რომელთა საშუალებით წარმოიქმნება ფულადი სახსრების ფონდები და ამ ურთიერთობათა გამოყენებით ხორციელდება ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის განაწილება (გაფართოებული კვლავწარმოებისა და სხვა საზოგადოებრივ თუ კერძო მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად) არის ფინანსები, ფინანსების მოკლე განმარტებიდან გამომდინარე, ფინანსების ეკონომიკური ანალიზის ობიექტია ღირებულების წარმოების პროცესში წარმოქმნილი ფულად ურთიერთობათა სისტემა, ე.ი. ფულადი სახსრების შექმნის, განაწილებისა და მოხმარების საკითხები. კონკრეტულ წარმოებაში ანალიზმა უნდა მოიცვას საწარმოო-სამეურნეო-საფინანსო საქმიანობისათვის ყველა სახის ფონდების შექმნისა და გამოყენების საკითხები.

**ფინანსური მდგომარეობის ეკონომიკური ანალიზის მთავარი ამოცანაა:** წარმოების ფინანსური რესურსების გამოყენების ობიექტური შეფასება. ფინანსური მდგომარეობის გააღვირავისათვის მიღასაწესურ-ნაო რესურსების გამოქვანა, სამეურნეო ანბარის განმტკიცება, ხელშეკრულობათა უმჯობესობა, საფინანსო, საარაღიბო და სხვა ორგანიზებთან საფინანსო ურთიერთობათა სრულყოფის ღონისძიების შემუშავება და სხვა.

ფინანსური მდგომარეობის მახასიათებელი ძირითადი მაჩვენებელია: საწარმოს საფინანსო გეგმის შესრულება; ქონების სტრუქტურა, მათი წარმოებაში მოთავსება და შესაბამისი დაფარვის წყაროები; ძირითადი და საბრუნავი ფონდების მოცულობა და გამოყენება. საკუთარი საბრუნავი საშუალებებით უზრუნველყოფა, საბრუნავი საშუალებების ბრუნვალობა, მათი მარაგის ურთიერთშესაბამისობა, დებიტორული და კრედიტორული დავალიანება, კრედიტის სწორი და მიზნობრივი გამოყენება, სპეციალური ფონდების ფორმირება და გამოყენება, გადაამხდელუნარიანობა და ანგარიშსწორებათა მდგომარეობა.

საფინანსო გეგმის შესრულების ანალიზი ძირითადად ტექნიკურ საწარმოო-საფინანსო გეგმის, შემოსავალ-გასავლის ბალანსისა და სხვა მაჩვენებლების შესაბამისად კეთდება, ხოლო ფინანსური მდგომარეობისა-საწარმოს ძირითადი საქმიანობის ბალანსისა და სხვა ანგარიშგების მიხედვით.

საკუთარი საბრუნავი საშუალებების ფორმირებას დიდი მნიშვნელობა აქვს ნედლეულის, მასალების, ნაყიდი ნახევარფაბრიკატების, დამხმარე მასალების, სათბობის, სხვადასხვა სახის ენერჯის, ტარის, მცირეფასიანი და სწრაფცვეთი საგნების, სათადარიგო ნაწილების, დაუმთავრებელი წარმოების, მზა პროდუქციის გარდამავალი მარაგის შესაქმნელად და მომავალი პერიოდის ხარჯებისათვის. ამას აქვე უნდა

დაეუკავშიროთ ამორტიზაციის ფონდის შექმნისა და გამოყენების ანალიზის საკითხები.

საკუთარი საბრუნავი საშუალებების ანალიზი გამოავლენს მისი საჭიროების ზღვარს, დინამიკას, საწარმოს უზრუნველყოფას ამ საშუალებებით და მათი რაციონალურად გამოყენების შესაძლებლობებს, ასევე დამოუკიდებლობა-სუვერენიტეტს.

ფინანსური მდგომარეობის ანალიზის ერთ-ერთი მთავარი საკითხია ბანკის კრედიტების დროული მიღება და მათი სწორად ხარჯვა, რომელსაც საკუთარი წყაროებთან ერთად დიდი ხვედრითი წილი უკავია საკუთარი საშუალებების ფორმირებაში ანალიზმა უნდა დაადგინოს, რამდენად სრულად არის მობილიზებული ბანკის კრედიტები, რამდენად უზრუნველყოფილია მოზიდული სახსრები შესაბამისი სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობით და გამოავლინოს მათი გამოყენების გაუმჯობესების შესაძლებლობები, შესაბამისად ლიკვიდურობა.

საწარმოს გადახდისუნარიანობის დადგენა და ფაქტორთა გავლენის გამოვლენა ფინანსური მდგომარეობის ანალიზის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია.

თუ საწარმოს არა აქვს საკმარისი შესაძლებლობები გადახდისათვის, წარმოიშობა ფინანსური სიძნელებები, ანალიზმა უნდა გამოავლინოს ასეთი მდგომარეობის მიზეზები და გამოსწორების შესაძლებლობები. ასევე გასათვალისწინებელია ის მდგომარეობა, რომ ფინანსური სიძნელებების მიზეზი ხშირად არის ფინანსურ ურთიერთობაში მყოფი სხვა საწარმოების დაბალი გადახდელუნარიანობა. ასეთი თუ სხვა სიძნელებების აღმოფხვრისა და ნორმალური ფინანსური მდგომარეობის შექმნის ღონისძიებათა შემუშავება ანალიზის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია.


ფინანსური რესურსების გამოყენებისა და ფინანსური მდგომარეობის ანალიზის წყაროა (მასალა) ძირითადად: შემოსავალ-გასავლის ბალანსი, საწარმოს ძირითადი საქმიანობის ბალანსი ფორმა №1. ბალანსის დანართები, საწესდებო სააქციო, საპაიო თუ სხვა სახსრებზე ცნობები (ანგარიშები); სპეციალური ფონდების მოძრაობაზე ანგარიშები; ძირითადი ფონდების მათი ამორტიზაციის, საბრუნავი საშუალებების ბრუნვადობის ანგარიშები და სხვა ანგარიშგებები და აღრიცხვის გარეშე მონაცემები.

ფინანსური მდგომარეობის ანალიზი შეიძლება ჩატარდეს შემდეგი სქემით: (ფინანსურ მაჩვენებელთა ფორმირებისა და ანალიზის სქემა იხ. შემდეგ გვერდზე).

უცხოურ ბაზარზე გასვლა, უცხოელ პარტნიორებთან საქმიანი კონტრაქტების დამყარება, ერთობლივ საწარმოთა შექმნა გარდაუვლად ზრდის არაუფექტური კონტრაქტების დადების შესაძლებლობას. გარიგების დროს რისკის გაზრდის ერთ-ერთ მიზეზად ითვლება ის, რომ შიგნით და საზღვარგარეთ არსებობს სხვაობა საბუღალტრო (ფინანსური) ანგარიშების შინაარსსა და მათი შეფასების მეთოდებს შორის. ამავ

მიზეზით უცხოელ პარტნიორებს სვდებათ სიძნელეები ინფორმაციის აღქმაში, რომელიც არსებობს ჩვენთან მოქმედ საბუღალტრო და სტატისტიკურ ანგარიშგებაში.

ფინანსურ მარეგულირებად ფორმირებისა და ანალიზის სქემა



ანგარიშგება, რომელიც ჩამოყალიბდა უწინდელი მმართველობის პირობებში და მრავალი წლის მანძილზე მოქმედებდა მნიშვნელოვანი ცვლილებების გარეშე, პირველ რიგში გათვალისწინებული იყო იმისათ-

ვის, რომ ინფორმაციით უზრუნველყო ცენტრალური გეგმავი და მაკონტროლებელი ორგანოები. ამ საკითხისადმი ასეთი მიდგომისას ბუნებრივი იყო რომ საბუღალტრო და სტატისტიკური ანგარიშგება არსებითად გაერთიანდა ერთ გეგმებად „საწარმოს სახელმწიფო ანგარიშგება.“ რომელიც უნდა წარდგენილიყო მხოლოდ შეზღუდულ წრეში (მმართველობის ზემდგომ რეოლს, საფინანსო და საბანკო დაწესებულებებს და სტატისტიკურ ორგანოს).

საწარმოს მუშაობის შესახებ საანგარიშო მონაცემების პრესაში გამოქვეყნებაზე გადასვლა წამოჭრის კომერციული საიდუმლოების კანონით დაცვის პრობლემას, საბაზრო ურთიერთობათა და კონკურენციის პირობებში მას საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს და საჭიროებს კანონით დაცვას. ამიტომ ახალი საბუღალტრო ანგარიშგების განმასხვავებელი თავისებურება უნდა იყოს მისი მიმართულება მესაკუთრის ინტერესების მაქსიმალური დაცვისაკენ (მათ შორის სახელმწიფოსი). თუ გავითვალისწინებთ, რომ მრავალი საქონლის წარმოებაში მონოპოლიზმის არსებობის დროს ქვეყნის შიგნით საწარმოებს შორის ნამდვილი კონკურენცია ჯერ კიდევ შორსაა, მაშინ ლაპარაკია უცხოელ კონკურენტებზე, რომლებიც გამოდიან საგარეო გასაღების ბაზარზე. ამ შემთხვევაში პრესაში გამოქვეყნებას უნდა ექვემდებარებოდეს მხოლოდ ის მონაცემები, რომელთა გამოქვეყნებაც ზიანს (ზარალს) არ მოუტანს საწარმოს და რომელთა ნუსხაც უნდა იყოს მკაცრად რეგლამენტირებული.

ეკონომიკაში ახალი ურთიერთობების ფორმირებას თან ახლავს მმართველობის სისტემის შეცვლა, არსებითი სამეურნეო კავშირების გაწყვეტა, წარმოების მოცულობის შემცირება და ამის შედეგად ინფლაციის მკვეთრი ზრდა (კიპერინფლაცია). ინფლაციური პროცესი, რომელსაც მივეყვართ მზა პროდუქციაზე, აგრეთვე ამოსავალ სახსრებზე ფასების ზრდისაკენ ან დაცემისაკენ, საწარმოს საშუალებას არ აძლევს განახორციელოს დანახარჯის უფრო სრული ანახლადურება (ამოგება), ამახინჯებს მათ ფინანსურ შედეგებს და ფინანსურ მდგომარეობას. ამიტომ გარდამავალ ეტაპზე საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე ინფლაციის გავლენა არის სამეურნეო საქმიანობის ანალიზისა და აღრიცხვის ერთ-ერთი კარდინალური საკითხთაგანი.

## §2. საფინანსო გეგმის შესრულების და ბალანსის დახასიათება-სტრუქტურის ანალიზი

საწარმოს საფინანსო გეგმა ითვალისწინებს ყველა შემოსავლებს, გასაკლებს (ხარჯებს) და საგადასახალო ბრუნვას, როგორც ძირითადი საქმიანობის, ასევე კაპიტალური მშენებლობის, რემონტისა და საწარმოს მიერ განხორციელებულ სხვა საქმიანობის მიხედვით. ამასთან, აქვე გაითვალისწინება ეკონომიკური სტიმულირებისა და სხვა

საქველმოქმედო თუ სპეცსახსრების შექმნისა და გამოყენების ღონისძიებები.

საფინანსო გეგმის პროგრამის შესრულების ანალიზის ძირითადი ამოცანაა შემოსავლებისა და გასვლების მიხედვით გეგმის შესრულების შემოწმება, ეკონომიის რეჟიმი და საფინანსო დისციპლინის დაცვა, შიდა რეზერვების გამოვლენა, მათი სრული და მთლიანი გამოყენების თვალსაზრისით.

საფინანსო გეგმა მიზანშეწონილია შედგეს შემოსავალ-გასავლის ბალანსის სახით. ანალიზის სათავეს მას თუ დავეუმატებთ ფაქტობრივ შესრულებას შესაბამის მუხლების მიხედვით, მივიღებთ შემოსავალ-გასავლის საშემსრულებლო (საანგარიშგებო) ბალანსს, რომელშიც მოცემული იქნება თითოეული მუხლის მიხედვით დანაწილებული როგორც გეგმური, ისე ფაქტიური მონაცემები შემოსავლების, გასვლებისა (ხარჯების) და გადასახდელ-შესატანების მონაცემები.

შემოსავალ-გასავლის საანალიზო პირობითი ბალანსი ოთხ ჯგუფად შეიძლება დაიფოს. I-ში აისახება შემოსავლები და შემოსულობანი, II-ში გასავლი (ხარჯები) და ანარიცხები, III-ში ბიუჯეტში გადასახდელები და შენატანები, ხოლო IV-ში ბიუჯეტიდან ასიგნებანი (ან სხვა დამფინანსებლები - ინვესტორები). ბალანსის მუხლები ურთიერთდამოკიდებულნი არიან და განაპირობებენ ერთი მეორის შეცვლას.

კერძო საწარმოების კოოპერაციული წარმოებების თავისებურებებიდან გამომდინარე ანალიზის საკითხს დაემატა კერძო საკუთრების თავისებურებათა, კერძოდ აქციების მოცულობა, დივიდენდების გაცემა, საპაიები და სხვა.

საფინანსო გეგმის შესრულების ანალიზი შეიძლება ჩატარდეს მარტივად. ერთ მხარეს დაჯგუფდეს შემოსავლები და მეორეს გასავლები და თუ მათ დაემატება ფაქტობრივი მდგომარეობა, შეიქმნება გეგმის შესრულების სურათი.

საკუთრების ფორმებისა და დარგობრივი თავისებურებებისაგან დამოუკიდებლად ბაზრის სტრუქტურაში საწარმოები მოქმედებენ როგორც დამოუკიდებელი საქონელმწარმოებლები. მათი მუშაობით დაინტერესებულია მრავალრიცხოვანი ფიზიკური და იურიდიული პირი, სახელმწიფო ორგანოები, რომლებიც ყურადღებით ადევნებენ თვალს ამ მუშაობის შედეგებს და საწარმოს ფინანსურ მდგომარეობას. ორგანიზებულად ფინანსურ შედეგებს და ფინანსურ მდგომარეობას ასახავს ბუღალტრული ბალანსი.

ფინანსური მდგომარეობის განზოგადების და ანგარიშგების ძირითადი ფორმაა ბუღალტრული ბალანსი. სამეურნეო-საფინანსო საქმის მართვის ახალ პირობებში არსებობს ბალანსის აქტივისა და პასივის ცნების გადასინჯვის (დაზუსტების) აუცილებლობა. არც თუ დიდი ხნის წინ ბალანსის აქტივს განიხილავდნენ, როგორც საშუალებების ფულადი მარჯვენების სისტემას, რომელიც ასახავდა საწარმოს საშუალებების შემადგენლობას, განლაგებას და ფაქტობრივად მიზნობ-

რივ გამოყენებას. პასივს კი განიხილავდნენ როგორც იგივე ფულად ერთეულში მარვენებლების სისტემას, რომელიც ასახავდა სამეურნეო სახსრების ფორმირების წყაროებს და მათ მიზნობრივ დანიშნულებას. საბაზრო ურთიერთობათა ჩამოყალიბების პირობებში უფრო სწორი იქნება თუ ბალანსის აქტივის განმარტებას გავივებთ როგორც იმ ქონების ღირებულებას და სესხით უფლებას, რომლებიც საწარმოს გააჩნია და რომლებსაც იგი იყენებს საანგარიშგებო თარიღისათვის. პასივი კი უნდა განვიხილოთ როგორც საწარმოს ვალდებულება სესხსა და საკრედიტო დავალიანებაზე, რომლის გადახდა გამოიწვევს ქონების ღირებულების ან შემოსავლის შემცირებას. მარტივად რომ ვთქვათ, ბალანსის პასივი ასახავს საკუთარი საშუალებების წყაროებს და ხსენებულ პასივებს (სესხები, კრედიტები, ინვესტიციები და სხვა ვალდებულებები). მეორეზე აქტივის მეტობა შეადგენს საწარმოს საკუთარი სახსრების წყაროების სიდიდეს. მასში შედის აგრეთვე მისი სარგებელი (ზარალი) - აქტივის ჯამს გამოკლებული პასივის II და III განაყოფი.

ინფორმაცია, რომელიც განზოგადებულია ბუღალტრულ ბალანსში, საჭიროებს მისი სტრუქტურის მუდმივ სრულყოფას იმ მიზნით, რომ იგი უკეთ იქნეს გამოყენებული საწარმოს მართვის პროცესში. ბალანსის ანალიტიკურობის ხარისხი განისაზღვრება მასში გამოხატული აგრერირების (განზოგადების) მონაცემების ღონით. ამასთან ეს კავშირი უკუპროპორციულია: რაც უფრო მაღალია აგრერირების ღონე, მით უფრო ნაკლებად ანალიტიკურია ბალანსი. ამიტომ საკითხი ბალანსის სირთულის აუცილებელი ხარისხისა და მიზანშეწონილობის, აგრეთვე მუხლების შემადგენლობის გაფართოების თუ გარდაქმნის აუცილებლობის, დამატებითი დაჯგუფებების შემოღების შესახებ პერმანენტულია. როგორც შედეგი-განსაკუთრებულია ბალანსის სტრუქტურის დინამიზმი, რომელიც ხშირად იცვლებოდა მეურნეობის ზოგიერთ დარგში.

საბჭოური პერიოდის მოქმედი ბალანსის აგების სქემა ძირითადად ჩამოყალიბდა სოციალიზმის დროს. შეიცავდა დაახლოებით 150 მუხლს, ჰქონდა 5 ნაწილი აქტივში და 7 ნაწილი პასივში, 5-5 განაყოფით.

ბალანსის ნაწილების შიდა დაბალანსების უქონლობის შემთხვევაში მისი მუხლების უმეტესი ნაწილი ართულებდა ბალანსის წაკითხვას და ფინანსურ ანალიზს მასში მოყვანილი ინფორმაციის მიხედვით. ამის გარდა, აღნიშნული საბალანსო სქემის ნაკლი იყო ბალანსის ვალუტის დამახინჯებული შეფასება, რომელიც ვერ იძლეოდა საწარმოს ქონებრივ-ფინანსურ დახასიათებას. ბალანსის ვალუტის დამახინჯება ხდებოდა მასში სხვადასხვა კონტრაქტიური და კონტრაპასიური მუხლების ჩართვის (ისეთების, როგორიცაა ძირითადი ფონდების ცვეთა, განყენებული სახსრები, მყარი პასივები და სხვა), აგრეთვე ძირითადი საქმიანობის ბალანსში კაპიტალურ დაბანდებათა წყაროების ანგარიშებში ორჯერადი ასახვის გამო. ამასთან, ბალანსის მუხლების გაშიფრვა ხდებოდა დანართების მრავალრიცხოვან ფორმებში, რაც

ზედმეტად ტვირთავდა ფინანსურ ანგარიშგებას და ხელს უშლიდა როგორც კომერციულ საიდუმლოებას, ასევე საჯარო გამოქვეყნებას.

მიუხედავად აღნიშნული ნაკლოვანებებისა, ძველი ბალანსი ზედმიწევნით ზუსტად იყო მისადაგებული სახელმწიფო საკუთრებასთან, ზედმიწევნით აკმაყოფილებდა მოთხოვნებს და პირდაპირ პასუხობდა ანალიზის კითხვებს თუ რამდენი იყო საკუთარი საბრუნავი საშუალებები, მათი დაფარვის წყაროები, ნორმატივები, ფაქტობრივი მარაგი და სხვა.

ძველი ბუღალტრული ბალანსიდან ახალზე ეტაპობრივი გადასვლა, ხორციელდებოდა მისი მუხლებისა და შემადგენელი ნაწილების რიცხვის შემცირებითა და შეცვლით, აგრეთვე ბალანსის ვალუტის ფორმირების პრინციპის შეცვლით (ბალანსი-ნეტოს პრინციპით).

ბალანსის ცხრილი მიზანშეწონილია აიგოს საშუალებების შედგენილობის, დანიშნულებისა და კუთვნილების შესაბამისად, ამ თვალსაზრისით ყველა მჩვენებელი შეიძლება სამ განაყოფში გარეთიანდეს. ე.ი. ბალანსის ახალი ცხრილი აიგოს აქტივისა და პასივის სამი ნაწილიდან (განაყოფიდან, იხ. ცხრილი № 53).

**ბალანსის ამსახველი სტრუქტურა (ათას ლარობით)**

ცხრილი №53

აქტივი	წლის დასაწყისი	საანგარიშგებობო პერიოდის ბოლოს	პასივი	წლის დასაწყისში	საანგარიშგებობო პერიოდის ბოლოს
განაყოფი I			განაყოფი I		
ძირითადი საშუალებები და სხვა ბრუნვის გარეშე აქტივები (აქვე არამატერიალური და ძირითადი აქტივები)	2367	2505	საკუთარ საშუალებათა წყაროები (კაპიტალი)	2950	3218
განაყოფი II			განაყოფი II		
მარაგები და ხარჯები (საბრუნავი მატერიალური აქტივები)	2063	1783	გრძელვადიანი პასივები (კალდებულებები)	450	370
განაყოფი III			განაყოფი III		
ფულადი საშუალებები, ანგარიშსწორებანი და დანარჩენი აქტივები (დებიტორები)	968	1792	ანგარიშსწორებანი და დანარჩენი პასივები (კრედიტორები)	1998	2492
<b>ბალანსი</b>	<b>5398</b>	<b>6080</b>	<b>ბალანსი</b>	<b>5398</b>	<b>6080</b>